საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 ოქტომბერი პარასკევი 2012 №242 (13 848) ფასი 80 თეთრი

FIFA WORLD CUP Brasil

დღეს საქართველოს ნაკრები ფინეთში თამაშობს

12 ოქტომბერი, 19:30 ჰელსინკი

ფინეთი-საქართველო



# სუომი გველის

2



## დავით უგრელიძე: ქართულ ფეხბურთში სამართლიანობა უნდა აღდგეს

4

## იბერია სტარმა რიხით დაიწყო



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



11

## კუნძულზე კარგად, ნახევარკუნძულზე ნახევრად კარგად

ქართველები ევროლიგაზე

● ეროვნული ნაკრები

12.10. ჰელსინკი. ოლიმპიური. 19:30
**ფინეთი– საქართველო**
Bwin: 1.80 3.40 4.50 Live | არხზე

# ფინელებსაც და ქართველებსაც მხოლოდ გამარჯვება სურთ

დღეს საქართველოს ნაკრები 2014 წლის მუნდიალის შესარჩევი ტურნირის პირველ გასვლით მატჩს გამართავს. ფინეთისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე თბილისის დროით 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

როგორც ჰელსინკიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა შეგვატყობინა, მატჩზე დასასწრები 15 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია. ბილეთების ფასი 15 ევროდან იწყება და 75 ევრომდე ადის.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ოლიმპიურ სტადიონზე ივარჯიშა და საბედნიეროდ, შეხვედრას ჩვენი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ხვდება. სრულ მზადყოფნაშია **ირაკლი სირბილაძეც**, რომელმაც გუშინწინ ინდივიდუალურად ივარჯიშა.

ფინურ მედიაში **თემურ ქეცბაიას** პრესკონფერენცია გაშუქდა.

*"საქართველოს ნაკრებს დაახლოებით იგივე მიზნები ამოძრავებს, რაც ფინეთს. გუნდის გაახალგაზრდავების გზით მივდივართ და გვინდა, ახლო მომავალში უფრო წარმატებული ნაკრები გვყავდეს. ამ მატჩში ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა. შეხვედრა ძალიან რთული იქნება, თუმცა თავის გამოჩენას მხოლოდ კარგი დაცვით არ ვაპირებთ. შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოვხვდეთ, მაგრამ თითოეულ მატჩში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ"*, - განაცხადა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

რაც შეეხება ფინელთა თავკაც **მიქსუ პაატელაინენს**, მისი პრესკონფერენციის მოკლე შინაარსი ასეთია: "საქართველოს ნაკრებს შესანიშნავად შეუძლია "მეორე ნომრად" თამაში, თუმცა ჩვენ მათი წინააღმდეგობის გადასალახად მზად ვართ. მთავარია, ინიციატივა თავიდანვე ვიგდოთ ხელთ და თამამად შევუტიოთ. შესარჩევი ციკლი მარცხით დავიწყეთ და ახლა ვალდებულები ვართ, საკუთარ მოედანზე პირველი სამი ქულა მოვიპოვოთ".

**საქართველოს ნაკრები**

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო, ქუთაისი);

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისფორი, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), გულვერდ თომაშვილი (დილა, გორი);

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი, რუსთავი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი კიევი, უკრაინა), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ლევან ყენია (კარპატი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მ. რუსეთი), ალექსანდრე გურული (დილა, გორი), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია);

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერ ტურკუ, ფინეთი).



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ფოტო, ფინეთიდან

**I ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**12 ოქტომბერი**

ფინეთი-საქართველო
ბელარუსი-ესპანეთი

**16 ოქტომბერი**

ბელარუსი-საქართველო
ესპანეთი-საფრანგეთი

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ირაკლი სირბილაძე:
# იმედია, მოვიგებთ

**ირაკლი სირბილაძე** ფინეთის ნაკრებთან მატჩამდე საქართველოს ნაკრებს კარგი განწყობით შეუერთდა. ფინეთის ჩემპიონატში ტურკუს „ინტერმა" „მარიეჰამნს" სწორედ ქართველი თავდამსხმელის გოლით მოუგო. ვეიკაუსლიგის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, „ინტერი" ლიდერ ჰიკ-ს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

რას ელის ფინეთის ნაკრებისგან, რაზე უნდა გაამახვილოს ჩვენმა გუნდმა ყურადღება და როგორია პირადად სირბილაძის მოლოდინი?

*"ყურადღებით უნდა ვიყოთ დაცვაში, რადგან ფინელები სწრაფები არიან და კონტრშეტევებზე კარგად თამაშობენ. კარგი გუნდი ჰყავთ, ძლიერი ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებული და უმძიმესი შეხვედრა გველის. მთავარია, მწვრთნელის დავალებები შევასრულოთ და კონცენტრაცია 90 წუთის განმავლობაში შევინარჩუნოთ. მოიგებს ის გუნდი, რომელიც მომენტებს უკეთ გამოიყენებს. იმედია, მატჩი საქართველოსთვის სასურველი შედეგით დასრულდება. ჩვენ კი ყველა საბრძოლო განწყობით ვართ და თამაშს დიდი იმედით ველოდებით"* – ამბობს სირბილაძე..

**მერაბ მამულაშვილი**

● ფინეთში ნათამაშები ქართველის აზრი



**ფინეთის ნაკრები საქართველოსთან დასახვედრად ემზადება.**

**ფინეთის ნაკრებს "ჯვაროსნებთან" არასოდეს უთამაშია და აქედან გამომდინარე, მიკა პაატალაინენის გუნდზე ბევრი არაფერი ვიცით. ამ ვაკუუმის ამოვსება გიორგი ნიკურაძესთან დალაპარაკებით ვცადეთ, რომელიც ფინურ კლუბებში შვიდი წელი თამაშობდა.**

## გიორგი ნიკურაძე
# რას უნდა მიაქციოს ყურადღება საქართველოს ნაკრებმა?

**- ფინეთის დღევანდელ ნაკრებს თუ იცნობთ?**

- ბევრ ფეხბურთელს ვიცნობ და ნაკრებზეც წარმოდგენა მაქვს. ყველაზე ახლოს ძმებ ერიომენკოებთან ვიყავი. ახლა ნაკრებში შუათანა და უფროსი ძმები, რომანი და ალექსეი თამაშობენ. კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ რომანი ბევრად მაღალი დონის არის, კიევის "დინამოში" უთამაშია, ახლა კი ყაზანის "რუბინშია", სადაც მისი ძმაც გამოდის.

**- თავად ნაკრებზე რას გვეტყვი?**

- დისციპლინის მოყვარული, ბრძოლისუნარიანი და საკმაოდ კარგად ორგანიზებული გუნდია, ფეხბურთელები კი ბოლომდე იხარჯებიან. საკუთარ მოედანზე ისეთივე სახიფათო ძალაა, როგორიც თუნდაც ჩვენი ნაკრები.

მათი მწვრთნელი მიკა პაატელაინენი კარგი თავდამსხმელი იყო და წლების განმავლობაში, შოტლანდიისა და ინგლისის კლუბებში თამაშობდა – "დანდიში", "აბერდინში", "ჰიბერნიანში", "ბოლტონში", "ვულვერჰემპტონში". მწვრთნელობა ფინეთში დაიწყო, მერე "კილმარნოკსა" და "ჰიბერნიანში" იმუშავა, ფინეთის ნაკრები კი შარშან ჩააბარეს. მისი ძმები, ნიკო და მარკუსი 2004 წელს "კოტეპეში" ჩემი თანაგუნდელები იყვნენ და ვმეგობრობდით.

სხვათა შორის,. ვერ ვიტყვი, რომ პაატელაინენი ნაკრებს ფინელებისთვის დამახასიათებელ ტიპურ დაცვით და ჩაკეტილ ფეხბურთს ათამაშებს. ძირითადად, 4-5-1 განლაგებას იყენებს. სახლში საკმაოდ აგრესიული გუნდია და უნდა ვუფრთხილდეთ.

**— ფინეთის ნაკრები პოზიციების მიხედვით დაგვიხასიათეთ.**

- ფინელებს ყოველთვის ჰყავდათ მაღალი კლასის მეკარე და ამჯერადაც ასეა. მაგრამ ბოლო ერთი წელია, ნაკრების კარში წარმოშობით სლოვაკი ლუკაშ ჰრადეცკი დგას. ის ფინეთშია გაზრდილი, დანიურ "ესბიერგში" თამაშობს და ძლიერი მეკარეა.

ძლიერი, ორგანიზებული და საკმაოდ ხისტი დაცვის ხაზი ჰყავთ - ძალისმიერ ბრძოლებს სულაც არ ერიდებიან. გამორჩეულია ცენტრალური მცველი, კაპიტანი პეტრი პასანენი.

სწრაფი და მობილურია ფინელთა ნახევარდაცვა, სადაც უფრო ჩამშლელი ფეხბურთელები ჭარბობენ. ერთადერთი ტექნიკური პლეიმეიკერი რომან ერიომენკო არის. ფინეთის ნაკრებს სამი ვარსკვლავი ჰყავს, რომან ერიომენკო და თავდასხმელები ტეემუ პუკი და მიკაელ ფორსელი. ეს ორივე ძალიან სახიფათოა. პუკი პატარა ბიჭი იყო, როდესაც ჩემს ყოფილ კლუბში, "კოტეპეში" ვარჯიშობდა. მერე "სევილიამ" წაიყვანა და მართალია, ცოტა ხნით ფინურ ჰიკ-ში დაბრუნდა, მაგრამ ევროპის ლიგაზე "შალკეს" 4 გოლი გაუტანა და გერმანელებმა კონტრაქტი გაუფორმეს. ძალიან ტექნიკური, სწრაფი და სახიფათო თავდამსხმელია.

მომწონს "ლიდსის" თავდამსხმელი ფორსელიც, რომელსაც "ჩელსიში", "კრიტალ პალასში", "მიონხენგლადბახში", "ბირმინგემსა" და "ჰანოვერში" უთამაშია. აი, ამ სამ ფეხბურთელს ყველაზე მეტად უნდა ვუფრთხილდეთ. ისინი გუნდში ყველაზე არაპროგნოზირებადები და სახიფათოები არიან.

ახლა ალბანელი ნიაზ კუჩის დამატებასაც აპირებდნენ, რომელიც ძალიან მაღალია (194 სმ) და ტექნიკურიც. მაგრამ არ ვიცი, საქართველოსთან ითამაშებს თუ არა.

**- ნაკრებში ალექსეი ერიომენკოს არ ათამაშებენ?**

- უფრო შეცვლაზე, რადგან ბოლო პერიოდში ტრავმირებული იყო, სათამაშო პრაქტიკაც აკლია და ძმისგან განსხვავებით, ყაზანის "რუბინის" სათადარიგოებში ჯდომა უწევს.

**- ფინელებს თამაში როგორ მიჰყავთ?**

- უმეტესად, ფლანგების გამოყენებას ცდილობენ - ინგლისური სტილი ნაწილობრივ მაინც შერჩათ. მაგრამ შეტევების წამოწყება ცენტრიდანაც იციან. და კიდევ, საქართველოს ნაკრებმა უნდა იცოდეს, რომ სწრაფად და აგრესიულად თამაშობენ.

**- როგორია შენი პროგნოზი?**

- ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან მძიმე და საინტერესო შეხვედრა გველის. მაგრამ ფინელებზე რაც ვილაპარაკე, სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს ნაკრებს შანსი არ გააჩნია. ბელარუსთან და ესპანეთთან გამოჩნდა, რომ ქეცბაია საკმაოდ ბრძოლისუნარიან გუნდს აყალიბებს. მაგრამ პროგნოზის გაკეთება მაინც გამიჭირდება.

**- ორივე ნაკრების შესაძლებლობებს იცნობ და შენი აზრით, მოგება შეგვიძლია?**

- როგორ არ შეგვიძლია, თუ ისეთივე მობილიზებულები ვითამაშებთ, როგორც შესარჩევის პირველ ორ შეხვედრაში. ფინელები სწრაფები არიან, მაგრამ მათი მცველები ტექნიკურად მოიკოჭლებენ. ჩვენს ნახევარმცველებს კი არც სისწრაფე დაეწუნებათ, არც ტექნიკა და მეტოქის ამ ნაკლის გამოყენებას უნდა შეეცადონ.

ფინელებს ფეხბურთი საკმაოდ უყვართ და ალბათ, 30-ათასიანი "ოლიმპიური" სტადიონის ტრიბუნებიც შეივსება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზესტაფონი

# ერთი ქართველი და ორი უცხოელი
## ზესტაფონში სამ ფეხბურთელს სინჯავენ

"ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბმა ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის შემდეგ გუნდი ორი დღით დაასვენა და შემდეგი ოფიციალური მატჩისთვის მზადებაც გაგრძელდა. სიახლე ის არის, რომ "ზესტაფონის" ბაზაზე რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში სამი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს - კოტდივუარელი თავდამსხმელის, **ბოტი გოა დემელის** შესახებ "ლელომ" უკვე გაცნობათ, მათ გარდა კი "ზესტაფონს" 24 წლის ქართველი ფორვარდი **რევაზ ბარაბაძე** და 22 წლის სერბი ნახევარმცველი **იგორ იელიჩი** შეუერთდა.

ბარაბაძეს ქართველი გულშემატკივრის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე არაერთი კლუბის წევრი ყოფილა. "თბილისი", "დნიპრო", "კარლ ცაისი", "ანჟი", "მეტალურგი", "დილა" – ქრონოლოგიურად მას სწორედ ამ კლუბების ღირსება დაუცავს. ისიც უნდა ითქვას, რომ პოტენციალის გამოვლენაში ბარაბაძეს ტრავმებმაც შეუშალა ხელი. გასული სეზონი მან გორის "დილაში" ჩაამთავრა.

რაც შეეხება იელიჩს, იგი ტიპური საყრდენია და აქამდე სამშობლოს გარდა არსად უთამაშია. ბოლოს იელიჩი ბელგრადის ოფკ-ის ფეხბურთელი იყო.

დემელს კი, რომელიც სხვადასხვა დროს ფრანგული "კრეტეის", პორტუგალიური "ბენფიკას", ნორვეგიული "რუსენბორგისა" და სომხური "მიკას" წევრი ყოფილა, მცირე ტრავმა აქვს და ვარჯიშს რამდენიმე დღეში განაახლებს. სამივე ეს ფეხბურთელი "ზესტაფონში" სინჯებზეა და მათ შესახებ გუნდის სამწვრთბელო შტაბი გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მიიღებს.

"ზესტაფონის" ვარჯიშებს საპატიო მიზეზის გამო **როინ კვასხვაძე** აკლია – ფეროოელთა მეკარე საქართველოს ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ხვალ "ზესტაფონი" საკუთარ ბაზაზე საკონტროლო მატჩს საჩხერის "ჩიხურას" წინააღმდეგ ჩაატარებს.

"ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში დღეისთვის 14 ქულით მე-5 ადგილზეა და სანამ უმაღლეს მიზნებს შეეჭიდებოდეს, ჯერ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის ამოცანა აქვს გადასაჭრელი. 20 ოქტომბერს, მე-10 ტურში **დავით მუჯირისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდი "ზუგდიდს" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



რევაზ ბარაბაძე



იგორ იელიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე. ფინეთის ნაკრები

# სკანდინავიური იმედი

**წლეულს ნამდვილად ვერ იქნება, მაგრამ არც ძალიან შორს არის ის დღე, საქართველოს ნაკრები საიუბილეო, მე-200 მატჩს რომ ჩაატარებს! სამწუხაროდ, 1990 წლიდან მოყოლებული, საქართველოს სანაკრებო მატჩების გამო იმედგაცრუება სჭარბობდა გამარჯვებ(ებ)ით გამოწვეულ სიხარულს; რა თქმა უნდა, იყო ეპიზოდური გამონათებებიც, როცა შესარჩევ ეტაპზე (ერთი-ორი ციკლის გარდა) „ხმაურიან" სენსაციას მოვახდენდით და ამით ვხარობდით. თუმცა, დღემდე აუხდენელ ოცნებად გვრჩება საქართველოს ნაკრების ხილვა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე; ეგ კი არა, ჩვენთვის სადებიუტო ციკლში (1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი) ნაჩვენები შედეგი (15 ქულა და ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება) ვერაფრით გაგვიუმჯობესებია...**

**...1990 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, ამხანაგური იქნებოდა თუ ოფიციალური, საქართველოს ნაკრებს ევროპის თითქმის ყველა ნაკრებთან უთამაშია; ალბათ, ათი ქვეყნის ნაკრებია დარჩენილი, რომელთანაც არ გვიპაექრია და ერთ-ერთი ასეთთაგანი სწორედ დღევანდელი მეტოქეა! ჰო, ფინელებს დღეს პირველად უნდა დავუპირისპირდეთ და, იმედია, წარმატებით დაწყებულ ახალ შესარჩევ ციკლს დღესაც წარმატებული გაგრძელება ექნება. ჰო, სამი ტურის მერე 6 ქულა მართლაც ჩინებულ შედეგად უნდა ჩაითვალოს იმ ჯგუფში, სადაც ბელარუსისა და ფინეთის გარდა მეტოქეებად საფრანგეთი და მართლაც უძლეველი ესპანეთი გვყავს!**



იარი ლიტმანენი

## პირველი გამონათება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინელებთან სანაკრებო დონეზე არასდროს გვითამაშია (ისე როგორც ამ შესარჩევ ციკლამდე ჯგუფის სხვა მეტოქეებთან — ბელარუსთან და ესპანეთთან). რა თქმა უნდა, ჩვენი დღევანდელი მეტოქე ევროპული ფეხბურთის გრანდად არასდროს მიიჩნეოდა — უფრო, საშუალო დონის გუნდი ჰყავდათ ყოველთვის ფინელებს, ჩვენს მსგავსად, ეპიზოდური გამონათებები რომ ჰქონდათ. არადა, ამ ქვეყნის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი... ასი წლის წინათ ჩაატარა, მაგრამ ფინელებმა ვერც ერთხელ შეძლეს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა! ასეთ წარმატებასთან ყველაზე ახლოს ფინელები ორჯერ იყვნენ და ორივეჯერ სულ მცირედი დააკლდათ. პირველი შემთხვევა 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს უკავშირდება, როცა, ყველასათვის მოულოდნელად, ფინელები ბოლო ტურამდე ინარჩუნებდნენ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსს. არადა, იმ ოთხგუნდიან ჯგუფში (სსრკ, უნგრეთი, საბერძნეთი, ფინეთი) გამოკვეთილ აუტსაიდერად სწორედ ჩვენი დღევანდელი მეტოქე მიიჩნეოდა, მაგრამ ფინელებმა მართლაც შთამბეჭდავი სტარტი აიღეს: ჯერ ბერძნებს მოუგეს, მერე — უნგრეთს (შესაბამისად — 3:0 და 2:1). ამას მოჰყვა ბერძნებთან სტუმრად სასტიკი მარცხი (1:8), მაგრამ როცა ჯგუფის უპირობო ფავორიტთან, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შინ ფრედ ითამაშეს (1:1), ეს შანსი კვლავაც დარჩა. სხვათა შორის, 1979 წლის 4 ივლისს ჩატარებულ იმ შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში სამი ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობდა: შოთა **ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია** და **დავით ყიფიანი**, ხოლო **რამაზ შენგელია** შეცვლაზე შემოვიდა. ეს შედეგი საბჭოური ფეხბურთის ხელმძღვანელობამ „კატასტროფად" მონათლა და ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ნიკიტა სიმონიანი** (იმ შესარჩევ ციკლში ქართველებს დიდად რომ სწყალობდა) მოხსნეს, მის ნაცვლად კი **კონსტანტინ ბესკოვი** დანიშნეს. თუმცა, ვერც ახალი მწვრთნელის ფაქტორმა იმოქმედა: იმავე წლის შემოდგომაზე, მოსკოვში ჩატარებული მატჩიც ფრედ დამთავრდა (2:2) და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაში ბესკოვმა არც ერთი ქართველი არ ათამაშა! საბოლოოდ, ფინელებს ერთი ქულა დააკლდათ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, არადა იმდროინდელ გუნდში საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის მხოლოდ ერთადერთი ფეხბურთელი იყო — წარმოშობით თურქი ცენტრფორვარდი **ატიკ ისმაილი.**

## ლიტმანენის ეპოქა

გასული საუკუნის დასაწყისში 90-იანი წლების ფინურ ფეხბურთში საერთაშორისო დონის ვარსკვლავი გამოჩნდა — **იარი ლიტმანენი!** მართლაც ჩინებული ცენტრფორვარდი ამას წლების განმავლობაში ამტკიცებდა საერთაშორისო ასპარეზზე - 7 წლის განმავლობაში ჰოლანდიური „აიაქსის" ლიდერი გახლდათ და გოლიადორულ შესაძლებლობას ამტკიცებდა. ისე, მართლაც არ არის სახუმარო საქმე, როცა „აიაქსის" მაისურით ჩატარებულ 191 ოფიციალურ შეხვედრაში თავდამსხმელი 91 გოლს გაიტანდა! სამწუხაროდ, „აიაქსზე" უფრო „მაღლა" ლიტმანენი ვეღარ „გაფრინდა", არადა ჯერ „ბარსელონამ" მიიწვია, მერე კი — „ლივერპულმა". ლიტმანენი ისევ „აიაქსში" დაბრუნდა, მერე სხვადასხვა ქვეყანაში (გერმანია, შვედეთი, ინგლისი) „იმოგზაურა", შემდეგ მშობლიურ „ლახტის" მიაშურა, 40 წლის ასაკში კი ფინეთის უძლიერეს კლუბ „ჰიკ"-ში ჩაირიცხა! თავისი მართლაც შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში ლიტმანენმა უამრავი ტიტული მოიხვეჭა: ჩემპიონთა ლიგაც მოგებული აქვს, უეფას თასიც, ევროპის სუპერთასიც და საკონტინენტთაშორისო თასიც! აღარაფერს ვამბობთ ჰოლანდიის ხუთგზის ჩემპიონობასა თუ უამრავ ინდივიდუალურ მიღწევაზე: ფინეთის ნაკრების რეკორდსმენია ჩატარებული თამაშების მიხედვით (137) და გოლების რაოდენობითაც (32), ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირიც იყო და ჰოლანდიის ჩემპიონატისაც, ცხრაჯერ დაასახელეს ფინეთის საუკეთესო ფეხბურთელად! საერთოდაც, სწორედ ლიტმანენი გახლავთ ფინეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი. თუმცა, ასეთი შთამბეჭდავი კარიერის მიუხედავად, ლიტმანენმა ვერც ერთხელ შეძლო ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა...

## კიდევ ერთი შანსი

90-იანი წლებიდან ლიტმანენის მსგავსად არაერთი ფინელი ფეხბურთელი ასპარეზობდა ევროპის წამყვან ლიგებში; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დრო იყო, ინგლისურ პრემიერლიგაში სამი ფინელი მეკარე გამოდიოდა — **იასკალაინენი, ნიემი** და **ენკელმანი.** ნურც სხვა ამპლუის მოთამაშეებს დავივიწყებთ, არცთუ ურიგო კი არა, ჩინებული საკლუბო კარიერა რომ ჰქონდათ: **სამი ჰიიპია, ჰანუ ტიჰინენი, ჯონათან იოჰანსონი, იონას კოლკა, მიქაელ ფორსელი, ტეემუ ტაინიო, შეფკი კუქი, მიკა-მატი პაატელაინენი** (ნაკრების დღევანდელი თავკაცი), **პეტრი პასანენი, ნიკლას მოისანდერი,** ძმები **ალექსეი** და **რომან ერიომენკოები** (უკანასკნელი ოთხი ფეხბურთელი დღესაც ნაკრების ლიდერებად მიიჩნევიან). თუმცა, ეს თაობა მხოლოდ ერთხელ იყო ახლოს მნიშვნელოვან წარმატებასთან: 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ფინელებმა 24 ქულა (!) მოაგროვეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. არადა, შესარჩევი ციკლის ბოლო ტურში ფინეთს სტუმრად რომ მოეგო, ავსტრია-შვეიცარიაში სწორედ **როი ჰოჯსონის** დამოძღვრილი გუნდი გაემგზავრებოდა. ჰო, სწორედ ინგლისელი სპეციალისტი როი ჰოჯსონი გახლდათ ფინეთის ნაკრების იმდროინდელი თავკაცი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ შესარჩევი ეტაპის იმ ბოლო და გადამწყვეტ მატჩში ფინელებს... პორტუგალიისათვის სტუმრად უნდა მოეგოთ! არადა, პორტუგალიის ნაკრების მაშინდელ თავკაცს **ლუიშ-ფელიპე სკოლარის** გუნდში ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდა: **კრიშტიანო რონალდო, ლუიშ ნანი, რაულ მეირელეში, მიგელ ველოზუ, პეპე, ბრუნო ალვეში, რიკარდო კვარეჟმა, ჟოზე ბოსინგვა** და სხვები. ფინელებმა ღირსეულად ჩაატარეს ის მატჩი, მაგრამ მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ და ასე დაიკარგა ფინალურ ეტაპზე მოხვედრის უნიკალური შანსი.

...ფინურ ფეხბურთს რომ ვახსენებთ, **ერიომენკოების** საფეხბურთო დინასტიაზეც უნდა გვეთქვა, თუმცა ამ თემას მაშინ განვავრცობთ, როცა ფინელები საქართველოში ჩამოვლენ; ისე როგორც საერთაშორისო საკლუბო დონეზე ერთადერთი ქართულ-ფინურ დაპირისპირებას: 1996 წლის ზაფხულში „ინტერტოტოს თასზე" ფინურმა „იარომ" რომ ფოთის „კოლხეთს" 2:0 მოუგო...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ნაკრების პოზიტივ-ნეგატივი

# გოგიჩაიშვილის წინათგრძნობა: მაქსიმუმ ოთხი, მინიმუმ ორი

**კახა გოგიჩაიშვილი ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო ქართველმა გულშემატკივარმა, როცა თბილისის "დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშობდა. მოდრიბლინგე შემტევი იყო, არაერთი კარგი მატჩი უთამაშია როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ასევე დამოუკიდებლობის შემდგომ "დინამოში" ევროსარბიელზე. გოგიჩაიშვილი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელიც იყო, 1995 წელს საქართველომ თბილისში სტოიჩკოვის ბულგარეთს რომ მოუგო, იმ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ...**

**გოგიჩაიშვილმა ფეხბურთელობის მერე მწვრთნელობა დაიწყო. ახლა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია. გუშინ ის რედაქციაში ვისტუმრეთ და აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ...**

**- საქართველოს ნაკრები ყოველთვის რაღაცნაირი გუნდი იყო, საბოლოო შედეგი არ ჰქონდა, თუმცა ერთი გამონაკლისის გარდა, როცა გუნდს ექტორ კუპერი წვრთნიდა, ყოველთვის ჰქონდა გამონათებები. ნაკრებში წლობით თამაშობდი და იქნებ გვითხრა, რატომ გაუჩნდა ასეთი ზნე ჩვენს ეროვნულ გუნდს?**

- საქართველოს ნაკრებს სტაბილურობა ყოველთვის აკლდა, გადამწყვეტ თამაშებს ვერ ვიგებდით. ეს ალბათ ასეთი მატჩების მიმართ ფეხბურთელთა არასათანადო დამოკიდებულებით იყო გამოწვეული. კარგ გუნდებთან კარგად არაერთხელ გვითამაშია, საშუალო დონის გუნდებთან კი ხშირად უსუსურები ვყოფილვართ. ფეხბურთელების განწყობა, ხასიათი... ალბათ ამის ბრალი იყო ჩვენი არასტაბილურობა.

**- ადრე უფრო ბევრი ნიჭიერი ფეხბუთელი ჰყავდა საქართველოს , ვიდრე ახლა – ასეთ თვალსაზრისს ბევრი ემხრობა. ამის ზუსტი მიზეზიც არ არსებობს? ფაქტია, არც თქვენი თაობის ფეხბურთელები იყვნენ განებივრებულები ჩინებული მოედნებით და საერთოდ ინფრასტრუქტურით, მაგრამ კარგი ფეხბურთელების დეფიციტი თითქმის არ იგრძნობოდა...**

- ნიჭიერები ქართულ ფეხბურთში სულ ჩნდებიან, თუმცა იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელი აღარ მოდის, როგორც უწინ იყო. ფეხბურთელთა საერთო დონე გათანაბრდა და ძალიან რთულია ამის ზუსტი მიზეზის დასახელება. 18-19 წელს რომ მიაღწევენ, ჩვენი ფეხბურთელები საშუალო დონის გუნდებში მიდიან და ამით კმაყოფილდებიან. ფაქტია, რომ ევროპის ტოპ-ლიგებში ამ დროისთვის არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს. ქართველი ფეხბურთელები ძირითადად რუსეთ-უკრაინაში მიდიან, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ქვეყნებში ფეხბურთის მნიშვნელოვანი წინსვლა სახეზეა, ნეტავ ქართული ფეხბურთიც მაგ დონეზე იყოს. მე მაინც მგონია, რომ ბავშვების არასწორი განვითარება დიდი ხელის შემშლელი ფაქტორია. აქ ბევრი ნიუანსია. ბევრ მოზარდს აღენიშნება ხერხემლის პრობლემები, ზოგსაც კუნთის მასა არ უწყობს ხელს. აღდგენითი პროცესი, ნორმალური დასვენება და რაციონალური კვება – ბევრ ქართველ ბავშვს არ აქვს ამის საშუალება.

**- იყო დრო, საქართველოს ნაკრები მართლა ფეხბურთს რომ თამაშობდა, მაგალითისთვის ბულგარეთთან მოგებული მატჩიც შეგვიძლია გავიხსენოთ...**

- ბულგარული ფეხბურთის ისტორიაში, ის ყველაზე საუკეთესო ნაკრები იყო. სტოიჩკოვი, კოსტადინოვი, ლეჩკოვი, ბალაკოვი...ბულგარეთში 0:2 კი დავმარცხდით, მაგრამ წასაგები თამაში ნამდვილად არ იყო, თბილისში კი ისე მოხდა, რომ საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ზედმიწევნით



კახა გოგიჩაიშვილი

შემტევი ტაქტიკა ავირჩიეთ, 3-5-2 განლაგებით ვითამაშეთ, ჯამარაულის პასით შოთამ სწრაფი გოლი გაიტანა და ბულგარეთი იძულებული გახდა, შეეტია, სივრცეები გაიხსნა და მარცხენა ფლანგიდან რამდენჯერმე მოვახერხე ჩვენი თამაშის გამწვავება. ერთხელ კი რეიდი მოედნის ჩვენივე ნახევრიდან დავიწყე, მეკარის საჯარიმო მოედნამდე ჩავედი და ბულგარელთა მეკარე ბორისლავ მიხაილოვმა წამაქცია, პენალტი კი ქინქლაძემ გაიტანა.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს რა მიმართულ;ება ჰქონდათ, რა სათამაშო კონცეფციის დანერგვას ცდილობდენ? უფრო დაცვაზე კეთდებოდა აქცენტი თუ შეტევაზე?**

- ყოველთვის იმას ვცდილობდით, რომ შემტევი, ლამაზი ფეხბურთი გვეთამაშა განურჩევლად იმისა, თუ რა რანგის მოწინააღმდეგე გვყავდა. ზოგჯერ ეს არ გამოგვდიოდა, მაგალითად, გერმანიასთან და ინგლისთან ეს ვერ მოვახერხეთ. დაცვაში ჩაჯექით – მწვრთნელებისგან ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა.

**- საქართველოს ახლანდელი ნაკრები კი სულ სხვა გუნდია – როგორ ფიქრობთ, ამას ფეხბურთელთა კონტინგენტი განაპირობებს თუ ეს მწვრთნელის მიმართულებაა?**

- საქართველოს ამ ნაკრებში სათამაშო სტილიდან გამომდინარე აქცენტი დაცვაზე კეთდება, ვეძებთ მომენტს, რომ წინ წავიდეთ. ყოველივე ეს ალბათ ფეხბურთელთა კონტინგენტიდან გამომდინარეობს, ტაქტიკასაც ამის მიხედვით ადგენს მწვრთნელი.

**- საქართველოს ნაკრების კონტინგენტი – ალბათ საკამათო თემაა. როცა გვყავს ანანიძე, ყენია, კობახიძე, ოქრიაშვილი, თარგამაძე, რატომ უნდა იყოს პრობლემა შეტევის ორგანიზება და მაინცდამაინც დაცვიდან თამაში?..**

- მართლაც, გამოჩნდა, რომ გვყავს შემტევი პოტენციალის მქონე ფეხბურთელები. ოქრიაშვილის გოლი ბელარუსთან – ამან გვაჩვენა, რომ ქართველებს შეტევა კვლავაც შეგვიძლია. ეს შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებისთვის ალბათ თავისებური მოსამზადებელი პერიოდია 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის ეტაპისთვის, ორი წლის შემდეგ ჩვენ უკვე სულ სხვა გუნდი გვეყოლება, ამ ეტაპზე კი ალბათ არ ვართ მზად ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად, როცა ჯგუფში ესპანეთი და საფრანგეთი გყავს, ძალიან მომთხოვნები ვერ ვიქნებით.

**- ფინეთთან და ბელარუსთან მატჩებისთვის საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ორი ნომინალური თავდამსხმელია გამოძახებული – ლევან მჭედლიძე და ირაკლი სირბილაძე. ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

- ალბათ აქცენტი კონტრშეტევებზე გაკეთდება.

**- საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელებს რატომღაც ერიდებათ გულახდილი საუბარი თემურ ქეცბაიას განწვრთნილ ნაკრებზე...**

- მიმაჩნია, რომ აზრი ღიად უნდა დავაფიქსიროთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცას კრიჭაში უნდა ჩავუდგეთ.

**- მაშინ ასეთი, უფრო მკაფიო ფორმულირება მივცეთ საკითხს – რა არის პოზიტივი და ნეგატივი საქართველოს ამ ნაკრებში?**

- პოზიტივში უნდა ჩაითვალოს სათამაშო დისციპლინა, ფეხბურთელები ცდილობენ, რომ მაქსიმალურად დაიხარჯონ, საქართველოს ამ ნაკრებში გუნდურობა იგრძნობა, ფაქტია, რომ დაცვაში თამაში გამოსწორებულია, საქართველოს ნაკრები ბევრ გოლს არ უშვებს, მეკარეების წინსვლაც სახეზეა: რაც შეეხება ნეგატივს, შეტევით ასპექტებში მოვისუსტებთ, მეტი კომბინაციური თამაში გვჭირდება.

**- 12 ოქტომბერს ფინეთთან, ოთხი დღის შემდეგ ბელარუსთან – რა შედეგს ელით საქართველოს ნაკრებისგან ამ მატჩებში?**

- ვფიქრობ, ოთხი ქულა მაქსიმუმი იქნება, ფინეთთან ალბათ უფრო მეტია წარმატების შანსი. ამ შეხვედრებიდან მინიმუმ ორ ქულა უნდა ავიღოთ.

**- საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებზეც გკითხავთ - არიან მანდ გამორჩეულად ნიჭიერი ფეხბურთელები?**

- ამ გუნდის ბირთვი გაისად 17-წლამდელთა ევროშესარჩევში ითამაშებს. გოშაძე, ქურდაძე, ლაშხია, გოშთელიანი, ჯობავა...საკმაოდ კარგი თაობა მოდის.

**- ლეგიონერიც გყოლიათ...**

- ჯობავა ფრანგული "ოსერის" თავდამსხმელია, როგორც კი "ოსერმა" ის საქმეში ნახა, მყისვე დაინტერესდა მისით, ჯობავას მშობლებიც საფრანგეთში წაიყვანა...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ფუტსალი. ევროპის თასი. ელიტრაუნდი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# იბერია სტარი ნამდვილი ფავორიტია, ბენფიკამ წაიბორძიკა

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ფუტსალის თასის გათამაშების ელიტრაუნდი დაიწყო. ცნობისთვის, ეს ტურნირი ფუტსალში იგივეა, რაც ჩემპიონთა ლიგა – ფეხბურთში. ასე რომ, ასეთი რანგის მატჩების ცოცხლად ხილვა საკმაო სიამოვნებაა, მით უფრო მაშინ, როცა ქართული კლუბი უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის.

გუშინ საქართველოს ჩემპიონმა “იბერია სტარმა” ფინალური ოთხეულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და იმედია, ამჯერად მაინც შეძლებს იმ მიზნის მიღწევას, სადამდეც ბოლო წლებში მცირედი აკლდებოდა ხოლმე.

ამაში “იბერია სტარს” ხელი შინაურმა კედლებმა უნდა შეუწყოს. მატჩებზე დასწრება თავისუფალია და იმედია, ელიტრაუნდის დასკვნით ორ ტურში ჩვენს გუნდს გუშინდელზე მეტი გულშემატკივარი გაამხნევებს.

**იბერია სტარი (საქართველო)– ლუპარენსე (იტალია) 6:1**

**1:0 აუგუსტუ (13), 2:0 აუგუსტუ (14), 2:1 საიოტი (24), 3:1 ბრუნო მელო (36), 4:1 ბრუნო მელო (36), 5:1 ბრუნო მელო (38), 6:1 ფუსტე (40)**

იბერია სტარი: **სელიო, აუგუსტუ, ბრუნო მელო, ლუსიო, რომარიო; აკოპოვი, რაფა, ძაბირაძე, ფუსტე, ჟილი, ალთუნაშვილი, სილვა.**

მწვრთნელი: **ს. ბენატი**

ლუპარენსე: **კავიკიო, პედოტი, ონორიო, მერლიმი, კაპუტო; პუტანო, ფაბიანო, აბდალა, კანალი, ბუონანო, საიოტი.**

მწვრთნელი: **ფ. კოლინი**

გაფრთხილება: **სილვა – მერლიმი, აბდალა**

არბიტრები: **რ. მარინი (ესპანეთი), დ. კონსტანტუნუ (კვიპროსი)**

მატჩი “იბერიას” სულაც არ მოუგია ისე მარტივად, როგორც ეს ანგარიშიდან შეიძლება მოგეჩვენოთ. 36-ე წუთამდე გაურკვეველი იყო, თუ ვინ დაეუფლებოდა გადამწყვეტ უპირატესობას. იტალიელებმა 2:1-ზე საკმაო რაოდენობის მომენტები შექმნეს, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე იყო ჩვენი ბრაზილიელი მეკარე სელიო. ახალი ამბავი არ არის, რომ “იბერია სტარში” ამინდს სწორედ ბრაზილიელი ლეგიონერები ქმნიან და სწორედ მათმა ოსტატობამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. თუმცა ჩრდილში არც გუნდის ქართველი კაპიტანი **გიორგი ალთუნაშვილი** ყოფილა.

**აუგუსტუმ** ჯერ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა, შემდეგ კი კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ერთი შეხებით მიუჩინა ადგილი “ლუპარენსეს” კარის ბადეში და ანგარიში ორამდე გაზარდა.

იტალიელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში ჩამორჩენა ერთ ბურთამდე შეამცირეს და 12 წუთის განმავლობაში მაყურებელი გვარიანად ანერვიულეს, თუმცა ამას **ბრუნო მელოს** გაბრწყინება და ორწუთიან მონაკვეთში შესრულებული ჰეთ-თრიქი მოჰყვა. ერთი გოლი მან მოედნის საკუთარი ნახევრიდან გაიტანა. იმ დროისთვის “ლუპარენსეს” მეკარე მოედნის მოთამაშით ჰყავდა შეცვლილი და ბოლო გოლები გარკვეულწილად, ამის გამოც გაუშვა.

მთლიანობაში, “იბერია სტარმა” დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და იმედია, ელიტრაუნდს უდანაკარგოდ ჩაამთავრებს.

**გიორგი ალთუნაშვილი** („იბერია სტარის“ კაპიტანი): “დიდი მადლობა გულშემატკივრებს, ამ გამარჯვებაში მათ დიდი როლი ითამაშეს. მჯერა, მათი მხარდაჭერით ჯგუფში პირველობასაც მოვახერხებთ”.

**ვახტანგ წერეთელი** (იბერია სტარის პრეზიდენტი): “იტალიის ჩემპიონთან გამარჯვება იოლი ნამდვილად არ არის და ბედნიერი ვარ, ეს რთული ამოცანა რომ გადავჭერით. ვიმედოვნებ, ეს შედეგი ქომაგებს სპორტის სასახლეში მოსვლისკენ უბიძგებს, მხარს უფრო მეტი გულშემატკივარი დაგვიჭერს და ელიტრაუნდში ერთობლივი ძალისხმევით გავიმარჯვებთ”.

**ბენფიკა (პორტუგალია)– დიორი ეტო (უნგრეთი) 3:3**

1:0 მარინიო (23), 2:0 კეირუში (24), 3:0 უგო **(36), 3:1 ჟუანრა (37), 3:2 აგილარი (39), 3:3 მარტინში (40)**

ბენფიკა: **ბებე, მარინიო, გონსალო, ს. პაულუ, კეირუში; მარკაო, უგო, ტეკა, დიეკე, ბ. კოელიო, ნენე, სოლი.**

მწვრთნელი: **პ. ფერნანდეში**

დიორი ეტო: **ბალაში, ლუკე, ალ-ლოანი, მარტინში, აგილარი; მატკოვიჩსი, ლოდი, შეგი, ჰარნიში, დროტი, ჟუანრა, ხორვატი.**

მწვრთნელი: **მ. ლოპესი**

გაფრთხილება: **ს. პაულუ, დიეკე – დროტი, ჟუანრა**

არბიტრები: **გ. ბაუერნფაინდი (ავსტრია), ლ. პეშკო (სლოვაკეთი)**

ფუტსალისთვის სენსაციები უცხო არ არის, თუმცა სპეციალისტთა აზრით, ამ ჯგუფის გამარჯვებული “იბერია სტარსა” და “ბენფიკას” შორის უნდა გაირკვეს. თუკი ჩვენმა ჩემპიონმა პირველ ტურში ფავორიტის სტატუსი ასი პროცენტით გაამართლა, პორტუგალიელებმა დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება ვერ შეძლეს.

არადა, 37-ე წუთამდე “ბენფიკა” სამბურთიანი უპირატესობით იყო დაწინაურებული და ვერავინ წარმოიდგენდა, ასეთი უსიამოვნება თუ შეემთხვეოდა. “დიორი ეტომ” სასწაული მოახდინა – უნგრელებმა ორი სწრაფი გოლით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, გამათანაბრებელი ბურთი კი შეხვედრის დასრულებამდე ორი წამით ადრე გაიტანეს!

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 2. ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 3. დიორი ეტო | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 4. ლუპარენსე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |

**დღეს:**

**15:00 ლუპარენსე-ბენფიკა**

**17:30 იბერია სტარი-დიორი ეტო**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

# დავით უგრელიძე: სამართლიანობა უნდა აღდგეს!

**“ქართული ოცნების” გამარჯვება ყველა სფეროზე დადებითად აისახება და მათ შორის ფეხბურთზეც” - ამბობს ვეტერანი ფეხბურთელი დავით უგრელიძე.**

**უგრელიძე ვარსკვლავი არ ყოფილა, მაგრამ საკმაოდ კარგი თავდამსხმელი იყო და, რაც ყველაზე მთავარია, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ღირსეული ნაბიჯით შევიდა: მისი და ლანჩხუთის “გურიას” სხვა მოთამაშეების (თემურ ჩხაიძე, გია გოლიაძე, მერაბ თევზაძე, ოთარ კორღალიძე, ლევან ბარათაშვილი...) დამსახურებაა, 1990 წელს საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება რომ გადაწყვიტა და მასში საუკეთესო ქართული გუნდები ჩაერთნენ.**

**“ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის” ერთ-ერთი დამფუძნებელი, “გურიას” ვეტერანებთან ერთად, “ქართულ ოცნების” თემატურ ჯგუფში გაწევრდა და ლანჩხუთში თემურ ჩხაიძის საარჩევნო შტაბში იყო.**

**დღეს დავით უგრელიძე “ლელოს” სტუმარია და მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე საუბრობს.**

**- პირველი ოქტომბრის შემდეგ რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ფეხბურთში?**

- მთელ ქვეყანაში დაიწყება სასიკეთო პროცესები, რაც ფეხბურთზეც აისახება. “ქართული ოცნების” თემატურ ჯგუფში შესვლა ლევან ყიფიანმა მთხოვა. “გურიას” ვეტერანი ფეხბურთელები იმიტომ გავწევრდით, რომ გვჯერა – კოალიციის გამარჯვება მთლიანად ქვეყანასაც წაადგება და ფეხბურთსაც. ყველა იმისკენ ვართ მომართულნი, რომ ამ სახეობის განვითარებისთვის მეტი სასიკეთო პროექტი დაიდოს. უპირველესად, აუცილებელია ფეხბურთში საინვესტიციო გარემოს შექმნა.

**- ეს მხოლოდ ადეკვატური კანონმდებლობით არის შესაძლებელი. დღეს კი ფეხბურთში ინვესტიციებს ლამის მხოლოდ სოციალური მნიშვნელობა ენიჭება.**

- გეთანხმებით. მაგრამ პარლამენტში ძალიან ბევრი სპორტსმენი მოხვდა და პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერს გააკეთებენ. საკანონმდებლო ბაზა მართლაც დასახვეწია. ეს ვრცელი თემაა, რომელზეც მსჯელობა უნდა დაიწყოს.

მხოლოდ ზოგად თეზისებს გეტყვით: უპირველესად, საფეხბურთო მეურნეობას სჭირდება შესაბამისი, ადეკვატური გადასახადი. აქ აუცილებელია ხაზგასმა - არა შეღავათები! ფეხბურთიც ერთ-ერთი დარგია, რომელიც გადასახადს უნდა იხდიდეს, მაგრამ არ შეიძლება, მაგალითად, სტადიონის მიწის დაბეგვრის ტარიფი რესტორნისას უდრიდეს. გადასახადების დიფერენცირება ისევ ქვეყანას წაადგება.

ასევე აუცილებელია სპორტული პროდუქციის შემოტანისას დაბეგვრის შემცირება, რადგან ჩვენ თითქმის არ გვაქვს მსგავსი ტიპის წარმოება. არ შეიძლება ერთნაირი გადასახადი ჰქონდეს კვების პროდუქტებსა და ბურთებს. კიდევ უამრავი საკითხია იურისტებთან და ეკონომისტებთან გასავლელი. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამ კუთხით თითქმის არც უმუშავიათ.

და კიდევ: ჩვენი აზრით, პრიორიტეტები უნდა შეიცვალოს და სახელმწიფოს წლიური დახმარება 7 მილიონი ლარი სხვა მიმართულებით დაიხარჯოს. **ანუ, ნაკრების ნაცვლად** ბავშვთა ფეხბურთსა და ინფრასტრუქტურას **უნდა მოხმარდეს.** ჩვენი მიზანი ძლიერი ფეხბურთელების გაზრდაა. ამაზე თუ არ ვიმუშავებთ და ძლიერ სკოლას არ შევქმნით, ქართულ ფეხბურთში ინვესტიცია ვერ წამოვა. ჩვენს პროგრამაში დეტალურად არის გათვალისწინებული, საიდან დავიწყოთ, სახელმწიფოს თანხები როგორ მოვიხმაროთ. ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება ქართული ფეხბურთის თანადგომის ფონდის შექმნაც, სადაც თანხების აკუმულირება მოხდება, ამის გარანტი კი სახელმწიფო უნდა იყოს. მერე ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრავს, ფული სად დაიხარჯოს.

ბავშვთა ფეხბურთის გარდა, ჩვენ გვაქვს რეგიონების გამოცოცხლების პროგრამა. ადრე ქართული ფეხბურთი სწორედ იქიდან იკვებებოდა, ახლა კი მხოლოდ თბილისისა და ორიოდე ქალაქის იმედად დაგვრჩა. რა უნდა გაკეთდეს? რეგიონული ფედერაციების წლიური დაფინანსება 10 ათასი ლარი იყო, რაც არასაკმარისია. თავად ვნახე ბევრ სოფელში არსებული მდგომარეობა, წვიმის დროს, ბევრ სკოლაში ვარჯიში შეუძლებელია, რადგან მოედნები ტალახდება.

არ დავაკონკრეტებ და ასეთი მაგალითებიც ვიცი: რაიონებში საფეხბურთო ჯგუფებში გადასახადი 5-დან 20 ლარამდეა, მაგრამ ოჯახები ამასაც ვერ იხდიდნენ და ბავშვებს ლობიოს, სიმინდსა და ფქვილს ატანდნენ! სოფლები მოვიარეთ და ბევრგან მოედნებიც არ დარჩა. არადა, სკოლა და გუნდი ყველა სოფელსა და დაბაში უნდა იყოს, თუ ფეხბურთის მასობრიობასა და განვითარებაზე ვფიქრობთ.

სწორედ ამას გთავაზობთ: ფეხბურთში, ძირითადად, წარმატებებს გაჭირვებული ოჯახების შვილები აღწევენ და ასეთების მოზიდვაზე უნდა ვიფიქროთ. ყველა რაიონში უნდა გაიხსნას 3-4-მოედნიანი, მაღალი სტანდარტების მქონე საფეხბურთო სკოლა თავისი აღდგენითი ცენტრით, რომელიც უფასო იქნება და მუნიციპალიტეტები დააფინანსებენ. საამისო ტერიტორია ყველგან მოიძებნება. სხვაგვარად, ნაკრებს მასაზრდოებელი წყარო მოაკლდება.

**- მერე სახელმწიფოს ამის რესურსი აქვს?**



- ამის თაობაზე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ვისაუბრე. საკითხი ასე არ დგას, რომ ჯერ სხვა სფერო და მერე სპორტი, რადგან ყველა სფეროს ერთიანად უნდა შეუტიონ, ქვეყანაში მდგომარეობა რადიკალურად რომ გამოსწორდეს.

სხვა პრიორიტეტი რომ გვქონოდა და ნაკრებებზე დახარჯული თანხები რაიონებზე განაწილებულიყო, აქამდე ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდებოდა. მაგალითად, შესაძლებელია რამდენიმე რაიონში ეროვნული აკადემიების დაარსებაც. ფედერაციას არ დავუკარგავ, მსგავსი ტიპის სამი სკოლის დაფუძნება სურდა, მაგრამ ეს პროექტი შეჩერდა.

გარდა ამისა, რეგიონებში საფეხბურთო გუნდების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ზოგიერთ გუბერნატორს ფეხბურთი უყვარს და აფინანსებს, ვილაცას არ უყვარს და არ პატრონობს – ამ დროს, ერთიანი მიდგომაა შესამუშავებელი.

არავინ მოგვცემს უფლებას, პროგრამა მთლიანად სახელმწიფოს კისერზე დავაწვეთ. მაგრამ ეს უნდა იყოს 5-დან 10-წლიანი პროექტი და ხელისუფლებას უნდა დავუსაბუთოთ, რომ ეს არის აუცილებელი პროექტი, რომ ფეხბურთი ბევრ ქვეყანაში არა მხოლოდ მომგებიანი, არამედ გამართული ინდუსტრია გახდა. მაგალითად, თურქეთში. ფეხბურთი მხოლოდ ერთი და მოედანი არ არის, საქართველოში უამრავი ნარჩენი – ბურთის, ფორმების, ბუცების, სავარჯიშო აღჭურვილობის, სტადიონისთვის სკამების საწარმოებლად...

**- ბევრს არ სჯერა, ფეხბურთი საქართველოში მომგებიანი რომ გახდება.**

- დღევანდელ გარემოში ეს წარმოუდგენელია. მაგრამ 5-10 წელი სახელმწიფო სასურველ გარემოს თუ შექმნის, დარწმუნებული ვართ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია.

**- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ლევან ყიფიანმა ფეხბურთის ფედერაციასთან დაკავშირებით მკაფიო პოზიცია ჩამოაყალიბა, სახელმწიფოს ჩარევა დაუშვებელია.**

- აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ სამართლიანობა უნდა აღდგეს. ვისაც ეს არ ესმის, [illegible] – ფეხბურთში უნდა დასრულდეს პარტიული ჩარევები. სიჭინავამ თავად ხომ იცის, როგორ დანიშნეს, კონკრეტულ პირებს არ ჰყავდა და ასეთი არჩევნები რეალურად დაინიშნა. მის ძალით [illegible], მაგრამ სამართლიანობის აღდგენა იქნება, თავად თუ [illegible]. [illegible] რეგიონული არჩევნები დაინიშნება. მაგრამ, რომ ის [illegible] ადამიანი არც უნდა იყოს. [illegible] ფეხბურთის ჩემპიონატის [illegible], რომ სტადიონები, ნარჩენი ბაზა და რამდენი მოედანი [illegible]. მაგრამ სახელმწიფო რამდენიმე სტადიონს რომ დააფინანსებს და გაასხვისებს, სანაცვლოდ კი ნახევარს ააშენებს, ეს არის პიარზე გათვლილი პროექტი. მარტო თბილისში ათამდე მოედანი და სკოლა დაიხურა, სანაცვლოდ, რამდენი აშენდა? ჩემი აზრით, სიჭინავას უფრო მეტი მასშტაბური პროექტების განხორციელება და ბავშვთა ფეხბურთზე მეტი ზრუნვა შეეძლო.

მეტი პრინციპულობა მართებდა [illegible] დაკავშირებითაც. თავიდან გარიგებებში მონაწილე 150 ფეხბურთელი დასახელდა, მაგრამ მხოლოდ 5 დაისაჯა და მათაც მალე დისკვალიფიკაცია მოუხსნეს. [illegible]

მაგრამ ფედერაციას [illegible] “ქართულ ოცნების” [illegible] კანდიდატი იტყვის, რა თანხა მოაქვს და საიდან. სიჭინავამ “სოკარის” გარდა, სპონსორები ვერ მოიზიდა, პროფლიგაც დაიშალა და თუ მაინც სახელმწიფო და უეფა გვაფინანსებენ, სად ჩანს მისი ძლიერი მენეჯერობა? მოედნის დამგებს ხომ ყველა მოძებნის.

და თუ სამართლიან არჩევნებში მაინც სიჭინავა გაიმარჯვებს, “ოცნება” 15 წუთში ნამდვილად არ აიძულებს გადადგომას.

**მერაბ მამულაშვილი**

**რედაქციისგან:** *ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, მართლაც აქტუალურ საკითხებზე ფოკუსირების გამახვილების გარდა, ვფიქრობთ, არაერთ კითხვას გაუჩენდათ მკითხველთაც. არა გვგონია, სახელმწიფოს დახმარება 7 მილიონი ლარი [illegible] იყოს. [illegible] ხომ შეუძლებელია. [illegible] “ზოგიერთ რაიონში ეროვნული აკადემიის დაარსება”. [illegible] იმედით, რომ ინტერვიუს გამოხმაურება მოჰყვება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# გალიანი გვარდიოლას შეხვდება

## ბრაიდამ მოლაპარაკება არ უარყო

იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად ვრცელდება ცნობები იმის თაობაზე, რომ "მილანის" მესვეურები **პეპ გვარდიოლასთან** აწარმოებენ მოლაპარაკებებს. 41 წლის ესპანელი სპეციალისტი ამჟამად უგუნდოდაა, ამერიკაში ისვენებს და როგორც აცხადებს, ფეხბურთში მომდევნო სეზონიდან დაბრუნდება. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, მილანელთა სურვილია, რომ პეპმა "როსონერი" სწორედ ზაფხულში ჩაიბაროს და ამის შესახებ შეთანხმება აქედანვე შედგეს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, **ადრიანო გალიანი** მალე შტატებში გაფრინდება, სადაც გვარდიოლას პირისპირ შეხვდება და მოლაპარაკებებსაც გამართავს - ითქვა ისიც, რომ შეთანხმების შემთხვევაში, გვარდიოლა წელიწადში 6 მილიონ ევროს მიიღებს.

ამ თემაზე კომენტარი ლომბარდიული გრანდის დირექტორმა **არიედო ბრაიდამ** გააკეთა: "*დაინიშნება თუ არა გვარდიოლა "მილანის" თავკაცად? - დღეს, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ნამდვილად შეუძლებელია. როგორ ფიქრობთ, მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგა და სკუდეტო რომ მოვიგოთ, ალეგრის გათავისუფლების საკითხი დადგება დღის წესრიგში? - ასე რომ, დღეს რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკი გამორიცხულია*".

ბრაიდამ შეთანხმება გამორიცხა, მაგრამ მოლაპარაკებები არ უარყვია, რაც დადასტურებაა იმის, რომ გალიანი გვარდიოლასთან შეხვედრას აპირებს. ანუ, თუ მართლა ალეგრიმ მთები არ გადააბრუნა, დიდია ალბათობა, მომდევნო სეზონიდან "მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხოსეპ გვარდიოლა ვიხილოთ.

**ლაშა წიკლაური**



შესაძლოა, სილვიო ბერლუსკონიმ და პეპ გვარდიოლამ სხვანაირად ჩამოართვან ხელი

დიდი მატჩის მოლოდინში

# ჩრდილოეთი VS სამხრეთი

## ჯერ მხოლოდ კომენტარებით

**სერია A-ს მომდევნო ტურამდე ათი დღეა დარჩენილი, მაგრამ ერთი ისეთი შეხვედრა გაიმართება, რომელზეც აქედანვე აქტიურად მსჯელობენ. ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის ლიდერები: "იუვენტუსი" და "ნაპოლი" წარსდგებიან, თამაში კი ტურინში გაიმართება. ლიდერობას რომ თავი დავანებოთ, საყოველთაო მოსაზრებით, სკუდეტოსთვის სწორედ ეს ორი გუნდი იბრძოლებს. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ამ მატჩის გარშემო საინტერესო კომენტარები აქედანვე ვრცელდება. მაშ ასე, ჩრდილოეთი VS სამხრეთი, ჯერ მხოლოდ კომენტარებით...**



ტურინში დიდი ბრძოლა იქნება

**ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)**

სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი პრეტენდენტი "ნაპოლია", შემდეგ კი "ინტერს" დავასახელებდი. ნეაპოლელებს ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ და თანაც, სრულ კონცენტრაციას სერია A-ზე აკეთებენ. მათი მიზანი ჩემპიონობაა, ეს ცხადზე უცხადესია. მართალია, ობიექტური გადასახედიდან ფავორიტად ჩვენი გუნდი მიმაჩნია, მაგრამ თუ ფხიზლად არ ვიქნებით, აუცილებლად დავისჯებით. რაც შეეხება "ნაპოლისთან" ჯახს, დაძაბული ბრძოლა იქნება, რომელიც ჩვენი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ. მთავარია, შუა ხაზში მოვიპოვოთ უპირატესობა და ყველაფერი კარგად იქნება.

**კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი)**

"იუვენტუსი"-"ნაპოლის" ჯახი ნამდვილად განსაკუთრებული იქნება და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. თუმცა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს დაპირისპირება სკუდეტოსთვის ბრძოლაში გადამწყვეტი იქნება. ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა და ამაში, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება. ამიტომ, ფსიქოლოგიურად თავისუფლად უნდა ვიყოთ და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. მეტოქე კონტრშეტევებზე შეეცდება იხეიროს, რისი საშუალებაც არ უნდა მივცეთ. ამიტომ, მცველებს მაქსიმალური ყურადღებით მართებთ ყოფნა. ვფიქრობ, თუ უკანა ხაზში უშეცდომოდ ვითამაშებთ, სამი ქულა აუცილებლად ჩვენ დაგვრჩება.

**ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი)**

სიმართლე გითხრათ, დღეს მხოლოდ სანაკრებო მატჩებზე ვარ კონცენტრირებული, მაგრამ "ნაპოლისთან" დაპირისპირებაზე ორი სიტყვის თქმა ნამდვილად შემიძლია. სამხრეთელებს კიდევ უკეთესი გუნდი ჰყავთ, ვიდრე გასულ სეზონში და დარწმუნებული ვარ, რომ სკუდეტოსთვის ბოლომდე იბრძოლებენ. ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, რადგან უშუალო კონკურენტი დავამარცხოთ. დიახ, ეს იქნება ბრძოლა ექვსი ქულისთვის, რომელიც, იმედია, ჩვენი გამარჯვებით დასრულდება.

**გორან პანდევი (ნაპოლი)**

"იუვენტუსთან" ჯახისთვის აქედანვე ვემზადები, რადგან სწორედ ასეთ ბრძოლებში უნდა დავამტკიცოთ ჩვენი შესაძლებლობები. ფავორიტი "იუვენტუსია", მაგრამ იოლად რომ არაფერს დავთმობთ, ეს ფაქტია. ორი წლის წინ, "ნაპოლი" გადამწყვეტ პაექრობაში "მილანთან" 0:3-ზე დამარცხდა და ის მატჩი, ნეაპოლში ჯერ კიდევ მწარედ ახსოვთ... დღეს, "ნაპოლი" ბევრად უფრო ძლიერია და უშუალო კონკურენტს ნამდვილ ბრძოლას გავუმართავთ.

**პაოლო კანავარო (ნაპოლი)**

სასწორზე ნამდვილად ექვსი ქულა დევს, ამიტომ, მოედანზე მთელი ენერგია უნდა დავტოვოთ. "იუვენტუსი" უძლიერესი გუნდია, რომელიც შეცდომას არ გპატიობს და ეს კარგად უნდა გავითავისოთ. ვალტერ მაცარი ამ თამაშისთვის განსაკუთრებულად ემზადება, მეტოქეს სულ დეტალებში სწავლობს, რაც შედეგს აუცილებლად გამოიღებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად "იუვენტუსზე" ავეწყობით - ჩვენი თამაში უნდა ვაჩვენოთ და სწორედ ასე ვძლიოთ უშუალო კონკურენტს.

**ლაშა წიკლაური**

ინტერი

# კამბიასოს მადა მოემატა

მილანურ დერბიში „ინტერის“ მიერ „მილანის“ დამარცხებით შეგულიანებულმა 32 წლის **ესტებან კამბიასომ** პრესასთან კომენტარი გააკეთა და კონკურენტებს სულ თითი უქნია:

"*ბევრისთვის ეს უტოპიაა, მაგრამ ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა. შესაძლებლობებით არც ერთ გუნდს არ ჩამოუვარდებით და ყველასთან ტოლსწორად ძალგვიძს თამაში. მთავარია, სტაბილურად მაღალ დონეზე ვიასპასრეზოთ და ქულები გასვლით თუ საშინაო თამაშებში თანაბარი წარმატებით ვაგროვოთ. "მილანი" არც ისე სუსტია, როგორც ეს ბევრს ჰგონია და დამიჯერეთ, თანაქალაქელის დამარცხება ურთულესი იყო. მთავარია, ალებული ტემპი არ დავაგდოთ და ყველაფერი კარგად იქნება. "იუვენტუსი" ძალიან ძლიერია, მაგრამ არც ჩვენ გვყავს ნაკლები გუნდი*".



ესტებან კამბიასო

კამბიასოს თქმით, მის გუნდს ევროპალიგის მოგებაც შეუძლია და ამ ტურნირზე უმთავრეს ფავორიტადაც ითვლება: "*ევროპალიგის გათამაშებას დიდი გულისყურით ვეკიდებით და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ევროარენაზე წარმატებით გამოვიდეთ. ჩემი აზრით, ევროპის ლიგაზე სულაც ფავორიტები ვართ და ეს სტატუსი აუცილებლად უნდა გავამართლოთ*".

**ლაშა წიკლაური**

ვარსკვლავი. სანტი კასორლა




მიკელ არტეტა სანტი კასორლას ლონდონთან ადაპტაციაში ყველანაირად ეხმარება

# სანტი, დავიდი და არჩევანი

**"არსენალის" ახლადმოვლენილმა ლიდერმა სანტი კასორლამ გამოცემა "მირორს" მისცა ინტერვიუ, სადაც იმ გარემოებებზე ილაპარაკა, რამაც მას პრემიერლიგაში თამაში გადააწყვეტინა. აღმოჩნდა, რომ 27 წლის ესპანელს რჩევა დავიდ სილვასთვის უკითხავს. მასალას შემოკლებით, თანაც მონოლოგის სტილში გთავაზობთ.**

- იქამდე, ვიდრე ინგლისში გადმოსვლას გადავწყვეტდი, **დავიდ სილვას** შევეხმიანე. მან პირობა მომცა, რომ პრემიერლიგაში ყველაფერი მომეწონებოდა. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ სიამოვნებას მომანიჭებდა თანაგუნდელებთან ურთიერთობის სპეციფიკა. ესპანეთში ამ მხრივ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. აქ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. მოხარული გახლავართ, რომ აქ ვარ. როცა "არსენალმა" ჩემდამი ინტერესი პირველად დაადასტურა, **რობერ პირესმაც** იგივე მითხრა, რომ წამითაც კი არ უნდა შემპარვოდა ეჭვი, რომ ინგლისურ ფეხბურთში მიღებული გამოცდილება ძალიან წამადგებოდა. მან დამარწმუნა, რომ ჩრდილოლონდონური კლუბი ჩემს სტილს მაქსიმალურად მოუხდებოდა და რომ მას რეალური ამბიცია შეიძლებოდა ჰქონოდა ტიტულებისთვის ბრძოლაში. ჯერჯერობით პირესი რასაც მეუბნებოდა, ყველაფერი ისე ხდება. სწორედ ამიტომ ვგრძნობ თავს ბედნიერად. "ემირიტსზე" უკვე ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში. ინგლისური ცხოვრების წესსაც ნელ-ნელა ვეჩვევი, ნელ-ნელა იმიტომ, რომ ესპანურისგან ის ბევრით განსხვავდება. ადაპტაციაში ხელს მიწყობს ის, რომ გუნდში **მიკელ არტეტა** დამხვდა. ის ყველაფერში გვერდში მიდგას. არამარტო მას, მინდა მადლობა გადავუხადო "არსენალის" თითოეულ ფეხბურთელს თბილი მიღებისთვის. გუნდის გამოსვლას რაც შეეხება, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ყველაფერი კარგად მიდის. გული მწყდება, რომ "ჩელსისთან" დავმარცხდით, რადგან ამას არ ვიმსახურებდით. დარწმუნებული ვარ, "სიტისთან", "იუნაიტედთან", "ტოტენჰემთან" და იმავე "ჩელსისთან" კონკურენციას წელს თავისუფლად შევძლებთ.

გუნდში განსაკუთრებულ ატმოსფეროს **არსენ ვენგერი** ქმნის. ფეხბურთელებისთვის ის მეორე მამაა და იმსახურებს იმ პატივისცემას, რასაც საპასუხოდ იღებს. როცა ამდენი წლის განმავლობაში რჩები ერთსა და იმავე კლუბში, ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებული დამსახურება გაქვს და ბევრ კარგ საქმეს აკეთებ. ვენგერს ფეხბურთელებთან გულწრფელი მეგობრული დამოკიდებულება აკავშირებს. ის არასოდეს გააკეთებს იმას, რაც ჩვეულებრივ წესებს სცილდება. წარმატებული გუნდის ასაშენებლად საჭიროა, რომ ყველა ფეხბურთელს სამიზნე ერთი და იმავე მიმართულებით ჰქონდეს მომართული. გუნდში ეგოიზმის ადგილი არ რჩება.

საცხოვრებლად ჰემპსტედის რაიონი ავირჩიე. მშვენიერი ადგილია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. ჩემი შვილი უკვე აქაურ სკოლაში დადის. შევამჩნიე, რომ ამ უბანში ბევრი ცნობილი ადამიანი ცხოვრობს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ იტალიურ რესტორანში **ენტონი ჰოპკინსს** შევხვდი.

არა მგონია, რომ ჩვენს ეპოქაში ფეხბურთელის სიმაღლეს განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ ჰქონდეს. არადა, წლების წინ ამ მონაცემებს ხანდახან ტექნიკურზე მეტად აქცევდნენ ყურადღებას. კიდევ კარგი, დამოკიდებულება შეიცვალა. **მესი** და **ინიესტა** ამტკიცებენ, რომ მოკრძალებული ფიზიკური მონაცემების ფეხბურთელებსაც შეუძლიათ უმაღლეს დონეზე თამაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩელსი

# პრინციპების სადარაჯოზე

"სანის" ცნობით, "ჩელსი" **ფრენკ ლემპარდისა** და **ეშლი კოულის** ხათრითაც არ აპირებს გადაუხვიოს თავის საკადრო პოლიტიკას და ვეტერანებს ერთწლიანზე ხანგრძლივი კონტრაქტები შესთავაზოს. ეს ამბავი საბოლოოდ ამ დღეებში დადასტურდა, როცა კლუბის პრესსამსახურის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, მართალია, ისინი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათთვის ერთადერთი შანსი შეთავაზებულ პირობებზე დათანხმებააო. მან **დიდიე დროგბას** მაგალითიც გაიხსენა, როცა ივუარელ სუპერფორვარდს ერთწლიანი თანამშრომლობა ან წასვლა შესთავაზეს. თავის მხრივ არც ფეხბურთელები აპირებენ უკან დახევას და მინიმალურ კონტრაქტზე ხელის მოწერას. ლემპარდსაც და კოულსაც მოქმედი ხელშეკრულებები სეზონის დასრულებისთანავე ეწურებათ. ცხადია, არც ერთსა და არც მეორეს უმუშევრობა არ ემუქრება. მალალანაზლაურებად სამსახურებს ისინი უპრობლემოდ მონახავენ, მაგრამ მხარეთა პრინციპულობით, უპირველესად, "ჩელსის" გულშემატკივრები ზარალდებიან. ფრენკი ხომ "სტემფორდ ბრიჯზე" 2001 წლის ზაფხულიდან თამაშობს, კოული – 2006-დან. ფანებს მათზე მზე და მთვარე ამოსდით.

ლონდონელთა ვარსკვლავების სავარაუდო მომავალზე ბევრი იწერება. ლემპარდს ჩინური კლუბები არნახულ ხელფასს, კვირაში 250 ათას ფუნტს სთავაზობენ. ამბობენ, რომ მისი გადაბირებით "ნიუ იორკ რედ ბულსიც" არის დაინტერესებული. ამერიკელები მას ამხელა ხელფასს ვერ გადაუხდიან, სამაგიეროდ, ის მსოფლიოს მეგაპოლისში გადავა საცხოვრებლად. კოულს კი "პარი სენ-ჟერმენი", "ინტერი" და "მილანი" ეპატიჟებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

# უცხოური ფეხბურთი

● ვარსკვლავი

## ოუენი სიმულანტობას უარყოფს



მაიკლ ოუენი

"სტოკ სიტიში" გადასვლის შემდეგ **მაიკლ ოუენისადმი** ინტერესი ხელახლა გაიზარდა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან გაიხსენა, რომ მას 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინასთან მეორე გოლის ეპიზოდში შეეძლო ფეხზე დარჩენა, მაგრამ დაცემა ამჯობინა. ბრიტანულმა გამოცემებმა ფრაზა კონტექსტიდან ამოგლიჯეს და ფეხბურთელს ბრალი დასდეს, რომ მან უბრალოდ ისიმულანტა. ოუენმა ბრალდებას ამ დღეებში ტვიტერზე უპასუხა: *"პირველად მაქვს განცდა, რომ ბრიტანული პრესა ფეხს მიდებს. ისეთი მყვირალა სათაურები, რომ თურმე წინასწარი განზრახვით მოვიტყუე, რათა პენალტი მომეპოვებინა, საშინელებაა. მხოლოდ ის ვთქვი, რომ მაშინ დავეცი, როცა ფეხზე დარჩენა შემეძლო. ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ალბათ მსოფლიოს ყველა ლიგაში ასე იქცევიან. როგორც პიერ-ლუიჯი კოლინამ ერთხელ განმარტა, თუკი ფეხბურთელის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვიეს, მას სრული უფლება აქვს, რომ გაზონზე წამოკოტრიალდეს. ყველაფერი სხვანაირად რომ იყოს, მაშინ თითქმის ყველა წესის დარღვევა არასამართლიანი იქნება, რადგან იშვიათად ხდება, როცა მცველი გამიზნულად აკეთებს ვარდნას და ძირს გაგდებს. თავდამსხმელზეა დამოკიდებული, აიძულებს თუ არა მცველს წესის დარღვევას. აქვე დავაზუსტებ, არასოდეს კარიერის განმავლობაში არ წავქცეულვარ ისე, რომ მცველთან კონტაქტი არ შემდგარიყო. მე არ ვამართლებ სიმულაციის არც ერთ ფაქტს. მეტიც, მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა უნდა აღმოიკვეთოს ფეხბურთიდან".*

**ლევან ბიბილაშვილი**

● მანჩესტერ სიტი

## ვიეირა: ფეარ პლეი ხელს ვერ შეგვიშლის



"მანჩესტერ სიტის" აღმასრულებელმა დირექტორმა **პატრიკ ვიეირამ** კლუბის მიერ დაგეგმილ სამომავლო პოლიტიკაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ "ქალაქელები" ითვალისწინებენ უეფას ახალ კანონებს, მაგრამ ის ვერ გახდება ხელის შემშლელი იმ შემთხვევაში, თუკი, მაგალითად, კლუბი "ატლეტიკოდან" **რადამელ ფალკაოს** ან მისი კალიბრის რომელიმე ფეხბურთელის ყიდვას მოისურვებს. აი, რას აცხადებს ფრანგი ფუნქციონერი:

– ჩვენ კლუბის განვითარების ჩვენეული ხედვა და გეგმა გაგვაჩნია. უახლოესი წლების განმავლობაში აქტიურად დავიწყებთ გუნდში აკადემიის აღზრდილი ფეხბურთელების გადაყვანას. ბოლო სამი წლის განმავლობაში უკვე მივაღწიეთ იმას, რომ "იუნაიტედის", "ჩელსისა" და "არსენალის" ღირსეული კონკურენტი გუნდი ჩამოვაყალიბეთ. სწორედ ამიტომ ვყიდულობდით საუკეთესო ფეხბურთელებს. ახლა უკვე მეორე ფაზა იწყება. ზემოთაც გითხარით, რომ ეს საკუთარი კადრებზე დაყრდნობას გულისხმობს. ჩვენი აზრით, "სიტის" საფეხბურთო სკოლა უკვე არის ერთ-ერთი საუკეთესო მთელ მსოფლიოში. ამის მიუხედავად, ხმაურიანი ტრანსფერების განხორციელებაში ეს ხელს ვერ შეგვიშლის. ცხადია, ზუსტად ისევე, როგორც ამას ჩვენი კონკურენტები აკეთებენ. ვის ყიდვას გადაწყვეტს გუნდის მთავარი მწვრთნელი? ეს მხოლოდ რობერტო მანჩინის გადასაწყვეტია. "სიტის" მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია, შესაძლოა, ის 10-15 წელიწადიც კი გაგრძელდეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. IX ტური

ბიბლიოთეკა

## კლასიკო მენდოსაში

### ყველაზე ძველი სერიალის 179-ე სერია

| | |
|---|---|
| ბოლივია-პერუ | 00:00 |
| კოლუმბია-პარაგვაი | 00:30 |
| ეკვადორი-ჩილე | 01:00 |
| არგენტინა-ურუგვაი | 04:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 7 | 4 | 2 | 1 | 15-6 | 14 |
| 2. კოლუმბია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 3. ეკვადორი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-7 | 13 |
| 4. ურუგვაი | 7 | 3 | 3 | 1 | 15-11 | 12 |
| 5. ჩილე | 7 | 4 | 0 | 3 | 12-13 | 12 |
| 6. ვენესუელა | 8 | 3 | 2 | 3 | 7-8 | 11 |
| 7. პერუ | 7 | 2 | 1 | 4 | 9-13 | 7 |
| 8. ბოლივია | 7 | 1 | 1 | 5 | 7-12 | 4 |
| 9. პარაგვაი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-14 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 – იგუაინი (არგენტინა); 5 - სუარესი (ურუგვაი); 4 – მესი (არგენტინა)



პარაგვაელებს ასეთი ფალკაოს ხილვა არ სურთ

**სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგი ტური უნდა გაიმართოს. ამ სათამაშო დღით I წრე დასრულდება და ყველა გუნდს თანაბარი ოდენობის მატჩი ექნება ჩატარებული. უკანასკნელი ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი, რა თქმა უნდა, არგენტინაში შედგება...**

#### ბოლივია-პერუ

გუნდებს ამ გადმოსახედიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი არ აქვთ, თუმცა ვინ იცის...

მასპინძლები პერუს ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ლა პასში დახვდებიან, მაგრამ გაიშვიათებული ჰაერის პირობებში თამაშს პერუელებიც შეჩვეულნი არიან, ასე რომ, ამ მხრივ ბოლივია უპირატესობას ვერ იგრძნობს. პერუელთა მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო მარქარიანმა** გადაწყვიტა, რომ ბოლივიასთან და 16 ოქტომბერს სტუმრად პარაგვაისთან, ორი სხვადასხვა გუნდით ითამაშოს. ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებს მარქარიანი ალბათ ლა პასში საერთოდ არ წაიყვანს და ეს ლოგიკურიც არის.

#### კოლუმბია-პარაგვაი

კოლუმბიის ეროვნულმა გუნდმა ბოლო 4 თამაშიდან 3 მოიგო და ახლა **ხოსე პეკერმანის** ბიჭები მეორე ადგილს იკავებენ. მისი მეტოქე პარაგვაი საშინლად თამაშობს, აბა სხვა რა უნდა ვთქვათ გუნდზე, ვისაც 7 ტურის შემდეგ მხოლოდ 4 ქულა აქვს. არადა, პარაგვაი 1994 წლის მუნდიალის შემდეგ ყველა ტურნირზე მონაწილეობდა.

ფავორიტი ცალსახაა და ეს კოლუმბიაა, მაგრამ პარაგვაელები იბრძოლებენ, რადგან ეს მათთვის პრაქტიკულად ბოლო შანსია. სტუმრებს ძალიან გაუჭირდებათ – პეკერმანს თითქმის ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავს და რაც მთავარია, ჯანმრთელია და გოლზე დაგეშილია **რადამელ ფალკაო**

#### ეკვადორი-ჩილე

ეს გუნდები ერთმანეთს ამხანაგურად ორი თვის წინ შეხვდნენ და ეკვადორმა 3:0 მოიგო. თამაში ნიუ იორკში გაიმართა და ორივე გუნდი თითქმის იდეალური შემადგენლობით იყო.

ახლა სასწორზე გაცილებით მეტი დევს, თანაც ეს ორი გუნდი ერთმანეთის კონკურენტია.

მათ ბოლო ოფიციალური მატჩი ეკვადორში ზუსტად 4 წლის წინ, 2008 წლის 13 ოქტომბერს ჩაატარეს და მაშინ გამარჯვება ეკვადორს დარჩა – მასპინძლებმა **კრისტიან ბენიტესის** გოლის წყალობით 1:0 მოიგეს. ის შეხვედრა ძალიან დაძაბული იყო, არბიტრმა სამი წითელი და 6 ყვითელი ჩამოარიგა. არანაკლებ დაძაბულ თამაშს უნდა ველოდოთ დღესაც, ბოლოს და ბოლოს საქმე სატურნირო ცხრილის მეზობლებთან გვაქვს, ხოლო როგორც ამ დროს ამბობენ: ეს არის 6-ქულიანი თამაში.

#### არგენტინა-ურუგვაი

მთავარი მატჩი; მშვენება, არა მარტო ამ ტურის, არამედ მთლიანად შესარჩევი ეტაპის – არგენტინა ურუგვაის წინააღმდეგ. ეს იქნება რიო დე ლა პლატას 179-ე დერბი. აქამდე ჩატარებული მატჩებიდან არგენტინელებს 81 აქვთ მოგებული, 44 ფრედ დასრულდა, ხოლო 53 კი ურუგვაიმ მოიგო.

ურუგვაიმ ბოლო ორი მატჩი ძალიან ცუდად ჩაატარა – ჯერ იყო და კოლუმბიასთან წააგო 0:4, შემდეგ კი შინ ეკვადორს ვერ სძლია (1:1). ამის გამო ახლა **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** შეგირდები მე-4 ადგილზე არიან, მაგრამ თუ ეს მატჩი მოიგეს, შესაძლოა პირველ პოზიციაზეც კი გადავიდნენ.

არგენტინელები აგრძელებენ ცოტა ხნის წინ დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ნაკრები მთელ ქვეყანაში მოგზაურობს. ამჯერად "ალბისელესტე" მეტოქეს მენდოსაში უმასპინძლებს. შეხვედრა თბილისის დროით 4 საათზე დაიწყება, მაგრამ ეს ისეთი მატჩია, რომლის გამო გათენება ნამდვილად ღირს.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**არგენტინა (4-3-3-):** რომერო – საბალეტა, ფ. ფერნანდესი, გარაი, როხო – მასკერანო, გაგო, დი მარია – აგუერო, იგუაინი, მესი.

**ურუგვაი (4-3-3):** მუსლერა – მაქსი პერეირა, ლუგანო, გოდინი, მ. კასერესი – არევალო რიოსი, ა. გონსალესი, გარგანო – ფორლანი, სუარესი, კავანი.

**ტატო ბაციკაძე**

● სამხრეთ ამერიკის კლასიკო. არგენტინა-ურუგვაი.

## 5 ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი

**არგენტინის და ურუგვაის დაპირისპირება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დაძაბული დერბია. მოგეხსენებათ ეს გუნდები ერთმანეთს ამაღამ, ქალაქ მენდოსაში შეხვდებიან. ამასთან დაკავშირებით, ფიფას ოფიციალურმა საიტმა ამ ქვეყნების 5 ყველაზე დასამახსოვრებელი თამაში გაიხსენა.**



1930 წლის მუნდიალის ფინალი

#### 1. ურუგვაი-არგენტინა 0:6

1902 წლის 20 ივლისი, ამხანაგური მატჩი, მონტევიდეო.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს გუნდები ერთმანეთს პირველად 1901 წლის მაისში შეხვდნენ, თუმცა ეს მოსაზრება ფაქტებით არ დასტურდება. ნაკრებებს შორის მტრობა სწორედ ამ დღეს, 1902 წლის 20 ივლისს დაიწყო. ფეხბურთის ისტორიაში ეს იყო პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი არაბრიტანულ გუნდებს შორის. შეხვედრა არგენტინელებმა გამანადგურებელი ანგარიშით მოიგეს და ეს შედეგი დღემდე სარეკორდო გასვლითი გამარჯვებაა ამ ქვეყნების დაპირისპირებებში.

#### 2. ურუგვაი-არგენტინა 4:2

1930 წლის 30 ივლისი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, მონტევიდეო.

პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, ისევე როგორც 2 წლით ადრე, 1928 წლის ოლიმპიადის დასკვნით შეხვედრაში, ერთმანეთს ურუგვაი და არგენტინა დაუპირისპირდნენ.

გადაჭედილ "სენტენარიოზე" დაწინაურება მასპინძლებმა მოახერხეს, გოლი **პაბლო დორადომ** გაიტანა, თუმცა პირველი ტაიმი სტუმრებმა მოიგეს – **კარლოს პეუსელის და გილერმო სტაბილეს** გოლებით არგენტინა 2:1-ს იგებდა.

მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა და ურუგვაელები დიდ უპირატესობას დაეუფლნენ და საბოლოოდ 4:2 მოიგეს. გოლები **პედრო სეამ, სანტოს ირიარტემ** და **ექტორ კასტრომ** გაიტანეს.

*"ჩვენ გადავიღალეთ და ველარ გავძელით. მე ტრავმა მქონდა და მოედნიდან გასვლამ მომინია, სამწუხაროდ, ბიჭებმა ურუგვაელთა ზეწოლას ვერ გაუძლეს და დავმარცხდით. მთელი დღე ვტიროდი და დღემდე, როდესაც ეს თამაში მახსენდება, ცრემლების შეკავება მიჭირს"* – განაცხადა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში **ფრანსისკო ვარალიომ.**

არგენტინა რევანშს 56 წელი ელოდა.

#### 3. არგენტინა-ურუგვაი 1:0

1986 წლის 16 ივნისი, მსოფლიოს ჩემპიონატი, მექსიკა, პუებლა.

მატჩის გმირი **პედრო პაბლო პასკული** გახდა. ურუგვაელები მთელ ყურადღებას **დიეგო მარადონას** უთმობდნენ და დაავიწყდათ "ლეჩეს" ფორვარდი, რომელმაც ამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

*"ეს ჩვეულებრივი მოგება არ იყო, ურუგვაელები ძალიან ხისტად და ხშირ შემთხვევაში უხეშადაც თამაშობდნენ. მატჩის შემდეგ ძალიან ბედნიერები ვიყავით, რადგან ურუგვაი მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბოლო 56 წელიწადში პირველად დავამარცხეთ"* – თავის წიგნში იხსენებდა დიეგო მარადონა.

#### 4. ურუგვაი-არგენტინა 0:1

2009 წლის 14 ოქტომბერი, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი, მონტევიდეო.

მოსისხლე მტრები საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. სასწორზე მეოთხე ადგილი და ფინალური ეტაპის საგზური იდო. დაძაბული და თანაბარი მატჩის კულმინაცია 79-ე წუთზე **მარიო ბოლატის** მიერ გატანილი გოლი იყო.

ეს იყო არგენტინის პირველი გამარჯვება მონტევიდეოში ბოლო 33 წელიწადში. ამ მოგების წყალობით, "ალბისელესტემ" მუნდიალის საგზური მოიპოვა, ურუგვაის კი პლეი ოფის თამაშმა მოუწია.

შეხვედრა ყველას ასევე დიეგო მარადონას პრესკონფერენციით დაამახსოვრდა – არგენტინელმა, თამაშის შემდეგ, უშვერი სიტყვებით ლანძღა ის ჟურნალისტები, რომლებიც მას აკრიტიკებდნენ.

#### 5. არგენტინა-ურუგვაი 1:1 პენ. 4:5

2011 წლის 16 ივლისი, კოპა ამერიკა, სანტა ფე.

18-წლიანი უტიტულობის შემდეგ, არგენტინელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ ცუდ პერიოდს სახლში, კოპა ამერიკის მოგებით დაასრულებდნენ. მეოთხედფინალში "ალბისელესტეს" მეტოქე ურუგვაი იყო და მასპინძლებს სურდათ, რომ 1987 წელს კოპა ამერიკაზე შინ განცდილი მარცხისთვის რევანში აეღოთ, თუმცა ვენდეტა არ შედგა. შეხვედრის ძირითად დროში გოლები **დიეგო პერესმა** და **გონსალო იგუაინმა** გაიტანეს. დაინიშნა პენალტები, სადაც გადამწყვეტი **კარლოს ტევესის** გაფუჭებული 11-მეტრიანი გამოდგა. ურუგვაიმ სერია 5:4 მოიგო და საბოლოოდ ტურნირზეც იმარჯვა, რაც მათთვის კოპა ამერიკაზე მე-15 გამარჯვება იყო. ამ მაჩვენებლით ურუგვაიმ არგენტინა ჩამოიტოვა, რომლის ანგარიშზეც 14 ტიტულია.

**ტატო ბაციკაძე**

● რეალი


რეალის ფეხბურთელები თავიანთ ნაკრებებში გაემგზავრნენ

# სამეფო კლუბი დაიცალა

ფიფას პაუზის გამო კლუბები ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულმა ფეხბურთელებმა დატოვეს. ევროპაში ეს ყველაზე მეტად მადრიდის „რეალს“ შეეხო - გუნდის ბაზა დაიცალა, რადგან მიწვევა „რეალის“ ერთბაშად 19 ფეხბურთელს მიუვიდა. 2014 წლის მუნდიალის საგზურისთვის ესპანეთის ნაკრებში ითამაშებენ: **კასილიასი, რამოსი, არბელოა, ალბიოლი** და **ჩაბი ალონსო**; პორტუგალიის გუნდში - **რონალდო, პეპე** და **კოენტრაო**; გერმანიის ნაკრებში - **ხედირა** და **იოზილი**, არგენტინის გუნდში - **დი მარია** და **იგუაინი**; **მოდრიჩი** - ხორვატიისაში; **ბენზემა** - საფრანგეთის ნაკრებში; **კაკა** და **მარსელო** ბრაზილიის ნაკრებს ამხანაგურ მატჩში დაეხმარებიან; **ვარანი** საფრანგეთის, ხოლო **ნაჩო** და **მორატა** ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი.

მოკლედ, 24-კაციანი პირველი გუნდიდან „რეალის“ ბაზაზე მხოლოდ 5 კაცი რჩება: ორი სათადარიგო მეკარე, **კარვალიო, ესიენი** და **კალეხონი**. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ნაკრებებში „ბარსას“ 15 ფეხბურთელი გამოიძახეს.


სკოლის გახსნა

## მსოფლიოში ყველაზე დიდი საფეხბურთო სკოლა

როგორც ესპანური მედია იუწყება, „სამეფო კლუბმა“ ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე დიდი საფეხბურთო სკოლა გახსნა. სკოლა ქალაქ გუანჯოუში, კლუბ „ევერგრანდთან“ ერთად გაიხსნა. გუანჯოუ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინცია გუანდონის დედაქალაქია. სკოლაში 10-დან 18 წლამდე ასაკის 3 ათასი ფეხბურთელი ისწავლის. ამ სკოლაში სწავლება „სამეფო კლუბის“ ანალოგიური იქნება, მეთოდებთან ერთად ესპანელები ჩინელ კოლეგებს საბავშო მწვრთნელებსაც გაუზიარებენ.

● ბარსელონა

# ბარსამ ბუსკეტსი გააპროტესტა

მოგეხსენებათ, ლისაბონში „ბენფიკასთან“ მატჩში მიღებული წითელი ბარათისთვის უეფამ **სერხიო ბუსკეტსი** ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, 24 წლის ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგის ორივე შეხვედრას გლაზგოს „სელტიკთან“ გამოტოვებს. „ბარსელონა“ არ ეპუება ამ გადაწყვეტილებას, გუშინ გუნდმა უეფაში საჩივარი შეიტანა, კატალონიელები 2-მატჩიან დისკვალიფიკაციას აპროტესტებენ და მის განახევრებას ითხოვენ. ბუსკეტსი „ბენფიკასთან“ მატჩის 88-ე წუთზე გააძევეს, ესპანელმა ფეხბურთელმა **მაქსი პერეირას** უხეშობისთვის „ხურდა დაუბრუნა“. შეგახსენებთ, რომ ის თამაში „ბარსამ“ 2:0 მოიგო.


ერიკ აბიდალმა ვარჯიში განაახლა


სერხიო ბუსკეტსი 2 მატჩითაა დასჯილი

## მორიგი სასწაულის მოლოდინში

თუკი თანამედროვე ფეხბურთში ვინმეს სიტყვა „გმირი“ შეეფერება, ერთ-ერთი უპირველესი მათ შორის **ერიკ აბიდალია**. ღვიძლის გადანერგვის ურთულესი ოპერაციიდან 7 თვის თავზე 33 წლის ფრანგმა მცველმა ვარჯიში განაახლა! როგორც ჩანს, ტყუილად არ იქადნებოდა აბიდალი, ნოემბერში ფეხბურთს უნდა დავუბრუნდეო. თუკი ეს მართლა მოხდება, მცირე სასწაული იქნება სამედიცინო კუთხით. აბიდალი ვალ დ'არანში, პირინეის ნაციონალურ პარკში იმყოფება, ჯერჯერობით მისი ვარჯიში აერობიკას, ბუნებაში სიარულს, ძუნძულს და ტრენაჟორებთან მცირე დატვირთვებს მოიცავს. მას მუდამ თან დაყვება პირველი გუნდის ფიზიკური მომზადების მწვრთნელი **ემილი რიკარტი**. ექიმებმა აბიდალს ბურთთან მსუბუქი დატვირთვის უფლება მისცეს.

## მესი და მარიხუანა

ნარკოტიკებით მოვაჭრეები რა მეთოდს აღარ იგონებენ, რომ კონტრაბანდით საზღვრები გადალახონ, თუმცა ამას წინათ ერთმა კოლუმბიელმა მაინც ისეთი რამ მოიფიქრა, რომ მთელი მსოფლიო გააკვირვა - მან 11 კილოგრამი მარიხუანას გადასატანად **ლიონელ მესი** დაიხმარა. რა თქმა უნდა, თავად არგენტინელი სუპერვარსკვლავი არა, არამედ მისი პოსტერი. დამნაშავემ ამ პოსტერთან ერთად ავტობუსით იმგზავრა ქალაქ საბანალარგასკენ, მაგრამ პოლიცია ჩანაფიქრს მიუხვდა.


დამნაშავის დაკავებისას

● ლა ლიგა

## სელტა: ლაგო კიდევ 3 წლით

ვიგოს „სელტამ“ ახალი, 3-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა 27 წლის მარცხენა მცველ **რობერტო ლაგოს**. ლაგოს და კლუბის პრეზიდენტის, ანტონიო ჩავესის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და კონტრაქსაც ხელი მაშინვე მოეწერა. ლაგოს ხელშეკრულება 30 ივნისს უსრულდებოდა, ახლა კი 2016 წლის 30 ივნისამდე გალისიური კლუბის წევრია. სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში მხარეები ვერ თანხმდებოდნენ, იყო პერიოდი, როცა ფეხბურთელი გაურკვევლობაში იყო და კარიერის სხვაგან გაგრძელებაზეც ფიქრობდა.


რობერტო ლაგო

რობერტო ლაგო „სელტას“ აღზრდილია და ამ კლუბის ძირითად გუნდში დებიუტი ხრისტო სტოიჩკოვის მწვრთნელობის დროს ჰქონდა. მომავალი მატჩი „სელტას“ სტუმრად „რეალთან“ აქვს. ლაგო მეტისმეტად ოპტიმისტი ჩანს: *„ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ „ბერნაბეუზე“, ჩვენ ხომ „სელტა“ ვართ“.*

## დეპორი: სტილი ხელშეუხებელია

**ხოსე ლუის ოლტრას** ხელში „დეპორტივო“ სანახაობრივ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ლაკორუნიული გუნდი აქცენტს ბურთის ფლობაზე და შეტევებზე აკეთებს. ეს სეგუნდა დივიზიონში ამართლებდა, „დეპორტივო“ ერთი თავით სჯობდა მეტოქეებს, ვალენსიელი მწვრთნელიც წარმატებული იყო - სეგუნდა დივიზიონში ასეთი წარმატებული სეზონი აქამდე არც ერთ კლუბს არ ჰქონია. მაგრამ ლა ლიგაში ამას შედეგი არ მოაქვს, უფრო ძლიერი გუნდები იოლად ულებენ ალღოს „დეპორს“ და მისი დაცვის სისუსტეს კარგად იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი გავარდნის ზონაში ჩაეშვა, ხოსე ლუის ოლტრა თამაშის სტილის შეცვლას არ აპირებს. ის ამბობს, რომ ეს ერთადერთია, რასაც არასოდეს შეეხება.

*„ვფიქრობ, სახიფათო არაფერია - თუკი რამდენიმე პრობლემას მოვაგვარებთ, უკეთ ავთამაშდებით და შედეგებიც მოვა“*, - იმედს არც გუნდის ლიდერი **ხუან კარლოს ვალერონი** კარგავს.


ოლტრა გასაჭირშია

## ხეტაფე: სამი ფორვარდი, ნული გოლი

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „სარაგოსასთან“ გაძევებულებს, **აბდელაზიზ ბარადას** და **ნდრი რომარიკს** 1-მატჩიანი დისკვალიფიკაციები აკმარა. „ხეტაფე“ 7 თამაშიდან 10 ქულით ცხრილის შუაშია, რაც მადრიდული კლუბისთვის ურიგო შედეგი არაა, თუმცა არის ერთი დამაფიქრებელი მომენტი - ლა ლიგის 20 კლუბს შორის „ხეტაფე“ ერთადერთია, რომლის ფორვარდებსაც ჯერ გოლი არ გაუტანიათ. **ალვარო ვასკესს, ადრიან კოლუნგას** და **პაკო ალკასერს** გოლი ვერაფრით გაუტანიათ.

## მალაგა: ფაბრისი, რა მოხდა?

18 აგვისტოს მთელი საფეხბურთო ევროპა ახალ ტალანტზე ალაპარაკდა, როცა მოედანზე წუთის წინ შესულმა კამერუნელმა **ფაბრის ოლინგამ** „მალაგასთვის“ გამარჯვების გოლი გაიტანა და ესპანეთის ისტორიაში შევიდა, როგორც ლა ლიგის ყველაზე ახალგაზრდა გოლეადორი - ფაბრისი ხომ მხოლოდ 16 წლისაა. ამის შემდეგაც მან ძალიან კარგად ითამაშა, თითქოს **მანუელ პელეგრინის** გუნდსაც მოერგო, მაგრამ მესამე ტურიდან მოყოლებული მისი როლი დრამატულად შეიცვალა - ის ისევ მონდომებით ვარჯიშობს პირველ გუნდში, მაგრამ თამაშობს, სარეზერვოში... ტერსერა დივიზიონში.

## რეალ სოსიედადი: ბერგარა 2016-მდე

სან სებასტიანის „რეალ სოსიედადმა“ ხელშეკრულება 2016 წლამდე გაუგრძელა 26 წლის ნახევარმცველ **მარკელ ბერგარას**. ბასკს კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურებოდა. პრეზენტაციას „ჩური ურდინის“ პრეზიდენტი **ხოკინ აპერიბაი** დაესწრო. ბერგარა საყრდენი ნახევარმცველია, რომელიც „რეალ სოსიედადის“ აღზრდილია, თუმცა იჯარის წესით „ეიბარსა“ და „ვესინდარიოში“ უთამაშია. ბერგარამ ესპანეთის თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა, თუმცა ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში ის არ გამოუძახიათ.


მარკელ ბერგარა

## ვალენსია: ბიუჯეტი განახევრდება

„ვალენსიას“ პრეზიდენტი **მანუელ ლორენტე** აგრძელებს ძიებას ყველა ხერხის, რომ როგორმე კლუბმა ხარჯები შეამციროს. მოგეხსენებათ, „ღამურებს“ ვალები ახრჩობთ. „ბანკიასთან“ ჩაშლილი კონტრაქტის მერე, კლუბში უკიდურესად ცუდი ფინანსური სიტუაციაა. დღეისათვის კლუბის ბიუჯეტი 100 მილიონი ევროა, ლორენტე მის განახევრებას აპირებს, თუმცა ეს გადაწყვეტილება კლუბის აქციების მფლობელებთან უნდა შეთანხმდეს. კლუბის გენერალური ასამბლეა 9 ნოემბერსაა დანიშნული. მოკლედ, გუნდს არა მხოლოდ საფეხბურთო ასპარეზზე აქვს რთული ვითარება.

## ბილბაო: გაისკა დარჩა

ბილბაოს „ატლეტიკის“ თავდამსხმელმა **გაისკა ტოკერომ** კლუბთან ხელშეკრულება გააგრძელა. 28 წლის ფეხბურთელი წლებია ფორვარდისთვის შეუფერებელი, 2-ნომრიანი მაისურით ასპარეზობს - ის ბასკურ გრანდში 2016 წლამდე დარჩება. წლეულს ტოკეროს ცუდად მისდის საქმეები, ჯერ გოლი არ გაუტანია და მას **მარსელო ბიელსა** ნაკლებად ენდობა, სასტარტო შემადგენლობაში ძირითადად **არიც ადურისი** თამაშობს. ტოკეროს ანგარიშზე ერთი საგოლე პასია, ფინურ ჰიკ-თან ევროთასების მატჩში. აი, მცველის, **ფერნანდო ამორებიეტას** მოლაპარაკება კლუბის ხელმძღვანელობასთან კი ჩაიშალა, შესაძლოა, ვენესუელური პასპორტის მქონე ფეხბურთელი ბასკური კლუბიდან იანვარში წავიდეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბრაზილია 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა. III ტურის წინ

# დღის კითხვა: კაპელოს რუსები თუ კრიშტიანო?

## ასევე პროგრამაში: იტალია სომხეთში, ტრაპატონის ტენაჩო გერმანიის წინააღმდეგ და ინგლისელებისა და ჰოლანდიელების მარტივი საშინაო დავალებები

მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპული საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე ტური ბევრი განსაკუთრებით საინტერესო მატჩით ვერ გვანებივრებს, თუმცა რამდენიმე დაპირისპირება მართლა დამაინტრიგებელია. პირველ რიგში ეს რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდების ჯახზე ითქმის, რომელიც დღეს მოსკოვში გაიმართება. ასევე საინტერესოა, როგორ ითამაშებს იტალიის ნაკრები სომხეთში, სადაც „სკუადრა აძურას" ადგილობრივი ტიფოზები დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ; მოახერხებს თუ არა გერმანია ირლანდიიდან სამი ქულის წაღებას და რამხელა სხვაობით მოუგებს ჰოლანდია ანდორას, ინგლისი კი სან მარინოს...


ბელგიელები ტიმი სიმონსი და დანიელ ვან ბუიტენი (უკან) სერბეთთან მნიშვნელოვანი მატჩისთვის ემზადებიან

### A ჯგუფი
### სამთაბრძოლა ლიდერობისთვის

**დღეს**

| | |
|---|---|
| მაკედონია-ხორვატია | 22:30 |
| სერბეთი-ბელგია | 22:30 |
| უელსი-შოტლანდია | 22:45 |

ორი ტურის შემდეგ A ჯგუფს სათავეში ერთდროულად სამი გუნდი უდგას - სერბეთი, ბელგია და ხორვატია, რომლებიც ერთპიროვნული ლიდერობისთვის იბრძვიან. დღევანდელი მატჩებიდან ამ ტურში ყველაზე საინტერესო დაპირისპირება უდავოდ მაკედონიისა და ხორვატიის ნაკრები გუნდების დერბია, რომელიც სკოპიეში გაიმართება. ხორვატიის ნაკრებს იდეალურ ფორმაში ჰყავს თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩი**, რომელსაც ბუნდესლიგის 7 ტურში 6 გოლი აქვს და გერმანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა რეიტინგს სათავეში უდგას. გამოცდილ **ივიცა ოლიჩს** მცირე ტრავმა აწუხებს და თანამემამულეებს ვერ დაეხმარება.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე კი, ჯგუფის ცენტრალური მატჩი ბელგრადში დაგეგმილი ჯახია სერბეთსა და ბელგიას შორის. სერბები პირველ ადგილზე მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო არიან, ბელგიამ კი გასულ მატჩებში დაამტკიცა, რომ მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლა შეუძლია და თუ ბელგრადშიც სასურველ შედეგს მიაღწია, **მარკ ვილმოტსის** გუნდი ბრაზილიაში გამგზავრების რეალური კანდიდატი გახდება. ვილმოტსს დღეს ნახევარდაცვის მთავარი სტრატეგი **ფელაინი** არ ეყოლება. ამ უკანასკნელს მუხლის ტრავმა აწუხებს.

დღესვე დაუმარცხებელი შოტლანდია (ორი ფრე) იმ უელსს სტუმრობს, რომელსაც ორ თამაშში 8 გოლი აქვს გაშვებული...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 2. ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. შოტლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 5. მაკედონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 6. უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

### B ჯგუფი
### ითამაშებს ბალოტელი დიდ ფეხბურთს?

**დღეს**

| | |
|---|---|
| სომხეთი-იტალია | 20:00 |
| ჩეხეთი-მალტა | 20:00 |
| ბულგარეთი-დანია | 22:00 |

ერევანში იტალიის ნაკრების სომეხმა ფანებმა „სკუადრა აძურას" გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს - დღეს მთელი სომხეთი ევროპის ვიცეჩემპიონთან მატჩით ცხოვრობს. საფეხბურთო იტალიაში კი ამ მატჩის ფონზე არა მეტოქეზე, არამედ ისევ **მარიო ბალოტელიზე** საუბრობენ. „მანჩესტერ სიტის" „ალვირახსნილმა" თავდამსხმელმა ამას წინათ, სანაკრებო მატჩების წინ, ახლომხედველობის გასაუმჯობესებლად თვალების ოპერაცია გაიკეთა, რითაც „აძურას" თავკაცი **ჩეზარე პრანდელი** კიდევ ერთხელ გააბრაზა.

*„ვაღიარებ, რომ ამის გამო ბალოტელიზე განაწყენებული ვიყავი, რადგან მან სწორედ სანაკრებო პაუზის წინ მოისურვა იმ ოპერაციის გაკეთება, რომლის გადადება აშკარად შეეძლო. თუმცა მარიო მაინც გამოვიძახე, რადგან მინდა, საბოლოოდ გავარკვიო და მქონდეს ამომწურავი პასუხი კითხვაზე, უნდა თუ არა ბალოტელის დიდი ფეხბურთის თამაში,"* - განაცხადა პრანდელიმ გუშინ, ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე, უშუალოდ მატჩის შესახებ კი მხოლოდ ასეთი განცხადებით შემოიფარგლა: *„სომხეთის ნაკრები სწრაფად პროგრესირებადი და უკვე საკმაოდ ძლიერი გუნდია, მაგრამ ფაქტია, რომ ერევნიდან სამი ქულა უნდა წავიღოთ."*

ორი ტურის შემდეგ ჩეხეთის ნაკრებს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული (0:0 დანიასთან). დღეს ჩეხები მალტას მასპინძლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ წესით, სამი ქულა უპრობლემოდ უნდა მოიპოვონ. იტალიელების დარად, ბულგარელებსაც 4 ქულა აქვთ და დღეს სოფიაში დანიასთან ურთულესი მატჩი ელით.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. სომხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 6. მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### C ჯგუფი
### გაარღვევს გერმანია ტრაპატონის დაცვას?

**დღეს**

| | |
|---|---|
| ფარერები-შვედეთი | 20:00 |
| ყაზახეთი-ავსტრია | 20:00 |
| ირლანდია-გერმანია | 22:45 |

შვედეთის ნაკრებს ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ მესამე ტურის წინ მაინც მეორე ადგილზეა და რაკი დღეს ფარერებს სტუმრობს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და კომპანია მორიგ სამ ქულას აიღებენ. შვედები შემტევი ტაქტიკური სქემით (4-3-3) თამაშობენ, რომელშიც ცენტრალური როლი, რა თქმა უნდა, იბრას აკისრია. *„ზლატანს თამაშიც რომ არ წაუვიდეს, იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ მეტოქე გუნდის უკანახაზელების ყურადღებას იქცევს, რითაც სხვა თანაგუნდელებს ექმნებათ დერეფნებიო,* ამბობს სკანდინაველთა მარჯვენა მცველი **იუჰანსონი**.

ავსტრიის ნაკრებმაც მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა - გერმანიასთან 1:2 დამარცხდა. დღეს ავსტრიელებს პირველი გამარჯვების მოპოვების იმედი აქვთ, მაგრამ ყაზახეთის ნაკრები საკუთარ მოედანზე ყველასათვის რთული მეტოქეა. *„ჯერჯერობით უკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, რადგან გერმანიასთან წაგება კატასტროფა არ არის. ვფიქრობ, რომ სწორ გზას ვადგავართ და თუ ასე გავაგრძელებთ, მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეგვეძლება. შვედეთისა და ირლანდიის არ უნდა გვეშინოდეს,"* - ეს ავსტრიელთა კაპიტან **ფუხსის** სიტყვებია.


გერმანიის ნაკრების კაპიტანი დღეს ბასტიან შვაინშტაიგერი იქნება

ჯგუფის ყველაზე დამაინტრიგებელი მატჩი კი ირლანდიისა და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირებაა. გერმანელებს ორი ტურის შემდეგ ასპროცენტიანი შედეგი აქვთ და ქულების დაკარგვას არც დუბლინში გეგმავენ - შეგახსენებთ, რომ ბუნდესგუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც ათივე შეხვედრა მოიგო. ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი ჯოვანი ტრაპატონის** გუნდს სიფრთხილით ეკიდება - ირლანდიელებს მებრძოლი გუნდი ჰყავთ და დაცვაში კარგად თამაშობენ, მათი კარის დალაშქვრა ძალიან ძნელიაო.

**მიროსლავ კლოზე** დღეს ბუნდესგუნდის ფორმით 125-ე მატჩს ჩაატარებს. გერმანელებს კაპიტანი **ფილიპ ლამი** (დისკვალიფიკაცია) და დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** (ტრავმა) აკლიათ. ლიოვმა განაცხადს „ჰამბურგის" კაპიტანი **ჰაიკო ვესტერმანი** დაამატა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 4. ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 5. ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 6. ფარერები | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### D ჯგუფი
### ჰოლანდიას რობენი ამჯერად არც სჭირდება

**დღეს**

| | |
|---|---|
| თურქეთი-რუმინეთი | 21:30 |
| ესტონეთი-უნგრეთი | 22:30 |
| ჰოლანდია-ანდორა | 22:30 |

D ჯგუფში ტურის მთავარი მატჩი თურქეთისა და 6-ქულიანი ლიდერის, რუმინეთის ნაკრების დაპირისპირებაა. რუმინელებს ორივე თამაში მოგებული აქვთ, მაგრამ აქ ისიც უნდა დავამატოთ, რომ ესტონეთი (2:0) და ანდორა (4:0) დაამარცხეს. თურქები საკუთარ კედლებში ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რუმინელებს არა მარტო პირველი გოლი გაუტანონ, არამედ პირველი მარცხიც აგემონ, რადგან თურქეთის ნაკრებს ამ მატჩის მოგება სჭირდება.

ჯგუფის ფავორიტი ჰოლანდიის ნაკრები კი, რომელსაც ასევე 6 ქულა აქვს, როტერდამში ანდორას მასპინძლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **ლუის ვან გაალის** შეგირდებს როდერდამული პუბლიკის არაერთი გოლით განებივრება შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, ჰოლანდიელებისთვის **არიენ რობენის** ტრავმა სერიოზული პრობლემა არ არის. სამაგიეროდ, ვან გაალმა ნარინჯისფერებში **რაფაელ ვან დერ ვაარტი** და **იბრაჰიმ აფელაი** დააბრუნა. დიდი შანსია, რომ ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდეს წარმოშობით ბრაზილიელ **დუგლასს** - „ტვენტეს" 24 წლის მცველმა ჰოლანდიის მოქალაქეობა ზუსტად ერთი წლის წინ მიიღო. ამავდროულად, ესტონეთის ეროვნული გუნდი უნგრეთს უმასპინძლებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3. უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 3 |
| 4. თურქეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 5. ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| 6. ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

### E ჯგუფი
### შეინარჩუნებს ბენალიო მშრალ სერიას?

**დღეს**

| | |
|---|---|
| ალბანეთი-ისლანდია | 21:00 |
| შვეიცარია-ნორვეგია | 22:30 |
| სლოვენია-კვიპროსი | 22:45 |

შვეიცარიის ნაკრების კარის დარაჯი **დიეგო ბენალიო** კარს მშრალად ინახავს და მთელ საფეხბურთო შვეიცარიასთან ერთად იმის იმედი აქვს, რომ მის კარს ვერც ნორვეგიელები დალაშქრავენ. ბენალიოს მშრალი სერიის გაგრძელების მართლაც კარგი შანსი აქვს, რადგან ნორვეგიის ნაკრების მთავარი დამრტყმელი ძალა **მოჰამედ აბდელაუ** ტრავმირებულია და სკანდინაველებს ვერ დაეხმარება.


ირლანდიაგას მასპინძლობს - რას მოიფიქრებს ჯოვანი ტრაპატონი?

ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ფავორიტი სწორედ **ოტმარ ჰიტცფელდის** შვეიცარიაა, მეორე ადგილისთვის კი ნორვეგიელებთან ერთად, ისლანდიელებმა, ალბანელებმა, კვიპროსელებმა და სლოვენიელებმა უნდა იბრძოლონ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე დაბალანსებული ჯგუფია, სადაც მუნდიალის საგზურისთვის გაბრძოლება მეტ-ნაკლებად ყველა გუნდს შეუძლია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 5. კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 6. სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

### F ჯგუფი
### რონალდო და კომპანია მოსკოვში

**დღეს**

| | |
|---|---|
| რუსეთი-პორტუგალია | 19:00 |
| ლუქსემბურგი-ისრაელი | 23:00 |

ორი ტურის შემდეგ ამ ქვეჯგუფში ორი ფავორიტი გამოიკვეთა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთი და პორტუგალია სხვა გუნდებს ახლოსაც


შვეიცარიის ნაკრების მეკარე დიეგო ბენალიოს გოლი ჯერ არ გაუშვია

აღარ გაიკარებენ. შესაბამისად, ამ გუნდების მატჩებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან პირველადგილოსნის ბედი სწორედ ფავორიტების უშუალო დუელებით უნდა გადაწყდეს. დღეს, მოსკოვში მათი პირველი ჯახია. რუსეთს და პორტუგალიას 6-6 ქულა აქვთ, პირველ ადგილზე კი, ბურთების უკეთესი და უნაკლო შეფარდების (6:0) გამო **ფაბიო კაპელოს** გუნდია.

**კრიშტიანო რონალდოც** მოსკოვშია და მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონასთან" უმძაფრეს დუელში მცირე ტრავმა მიიღო (მხარი იტკინა), აუცილებლად ითამაშებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე იოლი მისახვედრია, რომ სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით ლუქსემბურგისა და ისრაელის დაპირისპირება უმნიშვნელოა, თუმცა ისრაელის ნაკრების ფეხბურთელებს სამი ქულის აღება აქვთ დაგეგმილი, რაც ამ ჯგუფში ინტრიგას ყველა ვარიანტში დააბრუნებდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 5. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 6. ისრაელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

### G ჯგუფი
### ვინ დაკარგავს პირველ ქულებს: ბოსნია, საბერძნეთი, თუ ორივე?

**დღეს**

| | |
|---|---|
| ლიხტენშტაინი-ლიტვა | 21:30 |
| სლოვაკეთი-ლატვია | 22:15 |
| საბერძნეთი-ბოსნია | 22:45 |

ლიხტენშტაინისა და ლიტვის დაპირისპირებაზე ყურადღების გამახვილება ისევ სლოვაკეთისა და ლატვიის მატჩზე მსჯელობა ჯობია, მაგრამ არც ეს მატჩი იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. სამაგიეროდ, საბერძნეთისა და ბოსნიის ნაკრები გუნდების ჯახი უდიდეს დაძაბულობასა და კარგ სანახაობასაც გვპირდება. ამ მატჩში მეორეადგილოსანი ლიდერს მასპინძლობს და ინტრიგაა ისიც, რომ ქულები ჯერჯერობით არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს. ბერძნებს წამყვანი ცენტრალური მცველი **კირიაკოს პაპადოპულოსი** აკლიათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 2 | 2 | 0 | 0 | 12-2 | 6 |
| 2. საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ლიტვა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 5. ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 6. ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-10 | 0 |

### H ჯგუფი
### ინგლისი გაივარჯიშებს

**დღეს**

| | |
|---|---|
| მოლდოვა-უკრაინა | 22:00 |
| ინგლისი-სან მარინო | 23:00 |

გაგიკვირდებათ და, სან მარინო ბოლო ადგილზე არ არის. ჯუჯა სახელმწიფოს აბსოლუტურად უსუსურ ნაკრებს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული და ისიც 0:6 წააგო, მაგრამ უარესიც არსებობს: მოლდოველებს ორი ტურის შემდეგ 7 ბურთი აქვთ გაშვებული, გატანილების გრაფაში კი 0 უწერიათ. სან მარინო „თავის ადგილზე" სავარაუდოდ ამ ტურის შემდეგ დაბრუნდება, რადგან ინგლისის ნაკრებს სტუმრობს - თუ, რა თქმა უნდა, მოლდოვამ უკრაინასთან მინიმუმ ისეთივე სხვაობით არ წააგო, რაც დაუჯერებელია.

ინგლისზე არაფერი გვითქვამს? რა უნდა ვთქვათ? საფეხბურთო კუთხით არაფერი გარდა იმისა, რომ **როი ჰოჯსონი** სკანდალებში გახვეულ **ეშლი კოულს** მე-100 სანაკრებო მატჩის ჩატარების უფლებას არ მისცემს და რაც შეეხება არასაფეხბურთოს: ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ახალი ცენტრი გახსნა და ჰოჯსონის ბიჭები


მოსკოვში უკვე ცივა: კრიშტიანო რონალდო გუშინდელ ვარჯიშზე

პრინცმა უილიამმა და მისმა მეუღლემ, ქეითმა მოინახულეს...

უკრაინის ნაკრებს აუტსაიდერ მოლდოვასთან სათამაშოდ **ოლეგ ბლოხინის** ავადმყოფობის გამო მისი ასისტენტები, **ანდრეი ბალი** და **ალექსეი მიხაილიჩენკო** გაიყვანენ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| 2. ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 3. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. უკრაინა | 2 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 5. სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |
| 6. მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


დიდი სტუმრები ინგლისის ნაკრებში: პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ქეითი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამბები**


მიკაელ ლაუდრუპი

### აჯანყება გედების ბანაკში

„სუონსის" წამყვანი ფეხბურთელები მთავარ მწვრთნელ **მიკაელ ლაუდრუპთან** ურთიერთობის გამწვავებაზე წავიდნენ და პრეზიდენტ **ჰიუ ჯენკინსონს** მისი მუშაობის მეთოდების შესახებ შესჩივლეს. შეხვედრა „რედინგთან" მატჩის დასრულების მეორე დღეს შედგა. „დეილი მეილმა" კი ეს ამბავი ამ დღეებში შეიტყო. ჯენკინსონმა პირობა დადო, რომ დანიელ სპეციალისტსა და მის შეგირდებს შორის შუამავლის ფუნქციას იკისრებს და სიტუაციას დაარეგულირებს. ამასთან, ლაუდრუპს მან სრული ნდობა გამოუცხადა.

### ვენგერს თავდამსხმელი სჭირდება

**არსენ ვენგერი** „არსენალს" უკვე რამდენი წელიწადია ათამაშებს 4-2-3-1 სქემით. ამჟამად მას შემადგენლობაში ორიოდე გამოკვეთილი თავდამსხმელი ჰყავს. ამ ეტაპზე უპირველესი არჩევანი **ოლივიე ჟირუა**. ფრანგმა „მეთოფეებთან" შეწყობა სულ ახლახან დაიწყო, შესაბამისად, რამდენად წარმატებული იქნება მხარეთა თანამშრომლობა ჯერ კიდევ არ არის ნათელი. ამიტომ მწვრთნელს თავის დაზღვევის მიზნით ჟირუს რეალური ალტერნატივაც სჭირდება. ვენგერმა შემდეგ თავდამსხმელებს დაადგა თვალი: **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო), **ადრიან ლოპესი** (ატლეტიკო), **რობერტ ლევანდოვსკი** (დორტმუნდი) და **სტევან იოვეტიჩი** (ფიორენტინა).

### აგენტი უარყოფს

„მანჩესტერ იუნაიტედის" 31 წლის სერბი კაპიტნის **ნემანია ვიდიჩის** გუნდიდან შესაძლო წასვლაზე ინფორმაციას მისი აგენტი **სილვანო მარტინი** უარყოფს. იტალიური პრესის ცნობით, ცენტრალური მცველის ყიდვას „იუვენტუსი" და „ბარსელონა" ცდილობენ. რუსულ პრესაში ბევრი იწერება მახაჩყალის „ანჟის" ინტერესზეც. *„ნემანია ნაოპერაციებ ფეხს მკურნალობს და ერთადერთი, რაზეც ფიქრობს, „ოლდ ტრეფორდზე" დაბრუნებაა. არანაირი ტრანსფერი დღის წესრიგში არ დგას. მე როგორც ვიცი, „იუვეს" სრულად აქვს შევსებული არაევროკავშირელი ფეხბურთელების კვოტა, ვიდიჩის გადაყვანას თუნდაც ამიტომ არ მოინდომებენ. „ბარსასგან" კი წინადადება არ მიგვიღია,"* – აცხადებს მარტინი.

### რა ბედი ელის ოლიმპიურ სტადიონს?

ლონდონის ოლიმპიური სტადიონი მცირე რეკონსტრუქციის შემდეგ შეიძლება სუფთა საფეხბურთო არენად გადაკეთდეს, სადაც 80 ათას გულშემატკივარზე მეტი დაეტევა. თითქმის 500 მილიონ ფუნტამდე ღირებული არენის მოიჯარე უახლოეს მომავალში შეიძლება „ვესტ ჰემი" გახდეს. „ჩაქუჩებს" მისი გამოსყიდვის საშუალება არ აქვთ, მაგრამ მზად არიან, კომპანია London Legacy Development Corporation-ისგან (სწორედ ეს ფირმა მართავს ოლიმპიურ ობიექტებს ტურნირის დასრულების შემდეგ) ის იჯარით აიღონ. მოლაპარაკებების პროცესი უკვე დაწყებულია, მაგრამ ჯერჯერობით საქმის გადაწყვეტილად გამოცხადება ნაადრევია.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძიუდო. აბუ დაბის ტურნირი

# მესამედ - რუსულ მახეში

## პაპინაშვილის მესამე მარცხი მუდრანოვთან

**ამირან პაპინაშვილმა (60) გუშინ ვერცხლი მოიპოვა აბუ დაბიში დაწყებულ „დიდი პრიზის" ტურნირში. ჩვენებურს სრულყოფილი წარმატება და 5 000 დოლარის დაუფლება უხერხულმა მეტოქემ, რუსთა ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ბესლან მუდრანოვმა არ დაანება.**

არადა, პაპინაშვილი ფინალამდე ლამის მაქსიმალური შედეგით მივიდა - სამიდან ორ შეხვედრაში იპონით იმარჯვა, ერთში - ვაზარით. მისი პირველი მსხვერპლი ლიბანელი **ზიადე დამიენი** გახდა, ვისაც სულ რაღაც 40 წამში მოუთავა ხელი. მომდევნო მეტოქე - ამერიკელი ნიკოლას კოსორი ლიბანელზე გვარიანად ძლიერია და ჩვენებურსაც უფრო დიდხანს გაუძალიანდა, 3 წუთზე მეტხანს, თუმცა იპონზე დაგდებას ვერც ის გადაურჩა. ამ მოგებით პაპინაშვილი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მის წინააღმდეგ ბრძოლის უფლება მონღოლმა **ამარტუვშინ დაშდაავამ** მოიპოვა. არადა, ბადის იმ ნახევრიდან, საიდანაც ნახევარფინალის გზა გაიკაფა, თითქოს უფრო ძლიერი მისი თანაგუნდელი **განბაატარ განბატი** ჩანდა, მაგრამ დაშდაავამ წმინდად მოუგო თანამემამულეს. პაპინაშვილი მონღოლებთან საკმაოდ წარმატებით ჭიდაობს, თუმცა დაშდაავას პირველად



ამირან პაპინაშვილი

შეხვდა. ამის მიუხედავად, ტრადიცია არ დაარღვია და მასთანაც გაიმარჯვა, ოღონდ ეს შედარებით გაუჭირდა, ამჯერად მორიგ იპონსა და ვადამდელ გამარჯვებას ვერ შესწვდა, მხოლოდ ვაზარს დასჯერდა.

მუდრანოვისა და პაპინაშვილის გზები უკვე მესამედ გადაიკვეთა. სამწუხაროდ, რუსმა მესამე მოგება მიითვალა. უცნაურია, მაგრამ სამივე ორთაბრძოლა წლევანდელ სეზონზე მოდის - პირველად იანვარში ალმატიში იჭიდავეს მასტერსზე, მეორე შეხვედრა კი ევროპის წლევანდელი პირველობის ნახევარფინალში გაიმართა. სამწუხაროა, რომ პაპინაშვილი მასთან ამჯერადაც დამარცხდა - 30 წამში იპონზე დაეცა.

ამდენად, ჩვენებური ვერცხლის მედალს, დასჯერდა, რამაც 3 000 დოლარი მოუტანა. მესამე ადგილზე დაშდაავა და ბრაზილიელი **დიეგო სანტოსი** გავიდნენ, რომელმაც ტურნირიდან ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის ავსტრიელი მედალოსანი **ლუდვიგ პაიშერი** გამოთიშა.

გუშინ, შეჯიბრების სადებიუტო დღეს ამ რანგის ტურნირზე დებიუტი ჰქონდა ჩვენს მეორე მონაწილეს - **იაკობ გაზდელიანს** (66), რომელსაც წილისყრამ არ გაუმართლა და პირველივე მეტოქედ იაპონელი **მასაში კოდერა** არგუნა. ცხადია, აქ ფავორიტად აზიელი მიიჩნეოდა იმის მიუხედავად, რომ ჯერ არაა ტიტულოვანი. თან ჩვენებურმა წონა არ დაიკლო, თორემ 60-ის მოჭიდავეა. იაპონელმა მართლაც გაამართლა ლიდერის სტატუსი - იოლად, იპონით იმარჯვა და მერე ნახევარფინალშიც გავიდა, თუმცა იქ უზბეკ **რიშოდ სობიროვთან** დამარცხდა და მესამეზე დარჩა. ეს მოგება საბოლოოდ არც სობიროვს შერჩა და ფინალში დამარცხდა. ამ წონაში საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. შეჯიბრება არც ისე ძლიერია, წამყვან ფალავანთა უმეტესობა არ გამოდის, განსაკუთრებით - ლონდონის ოლიმპიადის ტრიუმფატორები თუ რიგითი მედალოსნები, მაგრამ სობიროვი გამონაკლისია - მსოფლიოს ზედიზედ ორგზის ჩემპიონი ლონდონში მესამეზე გავიდა, ოღონდ ისიც 60-ში გამოდის. ამჯერად აბუ დაბიში 66-ის მართვის სადავეები არა ამ წონის ძველმა ლიდერებმა, არამედ სწორედ 60-დან ამონაცვლებულმა ფალავნებმა იგდეს. თანაც - წარმატებულმა ფალავნებმა: სობიროვის ტიტულები უკვე გითხარით და მეორე ფინალისტი აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალიზადა** გახდა. აზერბაიჯანელს ფინალამდე სულ ორი შეხვედრა ელოდა არც ისე ძლიერ მეტოქეებთან - ამერიკელ **ბრადფორდ ბოლენთან** და უცნობ იაპონელ **შოგო მაენოსთან**. მან ორივესთან წმინდად იმარჯვა, თუმცა ყველაზე ძლიერად მაინც ფინალში იჭიდავა სობიროვთან - ჯერ ვაზარი აართვა, მერე კი პირდაპირ ბეჭებზე დასცა. შეგახსენებთ იმასაც, რომ შიხალიზადამ მოასწრო და 20 წლის ასაკში ორჯერ მიიღო დისკვალიფიკაცია დოპინგის მიღების გამო. მეორედ მან ოთხწლიანი სასჯელი მოიხადა, თუმცა მაინც შეძლო სპორტში წარმატებით დაბრუნება. აბუ დაბის „დიდი პრიზი" მისთვის უკვე მეხუთე ტურნირი იყო ახალ წონაში - 66-ში, სობიროვი კი პირველად გამოვიდა იქ. ჯერჯერობით არ შეიძლება იმის თქმა, აპირებენ თუ არა ისინი 66-ში საბოლოოდ გადასვლას.

ქალთა ტურნირთან დაკავშირებით ჩვენთვის უსიამოვნო ერთ ტენდენციას მივაქცევთ ყურადღებას - 52 კილოგრამში კოსოვოელმა **მაილინდა კელმენდმა** გაიმარჯვა, ხოლო 57-ში მისი თანაგუნდელი **ნორა გლაკოვა** მესამეზე გავიდა. ისინი აქამდე საერთაშორისო ტურნირებში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის სახელითა და დროშით გამოდიოდნენ, ახლა კი კოსოვოს სახელით, დროშითა და ჰიმნით წარდგნენ. რატომაა ეს ფაქტი ჩვენთვის უსიამოვნო, ვფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება.

დღეს აბუ დაბიში მორიგი ორი წონის - 73-ის და 81-ის ფალავნები იჭიდავებენ, თუმცა ჩვენ წარმომადგენელი მხოლოდ 81-ში გვეყოლება - **შოთა ჯავახაძე**. ისიც ამ რანგის შეჯიბრებათა დებიუტანტია და პირველ შეხვედრას ბრაზილიელ **ვიქტორ პენალბერთან** გამართავს. ჩვენებურის არ იყოს, დიდი გამოცდილებით ვერც ბრაზილიელი დაიკვეხნის და თუ ჯავახაძე ამ ბარიერს დასძლევს, ნახევარფინალის საგზურისთვის შვედ **რობინ პაცეკსა** და ლიბიელ **ფრანკოის საადეს** შორის მოგებულთან იჭიდავებს.

### კვარცხლბეკი. ვაჟები.

**60 კგ.** 1. ბესლან მუდრანოვი (რუსეთი); **2. ამირან პაპინაშვილი (საქართველო);** 3. ამარტუვშინ დაშდაავა (მონღოლეთი), დიეგო სანტოსი (ბრაზილია).

**66 კგ.** 1. ნიჯატ შიხალიზადა (აზერბაიჯანი); 2. რიშოდ სობიროვი (უზბეკეთი); 3. მასაში კოდერა, შოგო მაენო (ორივე - იაპონია).

ქალები

**48 კგ.** 1. გაბრიელა ციბანა (ბრაზილია); 2. ამელია როსენუ (ბელგია); 3. ოტგონტსეტსეგ გალბადრაკი (მონღოლეთი), ტასიანა ლიმა (ბრაზილია).

**52 კგ.** 1. მაილინდა კელმენდი (კოსოვო); 2. ერიკა მირანდა; 3. ელაუდის ვალემტიმი (ორივე - ბრაზილია), იისე ჰაილენი (ბელგია).

**57 კგ.** 1. ჰელენა რესევა (საფრანგეთი); 2. ტინა ზელტნერი (ავსტრია); 3. ნორა გლაკოვა (კოსოვო), კეტლინ კუატროსი (ბრაზილია).

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



მაკა ჩახნაშვილი

# წყვილებშიც დამარცხდა

ესპანეთში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირზე, როგორც გაუწყეთ, **მაკა ჩახნაშვილმა** საკვალიფიკაციო ეტაპზე მარინა გუნარ ესპანას (ესპანეთი, 6:4, 6:2) და დარია სალნიკოვას (რუსეთი, 6:3, 6:1) აჯობა, მაგრამ ძირითადი ბადის სტარტზე ასპარეზობის მე-2 ნომერ ესტელა გაბეზა-კანდელასთან (ესპანეთი) დათმო პაექრობა - 0:6, 1:6. ჩვენებურმა ვერც წყვილებში იყოჩალა - თურქ პემრა ოზგენთან ერთად პირველ ნომრად განთესილ ლეტისია კოსტასისა და არანჩა პარა-სანდონიას (ესპანეთი) დუეტთან დამარცხდა - 5:7, 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

ნიჩბოსნობა

# ქუთაისთან, რიონზე

**თბილისის, ფოთის, დუშეთის, მცხეთის, რუსთავისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მასპინძლებთან ერთად ქუთაისთან, რიონზე გამართულ ნიჩბოსანთა საერთაშორისო ტურნირში. როგორც გაუწყეთ, პაექრობები სამ ასაკში მოეწყო.**



### აკადემიურ ნიჩბოსნობა

1000 მეტრზე ყველა ორთაბრძოლა მცხეთელებმა მოიგეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ერთადგილიანი ნავებით - **გიორგი თოფურია** (უფროსებში), **ნიკოლოზ კანდელაკი** და **ანა გვილავა** (ორივე - ახალგაზრდებში), **ფარნა კაპანაძე** (1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის); ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით - **თემურ ნათელაშვილი, ოთარ მოთიაშვილი** (უფროსებში), **თემურ ბაიაშვილი, გიორგი თაკაშვილი** (ახალგაზრდებში), **ნოდარ მარტოლეკი, ფარნა კაპანაძე** (1998-2000 წ.წ.).

### ბაიდარა

**უფროსები.** ერთადგილიანი. **ზაურ დევაძე** (ქუთაისი, 200 და 500 მ), ორადგილიანი. **ზაურ კიკალეიშვილი, მენე გოგელაშვილი** (ქუთაისი, 200 და 500). **ახალგაზრდები.** ერთადგილიანი. **გიორგი ელბაქიძე** (დუშეთი, 200 და 500), ორადგილიანი. **ლაშა კვაჭაძე, ზურაბ დოლიძე** (ფოთი, 200 და 500), **1998-2000 წ. წ.** დაბადებულნი. ერთადგილიანი. **ვალერი რთველიაშვილი** (მცხეთა, 200), **ნიკოლოზ ლაზვიაშვილი** (დუშეთი, 500). ორადგილიანი. **ვასილ ჯიქურაული, გიორგი გობეჯიშვილი** (დუშეთი, 200 და 500). გოგონები. ახალგაზრდები. **მადონა ყარსიმაშვილი** (დუშეთი, 200 და 500), 1998-2000 წ.წ. ერთადგილიანი. **თეონა შაბურიშვილი** (დუშეთი, 200 და 500), ორადგილიანი. **ანა** და **ნინი ჯიქურაულები** (დუშეთი, 200 და 500).

### კანოე

**უფროსები.** ერთადგილიანი. **გიორგი ჭინჭარაშვილი** (დუშეთი, 200), **ალექსანდრ პესტოვი** (მცხეთა, 500). ორადგილიანი. **ზაზა და ვარლამ ნადირაძეები** (მცხეთა, 200 და 500). **ახალგაზრდები.** ერთადგილიანი. **გიორგი შაბურიშვილი** (დუშეთი, 200 და 500), ორადგილიანი. **დიმა ბადაჩკოვი, საბა ხოშტარია** (ფოთი, 200 და 500). **1998-2000 წ.წ.** ერთადგილიანი. **ბორის კაკულია** (ფოთი, 200 და 500), ორადგილიანი. **მირზა და ბორის უშიკაშვილები** (დუშეთი, 200 და 500).

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



მერაბ გაგუნაშვილი

# გაგუნაშვილმა მოგებით დაიწყო

გუშინ ჯაკარტაში (ინდონეზია) დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის რეიტინგფავორიტია ნიდერლანდელი ივან სოკოლოვი (2690). შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს თბილისელი **მერაბ გაგუნაშვილი** (2584). იგი მეტოქეობას გაუწევს საკმაოდ ცნობილ დიდოსტატებს — ლი ჩაოს (ჩინეთი, 2681), ვლადისლავ ტკაჩიევს (საფრანგეთი, 2662), იუ იანის (ჩინეთი, 2651), სერგეი ფედორჩუკს (უკრაინა, 2647), ვიორელ იორდაჩესკუს (მოლდოვა, 2637), იან ელვესტს (აშშ, 2607) და სხვებს. ასპარეზობის სტარტზე ჩვენებურმა თეთრი ფიგურებით მასპინძელ აგუსტა ლაკსანას მოუგო. პირველ ტურში ყველა ფავორიტმა ვერ მიაღწია წარმატებას. მაგალითად, მეორე ნომერი ლი ჩაო ინდონეზიელ გოგონას — კარიშმა ირინე სუკანდარს დაუზავდა, სერგეი ფედორჩუკმა ანდიკ პიტრასთან გაყო ქულა. გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს სოკოლოვმა, ტკაჩიევმა, იანიმ, იორდაჩესკუმ, რომლებმაც, შესაბამისად, ტაიფუკ ჰელეის, სუჟენ პრაითნოს, ჰარიდას პასკუას და ანჟას ნოვიტას აჯობეს.

დღეს მე-2 ტურში გაგუნაშვილი შავი ფიგურებით მასპინძელ დენი ჟუოვანტოს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის ვეტერანები და სეოკ-ის აჭარის ორგანიზაცია, უერთდება საქართველოს სპორტული საზოგადოების დადებით განწყობას, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ „ქართული ოცნების" წარმომადგენლის, საქართველოს სახელოვანი სპორტსმენის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პირველი ვიცე-პრეზიდენტისა და შესანიშნავი პიროვნების **ლერი ხაბელოვისადმი** გამოხატულ ნდობას.

ვუსურვებთ მას დიდ წარმატებებს, ქართული სპორტის წინსვლისა და აღმავლობის საქმეში.

**თენგიზ ბოლქვაძე**

საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, 1994-2004 წლებში აჭარის ან სპორტის სახელმწიფო კომიტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სეოკ-ის აჭარის ორგანიზაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი.

®

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა საფიხვნო. გამოხმაურება



# გამოვფხიზლდეთ!

თქვენი რუბრიკა „მკითხველთა საფიხვნო", თემა - „რა დავკარგეთ, რა გვინდა!" ნამდვილად საყურადღებოა. ბოლო ათეული წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, უამრავმა შეცდომამ, მეტიც დანაშაულებრივმა გადაწყვეტილებამ შეაფერხა ქართული სპორტის წინსვლა-განვითარება.

## რა დავკარგეთ?

1. ბავშვთა და მოზარდთა სპორტი - ერთი ხელის მოსმით გაუქმდა თბილისში. 28 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, სამსახური დაკარგა 500-მდე მწვრთნელ-მასწავლებელმა, 5000-მდე ბავშვი ქუჩის ამარა დარჩა, დაინგრა და გაიყიდა 15-მდე სპორტული ნაგებობა.

2. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია - ქართული სპორტის კადრების მომზადების ძირითადი ტაძარი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების სამჭედლო, სპორტის მეცნიერების განვითარების კერა. 100-მდე პროფესორ-მასწავლებელი, 2000 სტუდენტი დარჩა აკადემიის მიღმა. ინგრევა და პარტახდება სპორტული ნაგებობები, ბაზები.

3. საგანმანათლებლო სკოლებში კარგად აპრობირებული ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, რომლიც შეიცვალა უსახო „სპორტის გაკვეთილებით".

4. უმაღლეს სასწავლებლებში - სპორტის კათედრები, რამაც სტუდენტებში ჩაკლა სტუდენტური სპორტი, მასობრივი ღონისძიებები, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.

5. ქართული ტრადიციული ეროვნული სპორტის სახეობები (ცხენოსნობა, ისინდი, ლელო და სხვა).

6. ყველაფერმა ამან გამოიწვი ქართველ ახალგაზრდობაში პატრიოტიზმის დაქვეითება.

## რა გვინდა?

1. საქართველოს სპორტის კანონის ახალი რედაქცია - ჩვენთვის ცნობილია, რომ შემუშავებულია პროექტი, რატომ გვიანდება? კანონის განახლება ხელს შეუწყობს სპორტში ახალ მიდგომებს, თანამედროვე ცხოვრების განვითარებას და მისცემს სახელმწიფოებრივ სტატუსს.

2. აღდგეს თბილისის რაიონებში - სპორტის ხელმძღვანელების ცენტრები (სპორტკომიტეტები), რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ თბილისში მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, კონტროლს გაუწევენ ჯერ კიდევ არსებული სპორტული ობიექტების შენარჩუნებას და მოვლას.

3. აღდგეს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბები, „ასკ" - თავდაცვის, „მართვე" - განათლების და „დინამო" - შინაგან საქმეთა სამინისტროებში, რომლებსაც გააჩნიათ სპორტული ობიექტები და კადრები.

4. აუცილებლად უნდა აღდგეს საქართველოს სპარტაკიადა (კომპლექსური) სადაც თვალნათლივი გახდება ქვეყანაში სპორტის და მასობრიობის მთლიანი და რეალური სურათი.

5. სპორტის სამინისტრომ უნდა ალადგინოს კოლეგიალური ორგანო - სადაც კვარტალში ერთხელ განიხილონ და კონტროლი დააწესონ საქართველოს ნაკრები გუნდების, სპორტული ფედერაციების და სხვა სპორტული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის პროცესებზე.

6. საქართველოს სპორტის სამინისტრომ შექმნას სპორტის სტატისტიკის განყოფილება, სადაც თავს მოიყრის ქვეყანაში არსებული სპორტული ჯგუფების, ნაგებობების, მწვრთნელების, სპორტსმენების, მომეცადინეთა რიცხვის, ჩატარებული ღონისძიებების და სხვა სტატისტიკა.

7. სპორტის სამინისტროში შეიქმნას სპორტის ვეტერანთა საბჭო, რომელიც სპორტის განვითარებასთან ერთად, იმსჯელებს ვეტერან სპორტსმენთა და მწვრთნელთა სოციალურ მდგომარეობაზე (ასეთი საბჭო არსებობს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულ კავშირში, საჭიროა მათი გაერთიანება).

**იროდი ბეჟაშვილი**
საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე

# ჩვენ მაინც ვცდილობთ!

განათლების დარგის მუშაკები ვართ - მოზარდთა ფიზიკურ აღზრდას ვემსახურებით. გულდასაწყვეტია, რომ დავკარგეთ ის, რისი დაკარგვაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა - უეფექტო რგოლებად დავაცალკევეთ ფიზაღზრდის გაკვეთილის, კლასგარეშე სპორტული სექციების, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ერთიანი ჯაჭვი, ან სულაც გავაქრეთ.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის ხუთი საჯარო სკოლის ფიზაღზრდის სპეციალისტებმა ჩამოვაყალიბეთ სპორტული კლუბი „მორკინალი-2006", შევეცადეთ ამით ნაწილობრივ მაინც გამოგვესწორებინა კატასტროფული მდგომარეობა. შარშან პირველად ჩავატარეთ შეჯიბრებები, რომელშიაც 10 სკოლის 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. წლეულს გაცილებით მეტმა გამოთქვა სურვილი. ეს ვერანაირად რომ ვერ იქნება დაკარგულის კომპენსაცია კარგად გვესმის, მაგრამ მაინც... გაუგებარია, რას აშავებდა სასკოლო, სასკოლათაშორისო თუ ამხანაგური შეჯიბრებები. სპარტაკიადები, რომელიც სკოლებიდან იწყებოდა და რესპუბლიკური კომპლექსური ასპარეზობით მთავრდებოდა.

აუცილებლად უნდა აღდგეს, რაც წინდაუხედაობით უკეთესის ჩაუნაცვლებლად დავკარგეთ.

რა გვინდა? სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილების აღდგენა და მისი ეფექტურობის ამაღლება. ფიზაღზრდის გაკვეთილები იგივე როლს ასრულებს მოზარდისთვის, რასაც ანბანის შესწავლა სულიერი აღზრდის საქმეში. დიდი სპორტისკენ მიმავალი გზა სკოლიდნ იწყება. გავიხსენოთ, რა კარგად იყო ნათქვამი: „ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაშია!" ჩვენც აქ შევჩერდებით.

**დავით ხავთასი,**
**გია ბეგიაშვილი**
სპორტკლუბ "მორკინალის" ვიცე-პრეზიდენტები

ჰორიზონტი

# გაზეთი „ლელო" ამერიკელ სტუდენტებს ქართული ენის შესწავლაში დაეხმარება

ამერიკის შეერთებული შტატების კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოსადმი გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით იქმნება ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები. სწავლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ სხვადასხვა ქართულენოვანი გაზეთებიდან კონკურსით უპირატესობა გაზეთ „ლელოს" მიენიჭა.

როგორც შევიტყვეთ, საკონკურსოდ მხოლოდ ისეთი ქართული გაზეთები შეირჩა, რომლებსაც არ აქვთ პოლიტიკური მიმართულება, ქვეყანაში პოპულარულია, თავისუფლად იკითხება და შინაარსით მკითხველთა ფართო წრეს იზიდავს. მხედველობაში მიიღებოდა, აგრეთვე გამოცემის ტრადიცია, პერიოდულობა, დიზაინი, გვერდების რაოდენობა, ფერადოვნება და ა.შ.

„ლელოს" რედაქციამ ამ ინფორმაციასთან ერთად პროექტის სათავო ორგანიზაციიდან აშშ-ში ქართული ენის სწავლების პროცესში გაზეთ „ლელოს" გამოყენების ნებართვის თხოვნა და ამის დამადასტურებელი სპეციალური ანკეტა მიიღო.

თხოვნა დაკმაყოფილდა.

**„ლელოს" რედაქცია**

დიდი სპორტის კარიბჭესთან



# თეონა გოგლიძე

ფარიკაობა

**დაიბადა** 1996 წლის 24 აგვისტოს.

**სწავლობს** თბილისის 35-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასში. ფარიკაობაში (რაპირა) ვარჯიშობს 2008 წლიდან თეონა ნიშნიანიძის ხელმძღვანელობით და დღემდე მასთან იმაღლებს ოსტატობას.

**შედეგები.** 2011 წელი. საქართველოს ჩემპიონი კადეტებში, იუნიორებსა და უფროსებში, საქართველოს თასის მფლობელი. ბათუმის საერთაშორისო ტურნირი კადეტებში - I ადგილი, საერთაშორისო შეჯიბრება - თურქეთის თასი კადეტებში - გუნდური I ადგილი. 2012 წელი. საქართველოს ჩემპიონი იუნიორებში და საქართველოს თასის მფლობელი. იუნიორებში ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო ტურნირები - II ადგილები, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და 16-წლიანებში ერევნის საერთაშორისო ტურნირი - I ადგილები.

**გატაცება:** ჩოგბურთი, ცურვა.

**ჰობი.** მოგზაურობა. მხატვრული ლიტერატურის კითხვა. საყვარელი მწერალი ჟიულ ვერნი.

**კერპი.** რაპირათი ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი კიფერ ლი.

**მიზანი.** თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების მოგება. სამომავლოდ - ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ქართველები ევროლიგაში



# კუნძულზე კარგად, ნახევარკუნძულზე ნახევრად კარგად

## მარკოიშვილი 13-ით იწყებს, შერმადინი 9-ით

ევროლიგის გახსნითი ტური ქართველთათვის სანახევროდ წარმატებული გამოდგა. კუნძულ მალაგაზე „უნიკახასთან" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა **გიორგი შერმადინის** „მაქაბიმ", ხოლო პირენეის ნახევარკუნძულზე ბოლო წამებზე სლოვენიის „ოლიმპიასთან" დამარცხდა **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ". „მაქაბელების" გამარჯვება (85:80) იმდენად მოულოდნელი არ იყო, რამდენადაც კანტუელთა საშინაო მარცხი (71:84).

■ ■ ■

ფინელებით, **სალინითა და რანიკოთი** გაძილერებულმა სლოვენიურმა „ოლიმპიამ" თავიდანვე თანაბარი ბრძოლა გაუჩალა იტალიელებს, ხოლო ბოლო წუთებზე, როცა თამაშის ბედი წყდებოდა, ზუსტი სამქულიანებით „კანტუს" შანსი არ დაუტოვა.

მანუჩარი მწვრთნელმა მოედანზე საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე დააბრუნა. მანუმ ბევრი ეცადა, მაგრამ მხოლოდ საჯარიმოები გამოიყენა (ისევე როგორც მისმა თამაგუნდელებმა). ქართველი უკანახაზელი 13 ქულით „კანტუს" ვიცე-ბომბარდირი გახდა. მან 19 წუთში 2 ორქულიანი (6-დან), 2 სამიანი (5-დან) და 3 საჯარიმო (4-დან) ჩააგდო, რასაც 1 მოხსნა და 2 პასი მიამატა. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი **პიეტრო არადორიმ** ჩააგდო - 16.

■ ■ ■

ისრაელის „მაქაბიმ" „უნიკახასთან" მატჩში თავიდანვე მოიპოვა სათამაშო უპირატესობა. ეს ანგარიშშიც ასახა და მიუხედავად იმისა, რომ კუნძულელებმა ანგარიში მინიმუმამდე არაერთხელ შეამცირეს, სტუმრებმა მატჩი მაინც მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

შერმადინი, ისევე როგორც მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო. მაქაბელმა ცენტრმა მესამე პერიოდის ბოლოს გუნდის წინსვლაში დიდი წვლილი შეიტანა: მას მერე, რაც „მაქაბიმ" 11-ქულიანი ფორა გაანიავა (56:54), გიორგიზე მალაგელებმა მეტად იუხეშეს და მსაჯს ტექნიკური ჯარიმაც დასტყუეს. შერმადინმა ოთხი საჯარიმო გამოიყენა და - 60:54 „მაქაბის" სასარგებლოდ. ქართველმა მალე მეცხრე საჯარიმოც ჩააგდო და მოედანი მაშინ დატოვა, როცა მისი გუნდი 7 ქულით იგებდა. თუმცა ამერიკელი **ერლ კალუეის** წინამძღოლობით მესამე პერიოდის ბოლოსთვის ესპანელებმა სხვაობა ორამდე დაიყვანეს.

მეოთხე რაუნდში „მაქაბის" მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა** მობილური, ტანდაბალი შემადგენლობით უთამაშა, შერმადინი აღარ გამოუყვანია. ასე რომ, ქართველ ცენტრს ათიან ნიშნულამდე ერთი ქულა დააკლდა: 14 წუთი, 9 ქულა (12-დან 9 საჯარიმო, 2-დან 0 ორქულიანი) და 3 მოხსნა, მასზე 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

■ ■ ■

დღეს ევროლიგაში **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი" ჩაერთვება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი ლიტვაში

# 9 და -9

ლიტვის ჩემპიონატში მესამე ტური გაიმართა. **სერგო ათუაშვილის** "ნაგლისმა" ქალაქ შიაულიაის ამავე სახელწოდების გუნდი მიიღო და 9 ქულის სხვაობით დამარცხდა – 63:72.

224 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა (1985) მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 9 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში მან თითო ორქულიანი და სამიანი ისროლა და 2 ქულას თითო მოხსნა-დაფარება მიამატა.

პალანგელებს ლიტვის ჩემპიონატში სამი წაგება აქვთ და სატურნირო ცხრილში ბოლო, მე-12 ადგილზე არიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვაჟა სიხარულიშვილი

# ......, დუდუკი, ......

კვირას, 7 ოქტომბერს კლასიკური ფეხბურთის ჰანგებმა კიდევ ერთხელ დაატკბო საფეხბურთო საზოგადოება. „ბარსელონამ“ და „რეალმა“, უფრო სწორად, მესიმ და რონალდომ 2:2 ითამაშეს. როგორც ჩანს, საკუთარ შემოქმედებაში ახალი ელემენტების შესატანად კატალონიაში გამართულ მატჩს მომღერალი ჯენიფერ ლოპესი დაესწრო. თუ მის მუსიკაში კლასიკის ელემენტები გაჩნდა, უთუოდ „ბარსა“-“რეალის“ შთაბეჭდილებების შედეგი უნდა იყოს. „რეალის“ ფორმაში გამოწყობილმა ჯენიფერმა მატჩის შემდეგ მადრიდელთა გასახდელამდე მიაღწია და სერხიო რამოსთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.



რამოსი და ლოპესი



პიკე და შაკირა

სამახსოვრო ფოტოებით დაიწყეს და ღრმად შეტოპეს „ბარსელონას“ მცველმა ხერარდ პიკემ და მომღერალმა იზაბელ მებარაკ რიპოლმა (პოპ-ენაზე შაკირამ). როგორც გვპირდებიან, მალე „ქორწილსაც ვჭამთ“.
ეს კიდევ ერთი მაგალითია სპორტსა და მუსიკას შორის არსებული მჭიდრო კავშირისა. მეტსაც გეტყვით, უამრავი სპორტსმენია, ხელში მიკროფონი რომ აუღია. მოკლედ, დღევანდელი ჩვენი თემაა... გახსოვთ, გასული კვირის „ტაიმლაინში“ რაზე დავწერეთ? - ღვინოზე. ჰოდა, დღევანდელი ჩვენი თემაა „დუდუკი“, ანუ მუსიკა. არც მომდევნო კვირის „ტაიმლაინის“ თემის გამოცნობა გაგიჭირდებათ...

## მიკროფონზე გაცვლილი ხელთათმანი

60-იან წლებში მადრიდის „რეალი“ ქვასქვაზე არ ტოვებდა. სწორედ ამ დროს გუნდში გამოჩნდა მეკარე, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. გამოიცნეს კიდეც, ოღონდ **ხულიო იგლესიასს** არა საფეხბურთო, არამედ მომღერლის კარიერა ჰქონდა ბრწყინვალე. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მან ფეხბურთის თამაში ახალგაზრდულ ასაკში დაასრულა.

ხულიო იგლესიასის ვაჟი **ენრიკე** მამის კვალს გაჰყვა, მიკროფონი მოიმარჯვა, თუმცა სპორტისგან თავი მაინც ვერ დაიძვრინა - რუს ჩოგბურთელ **ანა კურნიკოვასთან** გააბა რომანი.

## მოგება გინდა? იმღერე!

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელები კლიპში გადაიღეს. მათ **ადრიანო ჩელენტანოს** ცნობილი ჰიტი „აძურო“ იმღერეს. სოლო შეასრულეს **ალესანდრო დელ პიერომ** და **ფრანჩესკო ტოტიმ**. გამოჩნდა ისიც, რომ **ჯენარო გატუზოს** რომც მოენდომებინა, პოპ-მუსიკოსის კარიერას მაინც ვერ აიწყობდა.

მას მერე, არც ევრო-2008-ის, არც მუნდიალი-2010-ისა და არც ევრო-2012-ის წინ იტალიის ნაკრებს სიმღერა არ ჩაუწერია. აი, შედეგიც - 2006 წლის შემდეგ „აძურას“ ერთი შეჯიბრებაც არ მოუგია. როგორც ჩანს, მუსიკის პოპულარიზატორ ნიკოლოზს („უდიპლომო სასიძოდან“) სულ ტყუილად მიიჩნევდნენ სულელად.



დელ პიერო მიკროფონთან

## 216 სმ და 147 კგ რეპერ-დირიჟორი

იტალიელების მსგავს, მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა საკალათბურთო კლუბ „ლეიკერსის“ კალათბურთელი **რონ არტესტი**. მან სეზონის წინ ჩაწერა სიმღერა „ჩემპიონი“ და იმ ჩემპიონატში „ლეიკერსმა“ პირველობა არავის დაუთმო.

მაშინდელი მისი თანაგუნდელები **კობი ბრაიანტი** და **შაკილ ონილიც** მუსიკის დიდი თაყვანისმცემლები არიან. მათაც აქვთ საავტორო სიმღერები. შაკი გაცილებით შორს წავიდა და არაერთი ალბომი გამოუშვა.

აქვე უნდა ვახსენოთ საქართველოს ნაკრების წევრი **ზაზა ფაჩულია**, რომელსაც რეპერ ბენდენასთან ერთად დუეტში სიმღერა აქვს ჩაწერილი, სახელწოდებით „თამაში“. თავის ნაშრომში ზაზა მსმენელს ჯანსაღი ცხოვრებისკენ მოუწოდებს და საინტერესო რჩევებსაც აძლევს: თუ გინდა მიზანს მიაღწიო, იშრომე, იწვალე, ნუ აჰყვები სხვებსო...

## ტრიო: ხიზანიშვილი, ბაჯო, რამაზოტი

ფაჩულიას მეგობარ **ზურაბ ხიზანიშვილს** საქვეყნოდ ცნობილ ორ ადამიანთან ერთად ტრიო აქვს ნამღერი. ეს ამბავი ზურამ „ქართული სპორტის“ ჟურნალისტს 2006 წელს მოუთხრო.

„შოტლანდიის „დანდიში“ თამაშისას მძიმე ტრავმა მივიღე და მუხლის ოპერაცია დამჭირდა. იტალიაში, ქალაქ ბოლონიის კლინიკაში გავიკეთე. ეს დაწესებულება იმითაა ცნობილი, რომ ხშირად აკითხავენ ცნობილი სპორტსმენები.

იქ ბევრი პოპულარული ფეხბურთელი მკურნალობდა. სარეაბილიტაციო კურსს გავდიოდი და უკვე სასტუმროში ვცხოვრობდი, საიდანაც კლინიკაში ხშირად გადავდიოდი ხოლმე. ერთხელაც სასტუმროში **რობერტო ბაჯო** დასახლდა. მასაც რეაბილიტაცია სჭირდებოდა. მაშინ იგი „ბოლონიაში“ ირიცხებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ეს ფეხბურთელი ახლოს გავიცანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ბოლონიაში ყოფნის პერიოდში კლინიკაში მომღერალი **ეროს რამაზოტი** მოვიდა. მე და ბაჯომ მხრები ავიჩეჩეთ - სპორტსმენი არ არის და მოცეკვავე, ფეხის ტრავმა როგორ უნდა მიეღოო... გაირკვა, რომ ეროსს ძველი ტრავმა გამიზეზებია, მუხლში წყალი ჩადგომია. მოკლედ, მენისკი სჭირდა. რამაზოტიც შევიამხანაგეთ და მთელი დღე ან ნარდს ვაგორებდით, ან ბანქოს ვთამაშობდით, ან ფეხბურთს ვუცქერდით.

მე და ბაჯო სასმელს ვერ ვეკარებოდით. ერთხელ ტელევიზორს ვუყურებდით, როცა შეზარხოშებული რამაზოტი შემოვიდა. ჯერ თავისთვის ღიღინებდა, მერე ხმას აუწია და ჩვენც გვეძალავებოდა, ამყევითო. მე ცოტა შიშით, ბაჯო კი თამამად აჰყვა და „ავე მარია“ „დავაგუგუნეთ“. ჰოლში ხმამაღლა ვმღეროდით, ეშხში შევედით და ვერ მოვზომეთ, რომ ღამის პირველი საათი იყო და სასტუმროში ხალხს ეძინა. ჯერ რამდენიმე დაფეთებულმა გამოიხედა, მერე სხვა სართულის მაცხოვრებლებიც ამოვიდნენ და ატყდა ფოტოაპარატების ჩხაკუნი, მობილურებით ვიდეოს გვიღებდნენ.

ჩემზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ეროს რამაზოტის კონცერტის ცოცხლად ხილვა, რობერტო ბაჯოს აკომპანირებით იშვიათი სანახავი იყო. ამიტომ, ნამძინარევი ხალხიდან საყვედური ერთს არ დასცდენია. პირიქით, სიმღერა რომ დავასრულეთ ატყდა შეძახილები - ბის, ბის!

მეორე დღეს მე და რობერტო ერთმანეთს ვეკითხებოდით: ისე რამ გაგვათავხედა, რომ ეროს რამაზოტისთან ერთად, სრულიად ფხიზლებმა ვიმღერეთო. რობერტომ დამამშვიდა: ერთ დღეს რამაზოტი „ბოლონიას“ ბაზაზე წავიყვანოთ, ფეხბურთი ვათამაშოთ და ბარიბარში ვიქნებითო.“



## ფოტოპარალელი

სპორტი პოლიტიზირებულიაო, ამბობენ. მაგალითებიც მოჰყავთ. აქ კი საპირისპიროს დაგიმტკიცებთ - „პოლიტიკა სპორტიზირებულია“. საპრეზიდენტო სასახლეში გასამართი მატჩის წინ პოლიტიკოსები სწორედ ისე მიესალმნენ ერთმანეთს, როგორც საფეხბურთო მატჩისას. ვინ მოიგო, ან რა ანგარიშით, ამას ვერ მოგახსენებთ, რადგან შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების წინაშე შედგა, მხოლოდ მატჩისშემდგომი კომენტარები მოვისმინეთ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯღალოსანთა დათვალიერება

# ჰეიგის და აბაშიძის ფრანგული რევიზიის შესახებ

**საქართველოს ნაკრები ნოემბერში თბილისში ორ ტესტ-მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნების“ მეტოქეები იაპონიისა და ფიჯის ნაკრებები იქნებიან. ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი და ნაკრების მენეჯერი ვასილ აბაშიძე ახლახან საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ, სადაც ათი დღე დაჰყვეს და ქართველი მორაგბეების თამაშებს აკვირდებოდნენ.**

ფრანგული ვოიაჟის შესახებ **ვასილ აბაშიძე** მოგვითხრობს:

„საფრანგეთში ჩვენი ვიზიტის მიზანი საქართველოს ნაკრების მოთამაშეების საქმეში ხილვა, მათთან შეხვედრა და სამომავლო გეგმების გაცნობა იყო. თავდაპირველად კლერმონში ჩავედით, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდის ორი მორაგბე - დავით ზირაქაშვილი და ვიქტორ კოლელიშვილი ასპარეზობენ.

დავესწარით მატჩს „კლერმონსა“ და „სტად ფრანსეს“ შორის. პარიზული გუნდის სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა შერკინების ბურჯი ზურაბ ჟვანია, თუმცა მას თამაშმა არ მოუწია. სამწუხაროდ, იმ შეხვედრაში არ უთამაშიათ ზირაქაშვილსა და კოლელიშვილსაც.

კლერმონში სტუმრობა მაინც ნაყოფიერი გამოდგა. ორივე მოთამაშეს შევხვდით და ჩვენი გეგმები გავაცანით. ვესაუბრეთ ასევე გუნდის მთავარ მწვრთნელს, მილტონ ჰეიგის თანამემამულე ვერნ კოტერს. საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა კლუბის ხელმძღვანელებთანაც. სამომავლოდ გამორიცხული არ არის ჩვენი გუნდის საწვრთნელი შეკრებისთვის „კლერმონის“ სარაგბო ინფრასტრუქტურა გამოვიყენოთ. ამასთან ერთად, დავსახეთ სხვა გეგმებიც, რომელთა თაობაზეც, როცა საბოლოოდ გადაწყდება, მოგვიანებით გაცნობებთ. ერთი სიტყვით, „კლერმონთან“, რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, მჭიდრო თანამშრომლობა გვექნება.

ზირაქაშვილი ამ გუნდში დიდი ხანია თამაშობს და ერთ-ერთი წამყვანი მორაგბეა. კოლელიშვილი კი ძირითად გუნდში წლეულს გადავიდა და მას რამდენიმე თამაშში მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. „ვიტოს“ პროგრესი აშკარაა, მას სერიოზულად აქვს მომატებული.

კლერმონიდან მონპელიეში გავემგზავრეთ, სადაც „მონპელიესა“ და „კასტრის“ დაპირისპირება ვნახეთ. ამ შეხვედრაში მხოლოდ მამუკა გორგოძემ და გიორგი ჟღენტმა ითამაშეს. მატჩის შემდეგ ხუთივე მონპელიელს შევხვდით და ვესაუბრეთ. მილტონ ჰეიგიმ პირადად გაიცნო ჟღენტი, რომელსაც იქამდე არასდროს შეხვედროდა, ასევე „მონპელიეში“ მოთამაშე ახალგაზრდა მორაგბეები, ბექა ლომიძე და გიგი ბაზაძე.

მონპელიედან ისევ კლერმონში დავბრუნდით. ამ ქალაქის მახლობლად „მონლუსონში“ შუამარბი რეზო გიგაური ირიცხება და მისი თამაშის ნახვა გვინდოდა. სამწუხაროდ, რეზომ ტრავმის გამო ასპარეზობა ვერ შეძლო. სამაგიეროდ უკან დაბრუნებულებმა კოლელიშვილის თამაში ვიხილეთ „კლერმონის“ სათადრიგო ანუ ესპუართა გუნდის შემადგენლობაში.

ჩვენი ინტერესის მომდევნო ობიექტი „ბრივი“ იყო. იქ შუა კვირაში ჩავედით და ამიტომ მატჩი ვერ ვნახეთ. იქ მოთამაშე ქართველ მორაგბეებს დავით ხინჩაგიშვილს, ირაკლი ნატრიაშვილსა და გოდერძი შველიძეს დიდხანს ვესაუბრეთ.

ბრივიდან შორს არ არის ტულუზი. ამ ქალაქის გუნდში, რომელიც ფრანგული რაგბის გრანდია, ორი ქართველი - ჯაბა ბრეგვაძე და ვასილ კაკოვინი ირიცხება. ორივე ტრავმირებულია. ჯაბა ჯერ მხოლოდ დარბის, ვასოსაც აღდგენითი პროცედურები აქვს. იმედია, მალე თამაშსაც შეძლებენ.

ტულუზიდან „ტარბში“ გადავედით, ნაკრების წევრებს აქაც ვესაუბრეთ და მერე გეზი კასტრისკენ ავიღეთ, სადაც „კასტრისა“ და „კლერმონის“ შეხვედრას დავესწარით. ამ მატჩში პირველხაზელებმა ანტონ ფეიქრიშვილმა და დავით ზირაქაშვილმა ითამაშეს. ჰეიგმა ჟღენტის მსგავსად ფეიქრიშვილის თამაშიც პირველად ნახა.

მომდევნო დღე შაბათი იყო და ალბიში გავემგზავრეთ. აქ ნაკრების წევრები ალექსანდრე თოდუა და ვახტანგ მაისურაძე თამაშობენ. სამწუხაროდ, „ორიაკთან“ შეხვედრაში ტრავმის გამო მაისურაძემ ვერ ითამაშა. სამაგიეროდ მოედანზე იყო „ორიაკის“ სამივე ქართველი ლევან დათუნაშვილი, კარლენ ასეიშვილი და გიორგი ნაცარაშვილი.

საგულისხმოა, რომ ტრამვირებულ ყველა ქართველ მორაგბეს ერთი და იგივე პრობლემა აწუხებთ - ყველას საზარდული ტკივა.

ბოლოს, ალბიდან მონ დე მარსანში გავემგზავრეთ, სადაც ახალგაზრდა შუამარბის თამაზ მჭედლიძის თამაში ვნახეთ ესპუართა შემადგენლობაში. მას ტრავმა აწუხებდა, ახლახან გამოჯანმრთელდა და ჯერ სათადარიგო გუნდში იასპარეზა. მომავალ უქმეებზე კი „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში ძირითად გუნდში იქნება.

მჭედლიძე ერთ-ერთია იმ ახალგაზრდა მორაგბეთაგან ვისითაც ჰეიგი სერიოზულადაა დაინტერესებული. თამაზს დიდხანს ვესაუბრეთ, მილტონმა მას მიუთითა ხარვეზებზე, უთხრა რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება და რას ველით მისგან.

ერთი სიტყვით, საკმაოდ ნაყოფიერი მგზავრობა გამოგვივიდა. ჰეიგი ზოგიერთი მორაგბის სათამაშო ფორმით ძალიან კმაყოფილი იყო, ზოგის კი ნაკლებად. ყველას ესაუბრა და ნაკრების უახლოესი გეგმები გააცნო. ვფიქრობ, ეს ყოველივე, საბოლოოდ დადებით შედეგს მოგვცემს“.



ვასილ აბაშიძე ( მარცხნივ)

ინტერვიუ აქვსენტი გიორგაძესთან



ჯაბა ბრეგვაძე და აქვსენტი გიორგაძე

# ნაკრების მწვრთნელობას უდიდესი გამოცდილება სჭირდება

**საქართველოს ნაკრებში აქვსენტი გიორგაძის დებიუტი 1996 წელს, 20 წლის ასაკში შედგა. მას შემდეგ, „გლობუსამ“, როგორც მას მეგობრები ეძახიან, ეროვნულ გუნდში 62 კეპი მოიხვეჭა და 12 ლელო გაიტანა (60 ქულა). განვლილი სეზონი მის კარიერაში ბოლო აღმოჩნდა. აქვსენტიმ ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში იასპარეზა. სარაგბო კარიერა კი „ტულუზის“ შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებით დაასრულა.**

წლევანდელი სეზონის წინ მას ყველა ისევ „ტულუზის“ კვართით ელოდა, თუმცა მოვლენები სულ სხვა მიმართულებით განვითარდა და აქვსენტი გიორგაძე სამწვრთნელო ასპარეზზე გადაბარგდა. თუმცა ამის თაობაზე, უმჯობესია, თავად გვიამბოს.

- სეზონი რომ დამთავრდა, უკვე ვიცოდი, „ტულუზის“ რაგბის აკადემიაში უნდა დამეწყო მუშაობა შერკინების კვაჭებისა და ზოგადად პირველხაზელების მწვრთნელად. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჯაბა ბრეგვაძე, რომელიც ასევე შერკინების კვაჭია, საოპერაციო შეიქნა. ამიტომ „ტულუზის“ ხელმძღვანელებმა ხუთთვიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, ანუ ნოემბრის ბოლომდე უნდა მეთამაშა.

საწვრთნელი შეკრება ივლისის პირველ დეკადაში დაიწყო. რამდენიმე დღეში „ბრივიდან“, რომელიც ელიტურ, მეორე დივიზიონში აღმოჩნდა, ყოფილი ტულუზელი რეჟის ლაკომბი მოვიდა. ის ჩემზე გაცილებით ახალგაზრდაა და უკეთეს ფორმაშიც იყო. ამიტომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გი ნოვემ გადაწყვიტა ის აეყვანა. სწორადაც მოიქცა, ვფიქრობ, რომ ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. ასე დავიწყე უკვე აგვისტოდან „ტულუზის“ სარაგბო აკადემიაში მწვრთნელად მუშაობა.

**- შერკინების კვაჭების მწვრთნელი ეს რალაც ახალია. ამ სპეციალიზაციის დამრიგებლები სხვა გუნდებში არ ჰყავთ. ხომ არ ფიქრობენ ფრანგები, ეს მეთოდი ეროვნულ ნაკრებშიც დანერგონ?**

- დიახ, ფიქრობენ. საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იანიკ ბრუ „ტულუზის“ მწვრთნელთა შტაბის წევრი იყო. მან შესთავაზა მთავარ მწვრთნელს ფილიპ სენტ-ანდრეს ამ პოზიციაზე ჩემი კანდიდატურა. შეთანხმება უკვე მიღწეულია, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის ნაკრებში ნოემბრის ტესტებისას ვიმუშავებ. მერე დასხდებიან, გააანალიზებენ, რამდენად ეფექტური გამოვა ჩემი ნამუშევარი და თუ ყველაფერი კარგად იქნება, ამ საქმიანობას განვაგრძობ. ანუ უკვე დეკემბრიდან იმ გუნდებში უნდა ვიარო კვირაში ერთხელ, რომელთა შემადგენლობაშიც საფრანგეთის ნაკრების შერკინების კვაჭები ირიცხებიან. მათ სპეციალურ დავალებებს მივცემ და ვავარჯიშებ.

**- საქართველოს ნაკრებს ვერაფრით დაეხმარებით?**

- საამისოდ საკმარისი გამოცდილების დაგროვებაა საჭირო. არ ვარ მომხრე იმ ტენდეციის, როცა მოთამაშე კარიერას ასრულებს და ორ თვეში ნაკრების მწვრთნელი ხდება. მიმაჩნია, რომ ჯერ სათანადო კვალიფიკაციის მიღებაა საჭირო. ერთ თვეში საფრანგეთის ნაკრებში მომიწევს მუშაობა, მერე მომავალ წელს მაისში განაცხადი უნდა შევიტანო მაკუსის სამწვრთნელო სკოლაში, რათა პროფესიული მწვრთნელის ლიცენზია ავიღო. ამას დაახლოებით სამი წელიწადი დასჭირდება. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი დევიზი იქნება: სწავლა, სწავალა და სწავლა. როცა საჭირო ცოდნას და გამოცდილებას დავაგროვებ, მერე ვნახოთ. ალბათ საქართველოს ნაკრებსაც გამოვადეგები.

**- „ტულუზი“ ფრანგული რაგბის გრანდია, რომელშიც ქართველი მორაგბეები თამაშობენ. ეს ჩვენი რაგბისთვის ღირშესანიშნავი ფაქტია. ორი-სამი წლის წინათ ამაზე ალბათ არც ვოცნებობდით...**

- დიახ, ასეა. ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის აქ ძალიან ეიმედებათ. სამწუხაროდ, ორივე ტრავმებმა შეაწუხა. ვასო უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მომავალ უქმეებზე უნდა ეთამაშა კიდეც „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების მატჩში, მაგრამ საზარდულზე ისევ ტკივილებს გრძნობს და დასვენების საშუალება მისცეს.

ჯაბა ჯერჯერობით მხოლოდ დარბის. ნოემბრის ბოლოს უკვე კონტაქტურ ვარჯიშებს დააწყებინებენ და იმედი გვაქვს, რომ დეკემბრის შუა რიცხვებიდან თამაშსაც შეძლებს.

ისე რალაც უცნაურად აეწყო. „ტულუზში“ ჯერ მე მიმიწვიეს და მალევე დავშავდი, მერე ჩემს მაგივრად ჯაბა მიიღეს, ოთხი თუ ხუთი თამაშის ჩატარება მოასწრო და მანაც ტრავმა მიიღო. კაკოვინი სეზონის წინ გადმოიყვანეს „ბრივიდან“ და მალევე საოპერაციო შეიქნა. ერთი სიტყვით, ბიჭებმა გამოჯანმრთელების შემდეგ უნდა დაამტკიცონ, რომ ქართველებს ასეთი მაღალი დონის გუნდში თამაში შეგვიძლია და ტრავმების ეს ეპიდემია მხოლოდ შემთხვევითობაა.

**- როდესაც გუშინ ტელეფონით დაგიკავშირდით, მითხარით, თამაშისთვის ვემზადებიო...**

- სერიოზული არაფერია. ტულუზთან ახლოს პატარა ქალაქია, ტურნეფოი ჰქვია, რომლის გუნდიც ფედერალ 2 დივიზიონში ასპარეზობს. კვირაში ორჯერ მათთან ერთად ვვარჯიშობ და უქმეებზე ვთამაშობ ხოლმე. ისე ჩემთვის ვერთობი. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებს ნოემბრის ტესტების წინ საწვრთნელი შეკრების გამართვა ტულუზში სურს და გამორიცხული არ არის, სავარჯიშოდ, სწორედ „ტურნეფოის“ ბაზა გამოიყენონ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ჩოგბურთი



ისინი უკვე ლონდონში არიან

# გზა ლონდონისკენ

მოახლოვდა 2012 წლის სეზონის დასასრული და, როგორც ყოველთვის, ამ პერიოდში აქტუალური ხდება ბრძოლა წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში მოსახვედრად. როგორც უკვე ვწერდით, WTA-ის წლის მთავარ ტურნირზე მონაწილე რვავე ჩოგბურთელი გასულ კვირას გაირკვა, რაც შეეხება ATP-ის წლის შემაჯამებელ ტურნირს, აქ ბრძოლა საგზურებისთვის ჯერ კიდევ წინ არის.

წელს, ATP-ის კალენდარში არსებობს ერთი მნიშვნელოვანი სიახლე - ხუთდღიანი შესვენების გაუქმება პარიზის მასტერსის შემდეგ. ამჯერად, შემაჯამებელი ჩემპიონატი პარიზული ტურნირის დასრულებიდან მომდევნო დღეს დაიწყება. არსებობს ეჭვი, რომ ამის გამო ლონდონის ტურნირზე გასული ჩოგბურთელები უბრალოდ არ ჩავლენ საფრანგეთის დედაქალაქში ან ძალების დაზოგვით ითამაშებენ.

რაც შეეხება წლის შემაჯამებელ ტურნირზე შერჩევას, აქ ყველაფერი ძველებურადაა: ბადეში მოხვდება იმ მომენტისთვის რეიტინგის პირველი რვა ჩოგბურთელი. თუმცა არსებობს გამონაკლისი "დიდი სლემის" ტურნირების გამარჯვებულთათვის - ისინი TOP8-ში რომც ვერ მოხვდნენ, მაინც აუცილებლად ითამაშებენ ბრიტანეთის დედაქალაქში. თუმცა ეს საკითხი არააქტუალურია, რადგან "დიდი სლემის" ლაურეატები რეიტინგითაც უპრობლემოდ გადიან შერჩევას.

ასე რომ, ლონდონში თამაშის უფლება მოიპოვა იმ ოთხეულმა, რომელმაც სეზონის ოთხი ყველაზე დიდი ტურნირი მოიგო: **როჯერ ფედერერმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ენდი მიურეიმ** და **რაფაელ ნადალმა**. თუმცა ამ უკანასკნელის საკითხი ჯერ გაურკვეველია. შეგახსენებთ, რომ ესპანელს უიმბლდონის შემდეგ არ ჩაუტარებია ოფიციალური შეხვედრა. არ არსებობს არანაირი ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, ჩავა თუ არა ესპანელი ლონდონში, მაგრამ დიდი ალბათობაა იმისა, რომ წელს ის კორტზე აღარ დაბრუნდება. შესაბამისად, გამსვლელი გახდება რეიტინგის მეცხრე ნომერი.

ამ მომენტისთვის მეხუთე ადგილზეა **დავიდ ფერერი**, რომელიც მეცხრეადგილოსანს ორი ათას ქულას უგებს. ოფიციალურად მას ჯერ არ მოუპოვებია საგზური, მაგრამ დავიდის პოზიციას საფრთხე არ ემუქრება. დაახლოებით 1000 ქულით ნაკლები აქვთ **ტომაშ ბერდიხსა** და **ხუან-მარტინ დელ პოტროს**. ამასთან, არგენტინელი ტოვებს ამ კვირას შანხაის მასტერსს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქულათა ის მარაგი, რომელიც ბერდიხსა და დელ პოტროს აქვთ, გამსვლელია შემაჯამებელ ტურნირზე.

შესაბამისად, ყველაზე რთული სიტუაცია აქვს **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. ფრანგმა ოდნავ გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა, როცა გასულ კვირას, პეკინში ფინალში გავიდა, მაგრამ ამ მომენტში, მისი უპირატესობა **იანკო ტიპსარევიჩზე** მხოლოდ 395 ქულას შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ წინ კიდევ ორი მასტერსია, აგრეთვე ATP-500-ის ტურნირები, ფრანგის უპირატესობა მიზერული ჩანს.

ტიპსარევიჩის გარდა, კიდევ ხუთი ჩოგბურთელი (**ნიკოლას ალმაგრო, ხუან მონაკო, რიშარ გასკე, მილოშ რაონიჩი** და **ჯონ ისნერი**) ჩამორჩება ცონგას 1000 ქულაზე ნაკლებით. მათ შემთხვევში ნამდვილი გარღვევაა საჭირო, რაც შეიძლება მოხდეს პარიზში, რადგან, როგორც ვთქვით, ტურნირი შეიძლება გამოტოვონ წამყვანმა მოთამაშეებმა.

თუ რეალურად შევაფასებთ ცონგას კონკურენტების შესაძლებლობებს, ტიპსარევიჩის გარდა ყველაზე სახიფათო ამ მომენტისთვის რაონიჩია. კანადელმა შესანიშნავი ფორმა აკრიფა, თუმცა დაღლილობის გამო უკვე გამოეთიშა შანხაის, ისევე როგორც, ალმაგრო. მონაკოს მთავარი იმედები ჰარდს არ უკავშირდება, რომელზეც დასრულდება ეს სეზონი. თუმცა არგენტინელმა სულ ცოტა ხნის წინ მოიგო ამ საფარზე თავისი პირველი ტიტული - ეს კუალა ლუმპურში მოხდა. გასკე ერთადერთია ამ ხუთეულში, რომელსაც წლის შემაჯამებელ ტურნირზე გამოსვლის გამოცდილება გააჩნია. საერთოდ, პრეტენდენტთა სია ისნერზე არ სრულდება, მაგრამ ისეთ ჩოგბურთელებს, როგორებიც არიან **მარინ ჩილიჩი, სტანსლას ვავრინკა** და მათი მეზობლები რეიტინგში, შანხაის მასტერსზე ფინალში გასვლა სჭირდებათ, რათა ლონდონის საგზურს მიუახლოვდნენ.

აქვე გთავაზობთ იმ ჩოგბურთელთა სრულ სიას, რომლებსაც წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსი აქვთ:

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) - 10 410 ქულა
2. როჯერ ფედერერი (შვეიც) - 8 895
3. ენდი მიურეი (ბრიტ) - 6970
4. რაფაელ ნადალი (ესპ) - 6840
5. დავიდ ფერერი (ესპ) - 4780
6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) - 3720
7. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) - 3670
8. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) - 3115
9. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) - 2720
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) - 2415
11. ხუან მონაკო (არგ) - 2330
12. რიშარ გასკე (საფ) - 2325
13. მილოშ რაონიჩი (კან) - 2245
14. ჯონ ისნერი (აშშ) - 2115
15. მარინ ჩილიჩი (ხორ) - 1970

### კალათბურთი. NBA 2012-13 წელი

# სეზონის წინ: ფილადელფია სიქსერზი



**ფილადელფია სიქსერზი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 101,7 ქულა - მე-17 ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 96,6 ქულა - მე-3 ლიგაში

**წინა ხაზი**

**ენდრიუ ბინუმი** კარგ თამაშს შემოგვთავაზებს როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში, მაგრამ ახლა, გაუგებარი ხდება, რა მიზნებით გაიფორმეს უფრო ადრე **სპენსერ ჰაუსი** და **კვამე ბრაუნი**.

**შეფასება:** 5

**უკანა ხაზი**

**ჯრიუ ჰოლიდეი** და **ევან ტერნერი** საკმაოდ კარგ თამაშს აჩვენებდნენ, ოღონდ პლეი ოფის თამაშებში და ისიც ეპიზოდურად. მათ აუცილებლად სჭირდებათ სტაბილურობა. პირველ რიგში, ეს ტერნერს ეხება. ქულების მიხედვით გუნდის ლიდერის **ლუ უილიამსის** წასვლა შესამჩნევად შეასუსტებს შემტევ თამაშს.

**შეფასება:** 4

**დაცვა**

**ანდრე იგუოდალას** დანაკარგი ნიშნავს დაცვის შესუსტებას პერიმეტრზე, ბინუმის შეძენა - ბრწყინვალე დაცვას სამწამიან ზონაში. მაგრამ, თუ მძიმე ფორვარდის პოზიციაზე სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს ჰაუსი - ეს კატასტროფა იქნება. ამ ბიჭმა საერთოდ არ იცის დაცვა.

**შეფასება:** 4

**სათადარიგოთა სკამი**

**ნიკ იანგი** არ გამოირჩევა არც სტაბილურობით და არც ეფექტურობით, ამიტომაც გუნდში მიიწვიეს სამქულიანების სპეციალისტი - **დორელ რაიტი**. მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანი ჩანს **ლავოი ალენთან** კონტრაქის გაგრძელება, რომელმაც, გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით მეტი სათამაშო დრო უნდა მიიღოს, ვიდრე ჰაუსმა და ბრაუნმა.

**შეფასება:** 3

**მწვრთნელი**

**დაგ კოლინზმა** კარგი სამუშაო ჩაატარა ბოლო ორი წლის განმავლობაში, როცა მაქსიმუმი სარგებელი მიიღო თავისი ახალგაზრდა მოთამაშეებისგან. ახლა, მას მოუწევს საერთო ენის გამონახვა ენდრიუ ბინუმთან, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, მძიმე ხასიათით გამოირჩევა. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ მომავალ ზაფხულს, ენდრიუმ, შესაძლოა, დატოვოს გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით.

**შეფასება:** 4

**საბოლოო შეფასება**

ასეთი შემადგენლობით "ფილადელფიას" შეუძლია უკვე მომავალ წელს იბრძოლოს კონფერენციის ფინალში გასასვლელად. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, დარჩება თუ არა გუნდში ბინუმი. მასზე მუდმივად გამოიყენებენ ორმაგ მეურვეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდის შეტევა უფრო უკეთესი გახდება, ვიდრე შარშან იყო. დაცვაშიც, ათლეტური მაღალი ცენტრი შეუცვლელი იქნება. მაგრამ საერთო გუნდური თამაშის დახვეწას გარკვეული დრო დასჭირდება.

ასეა თუ ისე, "სიქსერზი" უფრო ძლიერი გახდა, მაგრამ ის, თუ როგორ განვითარდება გუნდი მომავალში, მეტწილად დამოკიდებული იქნება ახალგაზრდა მცველების - ჰოლიდეისა და ტერნერის პროგრესზე.

**საერთო შეფასება:** 5



ევან ტერნერი და ჯრიუ ჰოლიდეი

# როუზი სეზონს გამოტოვებს?

## კობი ბრაიანტი: კვამე ბრაუნი და სმეშ პარკერი ყველაზე საშინელი კალათბურთელები არიან

"ჩიკაგო ბულზის" ლიდერი **დერიკ როუზი** არ გამორიცხავს 2012-13 წლების სეზონის სრულად გამოტოვებას. მან ამის შესახებ NBA TV-ის ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშემ 2012 წლის აპრილში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა. ექიმების აზრით, აღდგენითი კურსი ოპერაციის შემდეგ, 8-12 თვეს დაიკავებდა.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ კალათბურთელის აღდგენითი პროცესი ნავარაუდევ ვადებზე სწრაფად მიმდინარეობდა, მაგრამ როუზმა განაცხადა, რომ არ აჩქარებს მოვლენებს და სურს სრულად გამოჯანმრთელდეს.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** შეაქო თავისი გუნდის მენეჯერები სეზონის წინ ჩატარებული სამუშაოს გამო. ამასთან, ვარსკვლავმა მცველმა არ დამალა, რომ ბოლო წლებში მის გუნდს საშინელი შემადგენლობა ჰყავდა.

*„ახლა ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავს,* - ამბობს სააგენტო AP-თან კომენტარში NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი. - *დღემდე ვერ ვიჯერებ იმას, რომ მოედანზე გავალ სტივ ნეშთან და პაუ გასოლთან ერთად. სათადარიგოთა სკამზე კი იჯდება ჯერ ისევ ტრავმირებული დუაიტ ჰოვარდი. 2005-06 წლების სეზონში მატჩში დაახლოებით 45 ტყორცნის შესრულება მიწევდა. ვისთვის უნდა მიმეცა პასი? სმეშ პარკერისთვის? კვამე ბრაუნისთვის? ისინი საშინელი კალათბურთელები არიან, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ ჩვენს გუნდში და საერთოდ NBA-ში. პარკერი კი ყველაზე უკლასო კალათბურთელია მათ შორის, ვისთან ერთადაც მოედანზე გავსულვარ".*

სხვათა შორის, კობი ბრაიანტმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მხარის ტრავმა მიიღო და ვერ ითამაშა გუშინ, „პორტლენდთან" საკონტროლო შეხვედრაში. კალათბურთელმა აღნიშნა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის, ხოლო კალიფორნიელთა შტაბში ვარაუდობენ, რომ გუნდის ლიდერი დღე-დღეზე მომჯობინდება და მომდევნო საწვრთნელ მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

**დეტროიტი-ტორონტო 101:99**

**37:26, 19:27, 27:31, 18:15**

**დ:** მონრო (17+10 მოხსნა), ნაითი (14+6 პასი), დრამონდი (12+7 მოხსნა), სტაკი (10), ჟერებკო (10), მაგეტი (10).

**ო:** დეროზანი (17), ლუკასი (16+5 პასი), კალდერონი (15), ბარნიანი (10).

**ჰიუსტონი-ოკლაჰომა 107:105**

**30:31, 24:24, 29:23, 24:27**

**ჰ:** ჯონსი (20+6 მოხსნა), ლემბი (12+8 მოხსნა), მარტინი (11), პერსონსი (10), პატერსონი (10).

**ო:** უესტბრუკი (19), დურანტი (13), ოლდრიჩი (10+11 მოხსნა+3 დაფარება), ტაბიტი (10), ლიგინსი (10).

**მინესოტა-ინდიანა 84:70**

**22:19, 24:17, 23:16, 15:19**

**მ:** პეკოვიჩი (14+5 მოხსნა), ბადინგერი (14), როი (13), ლავი (12+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ი:** ჯორჯი (16+6 მოხსნა.

**სან ანტონიო-ატლანტა 101:99**

**28:27, 27:26, 16:20, 30:26**

**ს-ა:** პაუელი (14), ნილი (12+5 პასი), დე კოლო (11+9 პასი), კარი (11+8 მოხსნა), ბრაუნი (10), ჯექსონი (10).

**ა:** ჯეიმსი (11+8 მოხსნა), სკოტი (11), უილიამსი (10), ტიგი (10), ბენსონი (10).

**საკრამენტო-ფინიქსი 102:96**

**29:30, 21:18, 26:24, 26:24**

**ს:** კაზინსი (21+9 მოხსნა), რობინსონი (12+8 მოხსნა), ტორნტონი (10), ფრედეტი (10).

**ფ:** ჯონსონი (18), მორისი (16+7 მოხსნა), ბიზლი (14+5 პასი), დადლი (10+5 მოხსნა).

**ლეიკერსი-პორტლენდი 75:93**

**21:25, 23:19, 18:29, 13:20**

**ლ:** ნეში (13), უორლდ პისი (12+5 მოხსნა), ებენქსი (10).

**პ:** ოლდრიჯი (14+8 მოხსნა), ლილარდი (14+7 პასი+5 მოხსნა), ბატუმი (12), მეტიუზი (10), ლეონარდი (10+5 მოხსნა).

**მაიამი-კლიპერსი 94:80**

**29:18, 24:17, 23:25, 18:20**

**მ:** ჯეიმსი (20+5 მოხსნა+5 პასი), ალენი (15), კოული (11), ბოში (10).

**კ:** გრიფინი (19 +8 მოხსნა), კროუფორდი (16), ბატლერი (13).

## ევროთასი ისევ გაიზრდება?

2012-13 წლების ევროთასის წილისყრის შემდეგ, ბარსელონაში გაიმართა ამ ტურნირში მონაწილე გუნდების სამუშაო შეხვედრა. სხდომაზე განიხილებოდა მონაწილეთა რაოდენობის ერთნახევარჯერ გაზრდა - 32-დან 48-მდე. ეს 48 გუნდი ჯგუფურ ეტაპზე ოთხ გეოგრაფიულ ზონად დაიყოფა.

ჯერჯერობით ეს სამუშაო პროექტია და ამიტომაც, ახალი ფორმატის შემოღების ვადებზე ლაპარაკი არ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ევროთასების რანგით მეორე ტურნირზე მასშტაბური გაფართოება 2007 წელს მოხდა, როცა მონაწილეთა რიცხვი 24-დან 54-მდე გაიზარდა. ერთი წლის შემდეგ, ძირითად ბადეში გუნდების რაოდენობა 32-მდე შემცირდა.

## საბერძნეთში ლოკაუტი დასრულდა

ბერძნული საკალათბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა ლოკაუტის დასრულების შესახებ, - წერს EuroBasket. ასე რომ, ქვეყნის ჩემპიონატი 13 ოქტომბერს აიღებს სტარტს.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ, მოლაპარაკებები კლუბებსა და სატელევიზიო კომპანიებს შორის ჩაიშალა, რამაც გაფიცვა გამოიწვია. ამ მომენტისთვის მხარეებმა ჯერ ვერ გადაწყვიტეს საკითხი და მოლაპარაკებებს აგრძელებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტომოტოსპორტი

# უქმეების ანონსი


ფერნანდო ალონსო

ამსეზონში ბოლო აღმოსავლეთაზიური გრანპრი სამხრეთ კორეაში გაიმართება. მრბოლელებს, რატომღაც არ უყვართ ეს ტრასა, თუმცა მასზე გამარჯვება ისევე 25 ქულით ფასდება, როგორც სხვა რბოლებში. **სებასტიან ფეტელმა** ფანტასტიკური რბოლა აჩვენა იაპონიაში და ახლა, საინტერესოა, შეძლებს თუ არა ის ზედიზედ მესამე ეტაპის მოგებას. **ფერნანდო ალონსო** და **ლუის ჰემილტონი**, ეჭვგარეშეა, მზად არიან პასუხის გასაცემად...

მოტეგიზე გაიმართება მოტოგრანპრიში იაპონიის ეტაპი. ტიტულისთვის ბრძოლაში აშკარა ფავორიტია **ხორხე ლორენსო**, რომლის უპირატესობა **დანი პედროსაზე** 33 ქულას შეადგენს. საინტერესოა, როგორ იმოქმედებს რბოლის განვითარებაზე ტრავმის შემდეგ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის **კეისი სტოუნერის** დაბრუნება.

### ფორმულა 1

#### კორეის გრანპრი

ჩატარების ადგილი - იონამი, კორეა
წრის სიგრძე - 5 615 მ
საუკეთესო წრე - 1:39,605 (ფეტელი, 2011)

#### საერთო ჩათვლა

1. ალონსო (ფერარი) - 194
2. ფეტელი (რედ ბული) - 190
3. რაიკონენი (ლოტუსი) - 157
4. ჰემილტონი (მაკლარენი) - 152
5. უებერი (რედ ბული) - 134
6. ბატონი (მაკლარენი) - 131
7. როსბერგი (მერსედესი) - 93
8. გროსჟანი (ლოტუსი) - 82

#### განრიგი

12 ოქტომბერი, 05:00 - I პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 09:00 - II პრაქტიკა
13 ოქტომბერი, 06:00 - III პრაქტიკა
13 ოქტომბერი, 09:00 - კვალიფიკაცია
14 ოქტომბერი, 10:00 - რბოლა

### მოტოგრანპრი

#### იაპონიის გრანპრი

ჩატარების ადგილი - მოტეგი, იაპონია
წრის სიგრძე - 4 801 მ
საუკეთესო წრე - 1:46,090 (პედროსა, 2011)

#### საერთო ჩათვლა

1. ლორენსო (იამაჰა) - 290 ქულა
2. პედროსა (ჰონდა) - 257
3. სტოუნერი (ჰონდა) - 186
4. დოვიციოზო (იამაჰა) - 179
5. კრატჩლოუ (იამაჰა) - 135
6. როსი (დუკატი) - 128
7. ბაუტისტა (ჰონდა) - 128
6. ბრადლი (ჰონდა) - 115

#### განრიგი

12 ოქტომბერი, 05:10 - I პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 09:10 - II პრაქტიკა
13 ოქტომბერი, 05:10 - III პრაქტიკა
14 ოქტომბერი, 08:55 - კვალიფიკაცია
14 ოქტომბერი, 09:00 - რბოლა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2013 UNDER 21

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-ჰოლანდია | 0:2 |
| ესპანეთი-დანია | 5:0 |

#### ევრო 2013 UNDER 19

| | |
|---|---|
| სან მარინო-ჰოლანდია | 0:4 |
| პოლონეთი-მალტა | 5:0 |
| გერმანია-მაკედონია | 5:0 |
| ირლანდია-ლუქსემბურგი | 5:2 |
| საფრანგეთი-ისრაელი | 2:1 |
| პორტუგალია-ლატვია | 2:0 |
| სლოვაკეთი-ყაზახეთი | 5:0 |
| ნორვეგია-ბოსნია | 3:1 |
| შოტლანდია-რუმინეთი | 1:0 |
| სომხეთი-შვეიცარია | 0:4 |

#### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ერაყი | 6:0 |

#### საბერძნეთი II დივიზიონი

| | |
|---|---|
| პანსერაიკოსი-ანაგენისი (ე) | 2:1 |
| ტრასივულოსი-კალონი | 0:1 |
| ირაკლისი (პ)-დოქსა | 2:0 |
| ლარისა-ოლიმპიაკოსი (ვ) | 3:0 |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ცსკა-ლეტუვოს რიტასი | 75:73 |
| ჟალგირისი-ცედევიტა | 90:62 |
| ოლიმპიაკოსი-კახა ლაბორალი | 85:81 |
| შალონი-პროკომი | 81:74 |
| კანტუ-ოლიმპია | 71:84 |
| უნიკახა-მაკაბი | 80:85 |
| ფენერბაჰჩე-ხიმკი | 92:80 |

### ხელბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| კილი-კონსტანტა | 35:14 |
| შაფჰაუზენი-ზაგრები | 28:27 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| სიბირი-მეტალურგი (ნ) | 3:5 |
| ნეფტეხიმიკი-სლოვანი | 4:5 (ბ) |
| დონბასი-დინამო (მნ) | 4:5 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-ტონსბერგი | 6:1 |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 2:6 |
| სტრიერნენი-სპარტა | 3:4 (ო) |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 3:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| პლზენი-კლადნო | 2:1 (ბ) |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-შელეფტეო | 3:2 |
| ლინჩოპინგი-აიკ | 3:2 |
| ლულეო-ვექსიო | 4:1 |
| როგლე-მოდო | 2:3 |
| ფერიესტადი-ტიმრა | 3:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. შანხაი

| | |
|---|---|
| კუერი-**ბერდიხი** | 2:6, 7:6, 4:6 |
| ცონგა-ბაღდატისი | 6:2, 7:6 |
| ფ. ლოპესი-**ჯოკოვიჩი** | 3:6, 3:6 |
| **შტეპანეკი**-ისნერი | 6:4, 6:7, 6:3 |
| მიურეი-დოლგოპოლოვი | 6:2, 6:2 |
| **ჩილიჩი**-ვერდასკო | 4:6, 6:1, 6:4 |
| **ფედერერი**-ვავრინკა | 4:6, 7:6, 6:0 |
| ტიპსარევიჩი-**ჰაასი** | 2:6, 1:6 |

#### WTA. ლინცი

| | |
|---|---|
| **ბეგუ**-ბერტენსი | 6:4, 7:6 |
| სუარეს ნავარო-**მატეკი** | 3:6, 3:6 |
| **აზარენკა**-ჰალეპი | 6:1, 6:1 |
| **მარტიჩი**-მეირი | 6:2, 3:6, 6:0 |
| პეტკოვიჩი-**ივანოვიჩი** | 4:6, 3:6 |
| ბურდეტი-**ფლიპკენსი** | 6:4, 1:6, 5:7 |

#### WTA. ოსაკა

| | |
|---|---|
| **პარმენტიე**-უენგი | 6:3, 6:4 |
| მედინა გარიგესი-**უოტსონი** | 7:6, 2:6, 3:6 |
| **სხეპერსი**-ლუჩიჩი | 6:2, 6:2 |
| ჟუ-**რობსონი** | 4:6, 4:6 |

# პირველი ქალი მწვერვალზე

თავისი 69-ე დაბადების დღის წინ, შვეიცარიელმა **პეტერ ზაუბერმა** გუნდის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გადააბარა "ზაუბერის" აღმასრულებელ დირექტორს **მონიშა კალტენბორნს**. ამასთან, ზაუბერი დარჩება კომპანიის დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტად.


ახალი და ძველი ხელმძღვანელი

*"ჩვენ დიდი ხნის წინ გადავწყვიტეთ, რომ მონიშა სათავეში ჩაუდგებოდა გუნდს, მაგრამ თარიღი არ დაგვისახელებია. ვფიქრობ, ახლა შესაბამისი მომენტია უფლებამოსილების გადაბარებისთვის, რადგან ვერ დავესწარი რამდენიმე რბოლას, მათ შორის, იაპონურს, სადაც გუნდმა შესანიშნავად გაართვა თავი სამუშაოს. ეჭვი არ მეპარება, მონიშას ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ გუნდის დიადი ხელმძღვანელი გახდეს და თან საჯინიბოს თავისი ფილოსოფია შეუნარჩუნოს - ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს", - ამბობს პეტერ ზაუბერი.*

*"სერიოზულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. თითქმის 40 წლის წინ, პეტერ ზაუბერმა დააარსა გუნდი და გაზაფხულზე შესრულდება 20 წელი მას შემდეგ, რაც "ზაუბერის" მანქანა გამოდის ფორმულა 1-ის ეტაპებზე. ჩვენ ასაკით მეოთხე გუნდი ვართ მოქმედ საჯინიბოებს შორის. შექმნა ასეთი პროექტი და შეინარჩუნო მისი კონკურენტუნარიანობა - ძალიან რთულია, მაგრამ მე მაღალი მიზნები მაქვს და მზად ვარ გუნდს წინ გავუძღვე, როგორც ამას პეტერ ზაუბერი აკეთებდა", - განაცხადა "ზაუბერის" ახალმა შეფმა.*

*მონიშა კალტენბორნი პირველი ქალია ფორმულა 1-ის ისტორიაში, რომელიც "სამეფო რბოლების" გუნდს უხელმძღვანელებს.*

## TV პროგრამა

### 12 ოქტომბერი. პარასკევი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**11:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIX ტური. კორინთიანსი-ფლამენგო.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. შალკე-ვოლფსბურგი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტური. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIX ტური. პალმეირასი-კურიტიბა.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-ანდორა (LIVE).
**00:30** არგენტინის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**01:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
**02:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-მილანი.
**04:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ურუგვაი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ლილი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ბოსტონი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ნორვიჩი.
**17:00** ძიუდო. გრან პრი. აბუ დაბი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. არსენალი-ოლიმპიაკოსი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. I ტური. მონტეპასკი-ალბა (LIVE).
**00:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ბოსტონი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ეინდჰოვენი-ნაპოლი.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. შანხაი. ჩინეთი.

#### I არხი

**17:25** მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. იბერია სტარი (საქართველო)-დიორი (უნგრეთი) (LIVE).
**19:25** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-საქართველო (LIVE).

# სარბოლო რეიტინგი: ლოები მეორეა!

მიუხედავად იმისა, რომ ფორმულა 1-ის თაყვანისმცემლებისთვის მთავარი მოვლენა იაპონიის გრანპრი იყო, ავტოსპორტში ოქტომბრის პირველი უქმეები უფრო მნიშვნელოვანი ამბით აღინიშნა: საფრანგეთის რალის მოგების შემდეგ, **სებასტიან ლოები** მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი გახდა!

ამ გამარჯვებამ ფრანგს სერიოზული პროგრესის საშუალება მისცა Castrol-ის სარბოლო რეიტინგში. ერთი წლის წინ, ლოებმა ვერ შეძლო საშინაო რბოლაში ფინიშზე მისვლა, ამიტომაც გასულ უქმეებზე მოპოვებული გამარჯვების წყალობით, მკვეთრად გაიუმჯობესა მდგომარეობა - მეექვსე ადგილიდან მეორემდე ავიდა!

ფორმულა 1-ის ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ შეძლო რალისტისთვის წინააღმდეგობის გაწევა - მხოლოდ **სებასტიან ფეტელმა** გაძლო. სუზუკაზე გამარჯვებამ „რედ ბულის" პილოტს ქულათა საერთო რაოდენობის გაზრდის საშუალება მისცა: ასეთი რამ მისთვის წელს მხოლოდ მესამედ მოხდა. საქმე ისაა, რომ გერმანელი შარშან ბრწყინვალედ გამოდიოდა და წელს, ყოველ რბოლაში შარშანდელი ქულების დაცვა უწევს.

ლოები ამ სარბოლო რეიტინგის შექმნის დღიდან პირველად ავიდა მეორე პოზიციაზე. მას ამაში უნებლიეთ **ფერნანდო ალონსო** დაეხმარა - პირველ წრეზე გამოთიშვამ ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ლიდერი კლასიფიკაციაში მეორიდან მეოთხე ადგილამდე ჩამოაქვეითა. ასევე ორი საფეხურით დაეშვა ძირს **ჯენსონ ბატონი**: ერთი წლის წინ, მან სინგაპურის გრანპრიზე მეორე ადგილი დაიკავა, ახლა კი იაპონიაში პოდიუმზეც ვერ მოხვდა.

გასაგებია, რომ ფორმულა 1-ის წარმომადგენლებს წინ კიდევ ხუთი ეტაპი აქვთ და ისევ შეეცდებიან ლოების შევიწროებას. თუმცა ფრანგსაც სერიოზული არგუმენტი აქვს - კლასიკურ რალიში ორი ეტაპია დარჩენილი და მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონს იქ ქულათა მარაგის შევსების კარგი შანსი აქვს, რადგან შარშან ფინიშამდე ვერ მივიდა.

ფეტელმა კი 2011 წლის ბოლო ხუთ გრანპრიზე ორი პირველი და ორი მეორე ადგილი მოიპოვა და 7000 ათასი ქულა დაიმსახურა - გაზრდილი კონკურენციის პირობებში, ამ ქულების დაცვა რთული იქნება. ამიტომაც შეიძლება პირველად მოხდეს ისე, რომ Castrol-ის სარბოლო რეიტინგში კალენდარული წელი პირველად ადგილზე ვერ დაასრულოს ფორმულა 1-ის პილოტმა.

რაც შეეხება ქვეყნების ჩათვლას, გერმანია და ბრიტანეთი კვლავაც ლიდერები არიან, ავსტრალია კი დიდი ხნის შემდეგ, პირველად აღმოჩნდა მეოთხე ადგილზე. ის ლოების წარმატების წყალობით საფრანგეთმა ჩამოაგდო მესამე პოზიციიდან.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 22 800 |
| 2. ს. ლოები (რალი) | 20 354 |
| 3. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 18 942 |
| 4. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 18 830 |
| 5. მ. უებერი (ფორმულა 1) | 18 097 |
| 6. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 18 050 |
| 7. უ. პაუერი (IndyCar) | 15 786 |
| 8. ნ. როსბერგი (ფორმულა 1) | 14 562 |
| 9. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 14 394 |
| 10. დ. ჰამლინი (NASCAR) | 14 335 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ლოების ტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ლენსის საქმე ცუდადაა

ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტომ ლეგენდარული ველომრბოლის - **ლენს არმსტრონგის** საქმესთან დაკავშირებით დაწვრილებითი ანგარიში გააგზავნა ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირსა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოში.

ანგარიში დაახლოებით ათასგვერდიანია. მასში მოყვანილია 26 მოწმის ჩვენება, რომელთა შორის 15 ველომრბოლია. აქედან 11 მრბოლელი ადრე არმსტრონგთან ერთად ერთ გუნდში გამოდიოდა. ესენი არიან: **ფრენკ ანდრო, მაიკლ ბერი, ტომ დანიელსონი, ტაილერ ჰემილტონი, ჯორჯ ჰინკეპი, ფლოიდ ლენდისი, ლევი ლაიპჰაიმერი, სტივენ სვორტი, კრისტიან ვანდე ველდე, ჯონათან უოტერსი** და **დევიდ ზაბრისკი**.

*„აქ მოყვანილი მტკიცებულებები ადასტურებს იმას, რომ გუნდ US Postal-ში მუშაობდა ყველაზე დახვეწილი, პროფესიულად ორგანიზებული და წარმატებული დოპინგ-პროგრამა, რაც კი ოდესმე ახსოვს სპორტის ისტორიას.*

*ამაზე მეტყველებს ოფიციალური დოკუმენტები, მათ შორის, ქვითრები, ელექტრონული წერილები, სამეცნიერო მონაცემები და დოპინგ-ტესტების შედეგები. ეს ყველაფერი ამტკიცებს, რომ ლენს არმსტრონგი აკრძალულ პრეპარატებს იღებდა. ასევე ნათელი მოეფინა US Postal-ის მოღვაწეობას, არადა, ამ გუნდმა ამერიკის ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი დოლარი მიიღო“*, - ამბობს ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი **ტრევის ტიგარტი**.

US Postal-ის მენეჯერი **იოჰან ბრიუნელი**, მწვრთნელი **ხოსე მარტი** და ექიმი **პედრო სელაია** არ ეთანხმებიან ანტისადოპინგო სააგენტოს ბრალდებებს და სასამართლო გარჩევის შედეგებს ელოდებიან. ამასთან, ექიმმა **ლუის გარსია დელ მორალმა** და ექიმმა-კონსულტანტმა **მიკელე ფერარიმ** არ გააპროტესტებს აღნიშნული ბრალდებები.

აღსანიშნავია, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირსა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს შეუძლიათ არ დაეთანხმონ ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს გადაწყვეტილებას და აპელაცია შეიტანონ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში. შეგახსენებთ, რომ ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტომ ამა წლის აგვისტოში, სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა არმსტრონგს და მას ტურ დე ფრანსზე მოპოვებული შვიდივე ტიტული ჩამოართვა.

■ ■ ■

ჩინეთის ტურზე გაიმართა მეორე ეტაპი, რომლის სიგრძე 126 კილომეტრი იყო. დისტანციის დიდი ნაწილი სწორ მონაკვეთზე გადიოდა, თუმცა ფინიშთან ახლოს, ველომრბოლებს ერთი მთა ელოდათ და სწორედ აქ გადაწყდა რბოლის ბედი.

ჩინეთის ტურის შარშანდელმა ჩემპიონმა, გერმანელმა **ტონი მარტინმა** ფინიშამდე 25 კილომეტრით ადრე ლიდერთა ჯგუფიდან გაქცევა მოახერხა და მარტომ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მან მეორე-მესამე ადგილზე გასულ იტალიელებს - **ფრანჩესკო გავაცისა** და **ეროს კაპეკის** 46 წამი მოუგო.

ორი ეტაპის შემდეგ, გენერალურ კლასიფიკაციას სწორედ ეს ველომრბოლები უდგანან სათავეში: პირველია მარტინი, შემდეგ 50-წამიანი ჩამორჩენით მოდის გავაცი და 52-წამიანი ჩამორჩენა აქვს კაპეკის.

**გია თვალაბეიშვილი**










ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**